კორუფციისგან თავისუფალი საზოგადოება:

რა გზას დავადგეთ?

სახალხო ფორუმების შედეგები

თბილისი

2006

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

CIPDD

პროექტი განხორციელდა ცვლილებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრის "პარტნიორები — საქართველო" და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მიერ

კორუფციისგან თავისუფალი საზოგადოება: რა გზას დავადგეთ?

სახალხო ფორუმების შედეგები

ავტორები: კობა კიკაბიძე, დავით ლოსაბერიძე
რეცენზენტები: დავით დარჩიაშვილი, გია ნოდია, დავით უსუფაშვილი
პროექტის ხელმძღვანელი: მილენა მითაგვარია

გამოცემა განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის შედეგად, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული ინიციატივის მიკროპროექტების პროგრამისა და ცვლილებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრი "პარტნიორები - საქართველოს" შორის დადებული EuropeAid/119-571/L/G/GE ხელშეკრულების საფუძველზე, პროექტის "კორუფციასთან ბრძოლა და მისი პრევენცია საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და მოქალაქეთა პოლიტიკური პროცესის გააქტიურების მეშვეობით" ფარგლებში. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ფორუმის მონაწილეებს და შეიძლება არ გამოხატავდნენ ევროკავშირის ან პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების შეხედულებებს.

© Partners-Georgia, CIPDD; 2006

ISBN: 99940-62-63-8

დაიბეჭდა **"ქალთა პოლიგრაფიულ სერვისში"**
T.: (995 32) 942 699, www.ginsc.net

შინაარსი

შესავალი 5

მეთოდოლოგია 7

- რა არის სახალხო განხილვა და როგორია მისი განმასხვავებელი ნიშნები? 7
- რა არის სახალხო განხილვის საბოლოო პროდუქტი? 10
- ჩვენი სტრატეგია 14

კორუფციის ანატომია 18

კორუფციის პრობლემა საქართველოში 36

როგორ დავძლიოთ კორუფცია? 44

- მიდგომა 1 - "ყველა კორუმპირებული დასაჭერია" 46
- მიდგომა 2 - "დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან" 47
- მიდგომა 3 - "პატიოსნების კუნძულები" 49

ფორუმებზე გამოთქმული მოსაზრებები 52

- მოქალაქე და კორუფციული გარემო 52
- შემოთავაზებული მოდელების დადებითი და უარყოფითი მხარეები 57

ფორუმის შედეგების შეჯამება 68

დანართი 1. ამონარიდი ფორუმების მსვლელობიდან 74

დანართი 2. კითხვარები 82

დანართი 3. გამოკითხვის შედეგები 84

ბოლო წლებში, კორუფციის პრობლემამ უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა, ხოლო მის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების მიღების აუცილებლობა სულ უფრო თვალნათელია.

კორუფცია სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სახით და სიმძიმით ვლინდება და შესაბამისად, კორუფციასთან გამკლავების მრავალი გზა არსებობს, მაგრამ ამ ბრძოლის პროცესში საზოგადოების პოლიტიკური ნება და მხარდაჭერა წარმატების უმნიშვნელოვანესი საწინდარია. ეს განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს ე.წ. გარდამავალ საზოგადოებებში, კერძოდ - პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ვინაიდან საქართველოც ამ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, ძირითადი აქცენტი სწორედ ასეთი ქვეყნებისათვის დამახასიათებელ პრობლემებზე უნდა გაკეთდეს.

საქართველოს ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ - ცვლილებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრმა "პარტნიორები - საქართველო" და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით წამოიწყეს ერთობლივი პროექტი, რომლის მთავარი მიზანი იყო ხელი შეეწყოს საქართველოში კორუფციასთან ბრძოლასა და მის ეფექტურ პრევენციას, ერთის მხრივ სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევების გაძლიერებისა და მეორეს მხრივ, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში რიგითი მოქალაქეების მონაწილეობის წახალისებით.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოში ნაკლებად ცნობილი *სახალხო განხილვების მეთოდოლოგიის ტესტირება*, ამიტომ, პროექტის ავტორები მას პილოტურ პროექტად მიიჩნევენ.

აღნიშნული საქმიანობის პროცესში ორი ძირითადი ამოცანა შესრულდა:

- ***საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება*** სპეციალური ტრენინგებისა და სემინარების მეშვეობით. ტრენინგების შედეგად მონაწილეებმა არა მხოლოდ გაიუმჯობესეს შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, არამედ დაეუფლნენ მოქალაქეთა პოლიტიკური პროცესის ინიცირებისა და მართვის სპეციალურ მეთოდოლოგიას (ე.წ. "სახალხო განხილვების" მეთოდოლოგია).

- ***საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქალაქეთა პოლიტიკური პროცესის სტიმულირება*** ე.წ. სახალხო ფორუმების გამართვის მეშვეობით. სახალხო ფორუმებზე მოწვეულ იქნენ რიგითი მოქალაქეები, რომლებიც ერთად მსჯელობდნენ კორუფციის პრობლემაზე და მისი დაძლევის შესაძლებელ გზებსა და ძირითად მიმართულებებზე. პროექტის ავტორები ვარაუდობდნენ და იმედოვნებდნენ, რომ ცოდნა იმისა, თუ რას ფიქრობენ რიგითი მოქალაქეები კორუფციასთან

ბრძოლის შესაძლო მეთოდების შესახებ, დაეხმარება როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს რაც შეიძლება მეტად გაითვალისწინონ საზოგადოების აზრი ანტიკორუფციული პროგრამების დაგეგმვის დროს, რაც, თავის მხრივ, იმის გარანტია იქნება, რომ საზოგადოება მათ აქტიურად დაუჭერს მხარს ამ გეგმების განხორციელების პროცესში.

ამ გამოცემაში ჩვენ გთავაზობთ სახალხო ფორუმების შემაჯამებელ ანგარიშს, რომელშიც საბოლოო სახითაა შეჯერებული და გაანალიზებული საქართველოს 8 ქალაქში მცხოვრებ მოქალაქეთა აზრი კორუფციასთან ბრძოლის შესახებ.

დემოკრატიული პოლიტიკის სწორი განხორციელებისთვის ხალხმა აქტიურად უნდა იმოქმედოს. არაა საკმარისი არჩევნებზე ხმის მიცემა, სახალხო რჩეულთა მხარდაჭერა, არაა საკმარისი უბრალოდ საკუთარი აზრის ქონა ან მიმდინარე მოვლენების თვალყურის დევნება. საჭიროა ვიმოქმედოთ, მაგრამ სანამ დავიწყებდეთ მოქმედებას, უნდა გადავწყვიტოთ, თუ რის გაკეთებას ვაპირებთ.

სახალხო განხილვა *(public deliberation)* არის ღრმა ისტორიული ფესვების მქონე პროცესი, როდესაც ადამიანები იკრიბებიან და ერთობლივად წყვეტენ, თუ როგორ იმოქმედონ. ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების სხვადასხვა გზების და მათი შესაძლო შედეგების დეტალური გააზრებისა და გაანალიზების შემდეგ ადამიანები აცნობიერებენ, რომ სხვა ადამიანების მიერ პრობლემის (და შესაბამისად მისი მოგვარების გზების) აღქმა შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს მათი საკუთარი აღქმისგან. ამის გაცნობიერება უბიძგებს მათ ეძიონ ისეთი მოქმედებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ფასეული და მისაღებია არა მხოლოდ მათთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის. სახალხო განხილვის პროცესი შესაძლოა მიმდინარეობდეს მცირე, ათიოდე ადამიანისგან შემდგარ ჯგუფებში; ასეთ ჯგუფებს *შემსწავლელი ჯგუფები* ეწოდება. როდესაც სახალხო განხილვა უფრო მასშტაბურ ფორმებს იძენს, საუბარია უკვე ***სახალხო ფორუმებზე***. ჩვენი პროექტის ფარგლებში გამოყენებულ იქნა სახალხო განხილვის სწორედ ასეთი, უფრო მასშტაბური ტიპის მიდგომა, რომელზეც ოდნავ უფრო ვრცლად გვინდა მოგახსენოთ.

რა არის სახალხო განხილვა და როგორია მისი განმასხვავებელი ნიშნები?

ნამდვილად ბრძნული გადაწყვეტილების მისაღებად მხოლოდ საუბარი, კამათი ან ფასეულობათა გარკვევა არაა საკმარისი. საჭიროა გადაწყვეტილების თითოეული შესაძლო ვარიანტის შედეგების ზედმიწევნით გაანალიზება, გააზრება, ყველა დადებითი და უარყოფითი მომენტის შეფასება, და ზუსტად ამაშია განხილვის არსი. განხილვა გვეხმარება გავიგოთ, თუ რამდენად საფუძვლიანია ჩვენი გადაწყვეტილება და რამდენად მზად ვართ იმ შედეგებისთვის, რომლებიც მოჰყვება ამ გადაწყვეტილების განხორციელებას.

პოლიტიკური დისკუსიების უმეტესობა - დებატებია. მას მედიის მეშვეობით გადმოცემული ისტორიები პოლიტიკას უსასრულო შეჯიბრის ფორმას ანიჭებენ და ადამიანები მთელს ენერგიასა და დროს მხოლოდ იმაზე ხარჯავენ, რომ საბოლოოდ გაარკვიონ, თუ ვის მხარეზე არიან, ან ვის წინააღმდეგ გამოდიან.

სახალხო განხილვა ძირეულად განსხვავდება *დებატებისგან.* ეს არ არის პოლიტიკური კამათი, რომლის დროსაც მხარეები ცდილობენ აჯობონ ერთმანეთს ლაპარაკში დემაგოგიის საშუალებით; ის აგრეთვე არ ჰგავს უსისტემო საუბარს, რომელიც დიდი მცდელობების შედეგად ზრდილობიან-ცივილურ ფორმაშია მოქცეული. სახალხო განხილვა არის *ერთობლივი განსჯისა და დასკვნების ერთობლივი გამოტანის* მეთოდი.

განხილვა არის სტრუქტურირებული დიალოგი, რომელიც შემოფარგლულია პრობლემის მოგვარების სამი - ოთხი (და არა მხოლოდ ორი საპირისპირო!) ალტერნატიული ვარიანტით. დიალოგის ასეთი სტრუქტურა იძლევა საშუალებას გვერდი ავუაროთ გამარტივებული არგუმენტებით "გამაგრებულ" ურთიერთბრალდებებსა და შეტევებს.

განხილვა ნიშნავს ყველა ალტერნატივის შეფასებას იმის მიხედვით, თუ რა არის ჩვენთვის მართლაც ფასეული. *განხილვა* აგრეთვე გულისხმობს სხვა ადამიანების შეხედულებების შეფასებასა და გააზრებას. არც ერთი ცალკე აღებული ადამიანი, ან ადამიანთა მცირე ჯგუფი არ ფლობს საკმარის გამოცდილებას და განჭვრეტის უნარს, იმისათვის, რომ საუკეთესო შესაძლო არჩევანი გააკეთოს. ამიტომაა ესოდენ მნიშვნელოვანი მოქალაქეთა წარმომადგენლობითი ჯგუფის თვალსაზრისების და შეხედულებების შეჯერება კომბინირება.

ცხადია, რომ შეუძლებელია აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყოთ ამა თუ იმ მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში მანამ, სანამ კონკრეტულ ქმედებებს არ განვახორციელებთ. მაგრამ ის მაინც ხომ შეგვიძლია, რომ ყველანაირი შესაძლო შედეგი გავითვალისწინოთ და ვკითხოთ საკუთარ თავს, რამდენად მზად ვიქნებით ყველაზე უარესი შედეგის მისაღებად.

სახალხო განხილვა ნიშნავს გადაწყვეტილების მიღებას არა მხოლოდ ფაქტებზე, არამედ ჩვენს ჭეშმარიტ ფასეულობებზე დაყრდნობით. როდესაც ჩვენ რთულ არჩევანს ვუპირისპირდებით, ვცდილობთ შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაცია მოვიპოვოთ. უეჭველად, ფაქტები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ ფაქტებით ყველა კითხვას ვერ ვუპასუხებთ. ***სახალხო განხილვები მეტად მოსახერხებელია ზუსტად იმ საკითხების გასააზრებლად, რომელთა მიმართ არ არსებობს სანდო ფაქტობრივი მასალა, რომელიც დაგვეხმარებოდა უნივერსალური სწორი პასუხის გაცემაში.***

სახალხო განხილვის ჩატარების წინაპირობა: პრობლემის აღწერა ყველასთვის გასაგებ ენაზე.

სანამ რომელიმე აქტუალური პრობლემის განხილვას დავიწყებდეთ, საჭიროა მისი ისეთი ფორმით წარდგენა, რომელიც საზოგადოების ფართო მასების ყურადღების მიპყრობას შეუწყობს ხელს. სანამ მოქალაქეები შეძლებენ ერთად იმუშაონ პრობლემების გადასაწყვეტად, მათ უნდა გააჩნდეთ

გაზიარებული ხედვა იმისა, თუ რაში მდგომარეობს ესა თუ ის პრობლემა, მაგრამ ძალიან ხშირად პრობლემები, რომლებიც ყოველ ჩვენგანს ეხება, ექსპერტების მიერ განისაზღვრება და "შეიფუთება" ისე, რომ მათ მზა მოგვარებები მოჰყვება თან. შემდგომ ეს "მოგვარებები" აიტაცება პოლიტიკური ლიდერების მიერ და გადის მას მედიაში ისე, თითქოს თავად ამ "მოგვარების" განხორციელება იყოს პრობლემა. ამგვარად, პრობლემის რეალური არსი იკარგება და ის საკითხი, თუ რა კუთხით, რანაირად აწუხებს ეს პრობლემა ადამიანებს, აღარც კი ფიგურირებს დღის წესრიგში.

სახალხო განხილვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს ყოველივე ზემოთქმულს და აყალიბებს პრობლემას ისეთ ტერმინებში, ისეთ ენაზე, რომელიც უკავშირდება მოქალაქეების რეალურ ხედვას და ასახავს იმას, რაც მათთვისაა ფასეული. ამის შედეგად სხვადასხვა პრიორიტეტების მქონე ადამიანებიც კი ახერხებენ მასში გარკვევას და შეუძლიათ გაიაზრონ, თუ რაში მდგომარეობს სახელდობრ *მათი* პრობლემა, რა არის პრობლემის ძირი და არსი.

პრობლემის სათანადო წარდგენის მიზნით სპეციალურად სახალხო განხილვისთვის შესაბამისი ექსპერტ-ანალიტიკოსების მიერ მზადდება და გამოიცემა ე.წ. ***თემატური ბროშურები***, რომლებიც პრობლემის ზუსტად ასეთ, *პოპულარულ* ინტერპრეტაციას იძლევიან. ასეთი ბროშურები ურიგდებათ ადამიანებს სახალხო განხილვაში მონაწილეობის წინ, რათა ისინი გაეცნონ პრობლემის არსს, მისი მოგვარების ალტერნატიულ გზებს და დაიწყონ ამ პრობლემაზე ფიქრი ჯერ კიდევ მანამ, სანამ უშუალოდ შეუდგებიან მის განხილვას ფორუმის დროს. ბროშურებში პრობლემის გარჩევას თან ახლავს შესაბამისი, ყველასათვის ნათელი მაგალითები, და მოცემულია საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რათა პრობლემის სხვადასხვა "მოგვარებებსა" თუ ალტერნატივებს შორის არსებული ყველა პოზიტიური და ნეგატიური მხარე გაირკვეს ზედმიწევნითი განსჯის და ანალიზის მეშვეობით.

ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ იმასაც, თუ სახელდობრ ***როგორი პრობლემები შეიძლება გავხადოთ სახალხო განხილვის საგანი***:

- პრობლემა, რომლის ირგვლივაც უნდა გაკეთდეს არჩევანი, მაგრამ გარკვეული პასუხი არ არსებობს;
- პრობლემა, რომელიც საკმაოდ ბევრ ადამიანს, ანუ საზოგადოების უმრავლესობას, აწუხებს;
- პრობლემა, რომლის მიმართაც საჭიროა ადამიანთა გარკვეული ჯგუფების მოქმედება, იმისათვის, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდეს;
- პრობლემა, რომლის მიმართაც ახალი მიდგომა შესაძლოა ქმედითი აღმოჩნდეს და დაეხმაროს საზოგადოებას მის დაძლევაში;
- პრობლემა, რომლის ირგვლივაც მოქალაქეებს ჯერ არ მიეცათ მსჯელობისა და ანალიზის საშუალება (ანუ არ განუხილავთ მოქმედების სხვადასხვა მიმართულება და შესაბამისი გრძელვადიანი შედეგები);
- პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც პოლიტიკოსების მიერ მოითხოვს საზოგადოების მოსაზრების გათვალისწინებას.

რა არ გამოდგება ფორუმზე გასატანად:

- პრობლემა, რომელიც უაღრესად ტექნიკურია და ტექნიკურ გადაწყვეტას მოითხოვს;
- პრობლემა, რომელიც საჭიროებს მხოლოდ "კი" ან "არა"-ს პასუხს;
- პრობლემა, რომლის მოგვარებაც უკვე გადაწყდა და საზოგადოების როლი ამ შემთხვევაში მხოლოდ "ბეჭდით დამოწმებაა";
- პრობლემა, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ რეაგირებას;
- პრობლემა, რომელიც ეხება მხოლოდ ძალიან ვიწრო ინტერესთა ჯგუფს.

რა არის სახალხო განხილვის საბოლოო პროდუქტი?

ცვლილება ადამიანთა აზროვნებაში

სხვადასხვა ქვეყნებში ათასობით სახალხო ფორუმების ჩატარების შედეგად დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საწყისი ეფექტი, ძირითადად, პიროვნულ დონეზე ხდება. განმეორებითი ფორუმები ცვლიან ადამიანებს. ფორუმში მონაწილეობის შედეგად ისინი უკეთ "გრძნობენ" პრობლემას, შეუძლიათ მისი გლობალურ კონტექსტში დანახვა, სხვა პრობლემებთან დაკავშირება ან პარალელების გავლება და ა.შ. ყველაფერი ეს ეხმარება მათ უფრო ღრმად გაიაზრონ პრობლემა და მისი მნიშვნელობა. *სხვა ადამიანებთან ერთად პრობლემის განხილვის გამოცდილება ანიჭებს ადამიანს უფრო მეტ თავდაჯერებულობას - ის რწმუნდება იმაში, რომ შეუძლია იქონიოს და გამოხატოს კიდეც საკუთარი აზრი.*

სხვადასხვა ფორუმების კვლევებმა აჩვენა, რომ განხილვებში მონაწილეობის შედეგად რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარი იცვლის საკუთარ შეხედულებას. რესპონდენტთა გაცილებით მაღალმა პროცენტმა (71%) აღიარა, რომ მათ შინაგანად დაუშვეს განსხვავებული აზრის არსებობა, თუმცა საჯაროდ საკუთარი შეხედულება არ შეუცვლიათ. მონაწილეთა 78%-ზე მეტმა დაადასტურა, რომ მოისმინეს და მოიწონეს მოსაზრებები, რომლებიც საკმაოდ განსხვავდებოდა მათი შეხედულებებისგან[1].

მხოლოდ ერთ ფორუმში მონაწილეობა ვერ შეცვლის ჩვენს ჩამოყალიბებულ რწმენებსა და შეხედულებებს, მაგრამ ისინი, ვინც რამდენიმე ფორუმის მონაწილე გახდნენ, აღიარებენ, რომ განსხვავებულად უსმენენ და კითხულობენ ახალ ამბებს - ისინი ცდილობენ იპოვონ ამ ამბების განვითარების ალტერნატიული ვარიანტები და აგრეთვე ის შედეგები, რაც შესაძლოა მოჰყვეს ამ ყველაფერს. ადამიანები ასევე ამბობენ, რომ უფრო აქტიურები გახდნენ მოქალაქეობრივი თვალსაზრისით. ალბათ ის, რომ ადამიანებს ეცვლება დამოკიდებულება სხვა ადამიანების აზრის მიმართ, უბიძგებს მათ ირწმუნონ ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობა. ფორუმის მონაწილენი აღიქვამენ

[1] *David Mattews, Noelle McAfee.* ***Making Choices Together: The Power of Public Deliberation;*** *Kettering Foundation; 2003*

საკუთარ თავს არა როგორც უბრალო კლიენტს, ან მომხმარებელს, არამედ როგორც პოლიტიკური პროცესების უშუალო მონაწილეს.

მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა

კარგად მოფიქრებული და საგულდაგულოდ გააზრებული არჩევანის გაკეთების პასუხისმგებლობა ხელს უწყობს სამოქალაქო პასუხიმსგებლობის განვითარებას. ადამიანები გრძნობენ გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას მაშინ, როდესაც თავად აკეთებენ არჩევანს, და არა როდესაც ამას მათ მაგიერ სხვა ვინმე აკეთებს.

ახალი ცოდნა

ფორუმის ერთ-ერთი უმთავრესი პროდუქტია *ინფორმაცია* და *ცოდნა*, რომელსაც სხვაგვარად ვერ მოვიპოვებდით ვერც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, ვერც ექსპერტებთან კონსულტირების მეშვეობით. ასეთ ინფორმაციას ზოგჯერ "საზოგადოებრივ ცოდნას" უწოდებენ და ის შეიძლება მიიღო მხოლოდ მჭიდრო ურთიერთობების დროს. კერძოდ, შესაძლებელია გაარკვიო:

- როგორ უყურებს საზოგადოება ამა თუ იმ პრობლემას, ან რა მიდგომას არჩევს იგი მის მოსაგვარებლად;
- რა არის ფასეული და ღირებული ადამიანებისთვის და სად იკვეთება ან ეჯახება ერთმანეთს მათი შეხედულებები;
- რის კეთება სურთ ან არ სურთ ადამიანებს პრობლემის მოგვარების პროცესში;
- რა შედეგები მოჰყვება იმ მოქმედებებს, რომლებიც მიუღებელია საზოგადოებისთვის და როგორია მათთვის მისაღები შედეგები;
- არის თუ არა რაიმე საერთო ადამიანების მოსაზრებებში, რაც მოგვცემდა შემდგომი ქმედებებისთვის ურთიერთმისაღები მიმართულების დასახვის საშუალებას.

ფორუმი მრავალი და მრავალი ადამიანის გამოცდილების სინთეზს აკეთებს და საბოლოო ჯამში იძლევა ერთიან კონცეფციას, ერთიან აზრობრივ ჩარჩოებს.

ფორუმი არა მხოლოდ *მიმტევებელია* სხვადასხვა მოსაზრებების მიმართ, არამედ ის *იყენებს მათ* პრობლემაზე უნიკალური, ინტეგრირებული შეხედულების ჩამოსაყალიბებლად.

როგორ შეიძლება გამოვიყენოთ სახალხო განხილვის პროდუქტი?

სახალხო ფორუმის პროდუქტი შეიძლება გამოვიყენოთ ორი პრინციპული მიმართულებით:

1. ის შესაძლებელს ხდის ***საზოგადოებრივი ქმედებების*** განხორციელებას (ანუ სხვადასხვა სამოქალაქო აქციების ჩატარებას);

2. მისი საშუალებით შეიძლება ***მთავრობის ინფორმირება*** პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბების პროცესში და მოქალაქეებსა და სახელმწიფო მოხელეებს შორის არსებული რთული ურთიერთობების დარეგულირება.

სახალხო ფორუმი ახდენს საზოგადოების აქტიობის სტიმულირებას. თუმცა ფორუმი არ მთავრდება საყოველთაო შეთანხმების მიღწევით, ის მიუთითებს ადამიანებს კონკრეტულ მიმართულებაზე და ეხმარება მათ განსაზღვრონ საერთო მისწრაფებები. საერთო მისწრაფებების საფუძველზე შესაძლებელი ხდება სხვადასხვა აქციების განხორციელება, რომლებიც განსხვავებულია, მაგრამ მაინც ერთ მიზანს ემსახურება, კარგად ეთავსება და აძლიერებს ერთმანეთს.

სახალხო ფორუმის დროს გროვდება და "იქმნება" გარკვეული ინფორმაცია (საზოგადოებრივი ცოდნა), რომელიც სჭირდება სახელმწიფო მოხელეებს და რომელსაც ისინი ვერანაირი სხვა წყაროდან ვერ მიიღებენ. გარკვეულ სიტუაციებში მოხელეები ითხოვენ კიდეც ინფორმაციას, მაგრამ მოქალაქეებს მათი არ სჯერათ და არ ენდობიან. ეს უნდობლობა გამომდინარეობს საკუთარი როლების სხვადასხვაგვარი აღქმიდან. მოხელეთა უმრავლესობას სჯერა, რომ მათ მიანდეს გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების საპატიო პასუხისმგებლობა. ისინი აღიქვამენ საკუთარ თავს, როგორც სახალხო ინტერესების დამცველებს. მოხელეთა გაგებით "პასუხისმგებლობა" ნიშნავს მართო საზოგადოება ისე, რომ ის ეთანხმებოდეს მათ (მოხელეთა) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მაგრამ მოქალაქეები ცოტა სხვაგვარად ფიქრობენ - მათ არ მოსწონთ, როდესაც მათ მართავენ, თავს ახვევენ მზა გადაწყვეტილებებს და ეპყრობიან, როგორც მომხმარებლებს.

მოხელეებსაც ხშირად საკმარისი მიზეზები გააჩნიათ იმისათვის, რომ უკმაყოფილონი იყვნენ მოქალაქეებით. მათ ზოგჯერ ნამდვილად სურთ ხალხთან თანამშრომლობა, მაგრამ სერიოზულ ბარიერებს აწყდებიან (მაგალითად, კოლეგები მათ აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ისინი ზედმეტად გულახდილად და ღიად ურთიერთობდნენ ხალხთან). მოხელეებსაც მრავალი პრობლემა აქვთ, მაგრამ მოქალაქეები ამ პრობლემებს ვერ ხედავენ, და ამდენად არც არაფერს აკეთებენ მათ დასახმარებლად. სახალხო ფორუმი იძლევა საშუალებას ორივე მხარემ გამოთქვას საკუთარი შეხედულებები და გაცვალოს ინფორმაცია, რომელიც მრავალ რამეზე აუხელს მათ თვალს.

სახალხო განხილვების ორგანიზების ზოგიერთი დეტალი

მოკლედ შევჩერდეთ სახალხო განხილვების (ჩვენ შემთხვევაში ფორუმების) ორგანიზების ზოგიერთ მნიშვნელოვან მომენტზე.

პირველ რიგში აღსანიშნავია **მრავალფეროვნება,** რომელიც ბევრად აიოლებს ფორუმის მიმდინარეობის პროცესს. ფორუმის დროს მონაწილეები უპირისპირდებიან რთულ პრობლემას. ასეთი ფორუმები სახალხოა არა მხოლოდ მათი თემატიკის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ისინი აერთიანებენ დიალოგში ადამიანების მრავალ სხვადასხვა ჯგუფს - განათლების, სქესის, ასაკის, გამოცდილების, ეთნიკურობისა და თანამდებობის

მიუხედავად. ყველაზე ეფექტურია ფორუმი, როდესაც მასში ერთმანეთისთვის უცნობი ადამიანებია ჩართული.

როგორც უკვე ვახსენეთ, არსებობს შედარებით დიდი ზომის შეკრება (20 - 40 ადამიანი), რომელიც ერთხელ ტარდება, ორი (ან მაქსიმუმ სამი) საათის განმავლობაში გრძელდება და ასეთ შეკრებებს ***ფორუმს*** ვუწოდებთ (როგორც უკვე ვთქვით, ჩვენ ზუსტად ასეთი ტიპის მიდგომა ვარჩიეთ); მაგრამ შესაძლებელია ჩატარდეს აგრეთვე 5-12 ადამიანის რამდენიმე (ერთი ან მეტი) რეგულარული შეხვედრა, ეს შეხვედრები თემში (საზოგადოებაში) არსებულ ერთ რომელიმე კონკრეტულ პრობლემას მიეძღვნება. ასეთი ტიპის შეკრებას ჩვეულებრივ ***შემსწავლელ ჯგუფს*** უწოდებენ. ფორუმის და შემსწავლელი ჯგუფის ამოცანები და მიზნები ერთი და იგივეა, განსხვავებულია მხოლოდ ჯგუფის ზომა და შეხვედრების რიცხვი.

ფორუმს აუცილებლად გააჩნია წამყვანი - ***მოდერატორი***, რომელიც უძღვება დისკუსიას ფორუმზე თუ შემსწავლელ ჯგუფში და ეხმარება მონაწილეებს არ გადაუხვიონ დისკუსიის მთავარ თემას და ჩაერთონ ანალიზსა და განსჯაში. უფრო ხშირად ფორუმის ჩასატარებლად ორი ადამიანია საჭირო - ორგანიზატორი და მოდერატორი, თუმცა ერთ ადამიანსაც შეუძლია ამ ორი ამოცანის შეთავსება. ***ორგანიზატორი*** იწვევს მონაწილეებს, აგვარებს ტექნიკურ საკითხებს, უკვეთავს თემატურ ბროშურებს. ***მოდერატორს*** მიჰყავს დისკუსია, ხსნის მუშაობის წესებს, და ემხარება ჯგუფს იმსჯელოს და გააანალიზოს, და არა უბრალოდ ისაუბროს. ზოგჯერ მოდერატორს ეხმარება ე.ს. ***რეკორდერი***, ანუ ადამიანი, რომელიც აწარმოებს ფორუმის მიმდინარეობის დროს გამოთქმული მნიშვნელოვანი მოსაზრებების, დასკვნებისა და შენიშვნების ჩაწერას.

აქვე ორიოდე სტყვა დავამატოთ ***მოდერატორების ტრენინგის*** შესახებ: ფორუმი ყველაზე უფრო ეფექტურია, როდესაც ის საგანგებოდ მომზადებულ მოდერატორს მიჰყავს, ადამიანს, რომელსაც ესმის სახალხო განხილვის არსი და პროცესი და რომლისთვისაც მეტ-ნაკლებად ნაცნობია ფორუმის ძირითადი თემა. თუ ფორუმის ჩასატარებლად მოვიწვევთ ადამიანს, რომელსაც გააჩნია სხვა ტიპის შეკრებების მოდერაციის გამოცდილება, შესაძლებელია ის რთულ სიტუაციაში აღმოჩნდეს და ისეთი ტექნიკები გამოიყენოს, რომლებიც რეალურად ფორუმს ჩიხში შეიყვანენ (იმის მაგივრად, რომ წარმართონ ის საბოლოო მიზნისკენ). ამდენად სახალხო განხილვის მოდერატორები ნამდვილად საჭიროებენ წინასწარ ტრენინგს.

თემატური ბორშურები. როგორც უკვე ვთქვით, ფორუმი უფრო წარმატებული იქნება, თუ ყველა მონაწილე წინასწარ წაიკითხავს თემატურ ბროშურას. მიუხედავად იმისა, რომ რეალობაში ბროშურის წაკითხვის ალბათობა დაბალია, რაც უფრო მეტი ადამიანი წაიკითხავს მას, მით უფრო საინტერესოდ და ორგანიზებულად წარიმართება ფორუმი. თემატური ბროშურები და სხვა საკითხავი მასალა ურიგდებათ მონაწილეებს ფორუმის წინ რამდენიმე დღით ადრე.

ფორუმის ორგანიზებისას აუცილებელია წინასწარ მოვამზადოთ ***ფორუმის წინა და ფორუმის შემდგომი კითხვარები,*** რომლებიც გვეხმარება აღვწეროთ ფორუმის აუდიტორია (ასაკი, განათლება,

ეთნიკური წარმომავლობა, სქესი და ა.შ.) და დავინახოთ ის ცვლილებები მოსაზრებებსა და შეხედულებებში, რომლებიც, როგორც წესი, აღენიშნებათ ადამიანებს ფორუმში მონაწილეობის შედეგად. ასეთ კითხვარებს, ჩვეულებრივ, შეიმუშავებენ იგივე ექსპერტ-ანალიტიკოსები, რომლებიც მუშაობენ თემატური ბროშურის ტექსტზე.

რაც შეეხება ფორუმების მიმდინარეობის ***დროს***, ფორუმების უმრავლესობა 2 საათის ფარგლებში თავსდება, თუმცა მკაცრი ჩარჩოები არაა განსაზღვრული. ზოგიერთს 3 საათიანი პერიოდი უფრო მოსწონს, რადგან მონაწილეებს უფრო მეტი დრო რჩებათ ცალკეული საკითხების უფრო დეტალური გააზრებისათვის. ზოგჯერ მონაწილეები განმეორებით შეკრებებზეც კი თანხმდებიან.

შესაძლოა ვინმე დაინტერესდეს ასეთი ღონისძიების ორგანიზების ***ხარჯებით***. ტიპიური ხარჯებია: თემატური ბროშურების მომზადება - გამოცემა და საჭიროების შემთხვევაში ვიდეო მასალის შესყიდვა; ამას შესაძლოა დაემატოს განცხადებების დაგზავნა და პრეს-რელიზების დაბეჭდვა. ძალიან კარგია, თუ ფორუმის მიმდინარეობის დროს (ან მისი დასრულების შემდეგ) მონაწილეებს მსუბუქ ლანჩს ან თუნდაც უბრალოდ გამაგრილებელ სასმელებს შესთავაზებენ.

ჩვენი სტრატეგია

მას შემდეგ, რაც მეტ-ნაკლებად გავეცანით სახალხო განხილვების ზოგად მეთოდოლოგიას, გვინდა თქვენი ყურადღება ჩვენს კონკრეტულ სტრატეგიაზე შევაჩეროთ. ჩვენი პროექტის მიზანი იყო ჩაგვეტარებინა სახალხო განხილვები (ფორუმები) საქართველოს 8 ქალაქში, იმისათვის, რომ დაგვედგინა, თუ რას ფიქრობს საზოგადოება ***კორუფციის პრობლემის*** შესახებ და როგორ ხედავს ის ამ პრობლემის მოგვარების გზებს.

ჩვენი სტრატეგია შემდეგში მდგომარეობდა:

- საქართველოს 8 ქალაქში (თბილისი, ახალციხე, გორი, ქუთაისი, ოზურგეთი, ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი) შევარჩიეთ შესაბამისი ***არასამთავრობო ორგანიზაციები***, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს სახალხო ფორუმების ორგანიზებისა და ჩატარების ტექნიკური მხარე. ორგანიზაციების შერჩევის ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი იყო მათი მიმდინარე (ან მომავალი) ჩართულობა ანტიკორუფციულ პროგრამებსა და პროექტებში, ასევე მათი სურვილი და მზაობა ბოლომდე შეესრულებინათ პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებები;

- შერჩეულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა წარმოადგინეს თავიანთი ***კანდიდატურები*** პროექტში მონაწილეობის მისაღებად; ეს კანდიდატურები გახდნენ ჩვენი პროექტის უშუალო ბენეფიციარები და პროექტის ფარგლებში გათვლისწინებული შესაბამისი ტრენინგების მეშვეობით მომზადდნენ სახალხო ფორუმების წამყვანებად, ანუ მოდერატორებად;

- მოსამზადებელი ტრენინგების სერიის პარალელურად მიმდინარეობდა კორუფციის პრობლემასთან დაკავშირებული ***თემატური ბროშურის*** შემუშავება და გამოცემა; მისი პირველადი ტესტირება და კომენტირება მოახდინეს უშუალოდ პროექტის მონაწილეებმა (მომავალმა მოდერატორებმა); ამას სპეციალური სამუშაო შეხვედრა დაეთმო. მონაწილეების შენიშვნების საფუძველზე შემუშავდა ბროშურის საბოლოო ვერსია, რომელიც შემდგომ გამოიცა და გადაეცა ისევ და ისევ მოდერატორებს, და მათ ორგანიზაციებს, რომლებსაც უნდა მოეხდინათ ფორუმების ორგანიზება. ფორუმის ორგანიზატორებმა დაურიგეს ეს ბროშურები ფორუმში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ ყველა ადამიანს. ფორუმის წინა და ფორუმის შემდგომი ***კითხვარები*** ინტეგრირებული იყო თემატურ ბროშურაში.

- შემდეგი ეტაპი იყო უკვე თვით ***სახალხო ფორუმების*** ორგანიზება. როგორც უკვე ვთქვით, ფორუმების წამყვანებად მუშაობდნენ ჩვენს მიერ გაწვრთნილი მოდერატორები, მათ დახმარებას უწევდნენ მათივე ორგანიზაციის წევრები. კავკასიური ინსტიტუტის და პარტნიორები - საქართველოს წარმომადგენლები (დავით ლოსაბერიძე, კობა კიკაბიძე და მილენა მითაგვარია) ესწრებოდნენ ყველა ფორუმს შესაბამისი ჩანაწერების წარმოების მიზნით. ფორუმის მონაწილეთა თანხმობით, ფორუმის მსვლელობა იწერებოდა არა მხოლოდ შესაბამისი ჩანაწერების წარმოების, არამედ აგრეთვე ხმის ჩამწერის (დიქტაფონის) მეშვეობით, რათა შემდგომში შესაძლებელი გამხდარიყო მისი დეტალური ანალიზი. მოდერატორთან ერთად მუშაობდა რეკორდერი, რომელიც, დამატებითი თვალსაჩინოების მიზნით, მონაწილეთა მოსაზრებებს დიდი ზომის ფურცლებზე აფიქსირებდა.

- ფორუმის ***მონაწილეთა*** შერჩევისას გამოყენებულ იქნა ერთადერთი კრიტერიუმი - აუდიტორია უნდა ყოფილიყო რაც შეიძლება მრავალფეროვანი; ჩვენ არ დაგვიწესებია არანაირი შეზღუდვა ასაკის, სქესის, რელიგიის, განათლების, სოციალური მდგომაროების და ა.შ. მხრივ.

საერთო ჯამში, ამ პროექტის ფარგლებში საქართველოს 8 ქალაქში ჩატარდა 15 სახალხო ფორუმი (როგორც წესი, თითოეულ ქალაქში მოეწყო 2-2 შეხვედრა), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 361 ადამიანმა. აქედან ფორუმის წინა და ფორუმის შემდგომი ანკეტები შეავსო 275 ადამიანმა (ანუ, საბოლოო ჯამში, დამუშავდა 550 ანკეტა).

თითოეული ფორუმი მიმდინარეობდა დაახლოებით 2 - 2.5 საათის განავლობაში. მოდერატორებს მიჰყავდათ ფორუმი მკაცრად დადგენილი ფორმატის მიხედვით. გთავაზობთ ამ ფორმატის მოკლე აღწერას:

1. **ფორუმის გახსნა** (5 წუთი)**:** მისალმება, პროექტის (მისი ორგანიზატორების, დონორის) და ფორუმის წამყვანი ორგანიზაციის წარდგენა და ფორუმის გახსნა.

2. **მუშაობის წესების განმარტება,** ფორუმის (ანუ სახალხო განხილვის), როგორც პროცესის განმარტება და მისი არსებითი მახასიათებლების ხაზგასმა (10 წუთი) შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

- მოდერატორი არის აბსოლუტურად ნეიტრალური განხილვის პროცესში
- ყველას ესმის, რომ ეს არ არის დებატები
- ყველას ეძლევა საუბრის საშუალება
- ერთი ან ორი პიროვნება არ დომინირებს
- თითოეული მიდგომა განიხილება სამართლიანად და სრულად
- მსჯელობისა და ანალიზის ხელშემწყობი ატმოსფერო შენარჩუნებულია
- მონაწილეები უსმენენ ერთმანეთს.

3. **ფორუმის წინა კითხვარების შევსება** (5 წუთი) - მოდერატორი ეხმარება მონაწილეებს ამ პროცესში და იძლევა დამატებით განმარტებებს საჭიროების შემთხვევაში.

4. **თემის პრეზენტაცია** (5-7 წუთი). მოდერატორი მოკლედ წარადგენს კორუფციის თემას (პრობლემის აქტუალობას, და მისი მოგვარების გზების მოკლე აღწერას); ეს საჭიროა იმისათვის, რომ ყველა მონაწილე, მათ შორის ისინიც, ვისაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ წაუკითხავს ბროშურა, იყოს მეტ-ნაკლებად თანაბარ პოზიციაში განხილვის დაწყების წინ.

5. **მონაწილეთა პერსონალური გამოცდილების გაზიარება** (15 წუთი). ამ დროს ხდება ფორუმის თემის დაკავშირება ადამიანებთან. მოდერატორი სთხოვს მათ ისაუბრონ მათ პირად გამოცდილებაზე კორუფციასთან დაკავშირებით; ამით თემა აღარ იქნება აბსტრაგირებული, განყენებული და უფრო "ადამიანური", ანუ ფორუმის მონაწილეებისთვის უფრო ახლო გახდება.

6. **ალტერნატიული მიდგომების განხილვა** (თითოეულ მიდგომაზე 20 წუთი). მიდგომების გააზრება და ანალიზი გულისხმობს თითოეულის დადებითი და უარყოფითი მხარეების ამომწურავ განხილვას. დისკუსია სტრუქტურირებულად წარიმართება: აუდიტორია ჯერ საუბრობს მიდგომის დადებით მხარეებზე, შემდეგ გადადის უარყოფითი მხარეების განხილვაზე. მოდერატორმა შესაბამისი კითხვების დასმით უნდა უზრუნველყოს თითოეული მიდგომის სამართლიანი და სრული გარჩევა.

7. **ფორუმის დასრულება** (10 წუთი). მოდერატორი უთმობს დროს ინდივიდუალურ რეფლექსიას შემდეგი კითხვების დასმის მეშვეობით:

   - შეიცვალა თუ არა თქვენი განწყობა საკითხის მიმართ?
   - შეიცვალა თუ არა თქვენი აზრი სხვა ადამიანების შეხედულებებზე?
   - როგორ შეიცვალა თქვენი ხედვა იმის შედეგად, რაც ამ ფორუმზე მოისმინეთ?

8. **ფორუმის შემდგომი კითხვარის შევსება** (5 წუთი). მოდერატორი სთხოვს მონაწილეებს შეავსონ კითხვარები, რომლებიც გადაეცემა პროექტის ორგანიზატორებს.

9. **მსუბუქი ლანჩი მონაწილეებისთვის** (30 წუთი). ლანჩის დროს მონაწილეებს აქვთ საშუალება გააგრძელონ საუბარი იმ თემებსა და პრობლემებზე, რომლებმაც ყველაზე მეტად დააინტერესა. ამავდროულად მათ შეუძლიათ უკეთ გაიცნონ ერთმანეთი და შეთანხმდნენ სამომავლო ურთიერთობებზე.

საქართველოში განხორციელებული პირველი სახალხო განხილვების თემად აღებულ იქნა კორუფცია, ვინაიდან ეს საკითხი საკმაოდ აქტუალურია ჩვენს ქვეყანაში: მასზე ბოლო 15 წლის განმავლობაში ბევრს საუბრობენ, მაგრამ რეალური ნაბიჯები ან არ იდგმებოდა, ან ცოტა ვინმე თუ იყო გარკვეული კორუფციასთან ბრძოლის ფარგლებში მიმდინარე პროცესებში.

კორუფციის დეფინიცია

1979 წლის 17 დეკემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის 34-ე სესიაზე, კორუფციის ცნება განმარტეს, როგორც თანამდებობრივი უფლებამოსილებების დაცვით ან დარღვევით, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, საზღაურის გამღების ინტერესიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი ქმედება ან უმოქმედობა.

კანონის ენაზე კორუფცია არის საჯარო მოხელეების მიერ კანონით გაუთვალისწინებელი მატერიალური ან არამატერიალური სიკეთის მიღება, ასევე ამ პირების მოსყიდვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, ზემოაღნიშნული სიკეთის მინიჭების გზით.

ჯ.ბელენტაინის იურიდიულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში "კორუმპირებულობა" არის: "კანონის აღსრულების ფორმების საწინააღმდეგოდ, ანგარების მიღების მიზნით, სახელმწიფო ორგანოების გადაგვარება."

ჰ.ბლეკის იურიდიული ლექსიკონი კორუფციას განსაზღვრავს როგორც: "თანამდებობის პირის ოფიციალურ ვალდებულებებთან და სხვა პირის მოქმედებებთან შეუთავსებელ ქმედებას, რომელიც სრულდება გარკვეული უპირატესობის მიღების მიზნით."

რ.პერკინსის კლასიკური სახელმძღვანელო სისხლის სამართალში შეიცავს შემდეგ ფორმულირებას: "კორუფცია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გულისხმობს უზნეო და მაღალი ხარისხის შეუსაბამო მოქმედებას. თანამდებობის ბოროტად გამოყენება, თანამდებობრივი მოვალეობის შესრულების დროს და/ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის თანამდებობის პირის კორუმპირებული ქცევა."

ვებსტერის ახალ ლექსიკონში მოცემულია კორუფციის შემდეგი განსაზღვრება: "პიროვნების (მოხელის) სტიმულირება მიმართული მოვალეობის დარღვევისაკენ, განხორციელებული უგვანო (ბინძური) ანაზღაურების საშუალებით (მაგ. ქრთამით)".

გარდა ზემოაღნიშნულისა, კორუფციის შესახებ ლიტერატურა მოიცავს რამდენიმე ფართოდ გავრცელებულ განსაზღვრებას:

- "ქცევა, რომელიც გადახრილია საზოგადოებრივი როლის ოფიციალურად დაკისრებული მოვალეობების შესრულებისაგან, კერძო (პირადი, ოჯახის, კლანის) ან საკუთარი მდგომარეობით სარგებლობის გამო; ან რომელიც არღვევს გარკვეული ტიპის კერძო ქცევის წესებს".

- კორუფციად ასევე იწოდება სახელმწიფო მუნიციპალური და სხვა საჯარო მოხელეების მიერ, ან კომერციული და სხვა ორგანიზაციის (მათ შორის საერთაშორისო) მოსამსახურეების მიერ თავისი სტატუსის გამოყენება, რაიმენაირი უპირატესობის (ქონების, მასზე უფლების, მომსახურების და შეღავათების, მათ შორის არაქონებრივი ხასიათის) მისაღებად, ან მათთვის ასეთი უპირატესობის მინიჭება.

თუ განვაზოგადებთ მოცემულ განმარტებებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კორუფცია სოციალური მოვლენაა, რომელიც მოიცავს სამართლებრივი და ეთიკური დარღვევების ერთობლიობას და გამოიხატება მოსამსახურეების მიერ საკუთარი სტატუსის საკუთრებითი და არასაკუთრებითი სიკეთის და უპირატესობის მიღების მიზნით გამოყენებაში და ასეთი სიკეთის და უპირატესობის მინიჭებაში.[2]

ისტორიული ექსკურსი

ტერმინი "კორუფცია" მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან "*corruptus*" (გაუკუღმართებული, გარყვნილი). რომაულ საზოგადოებაში ეს ცნება აღნიშნავდა როგორც პოლიტიკურ, ასევე სექსუალურ ქმედებას, მორალური ტონალობა გააჩნდა და აღნიშნავდა იმას, რასაც ჯანმრთელობის დანგრევა შეუძლია (მუცლის გვრემას, წყლის გაფუჭებას დახურულ ჭურჭელში), საქმის გაფუჭებას, მორალის დაცემას, ქონების გაფლანგვას, შესაძლებლობის ხელიდან გაშვებას, წყაროს დაშრობას, თავისუფლების დათრგუნვას, არასულწლოვანი გოგონების და ვაჟების სექსუალურ გარყვნას, აზრის დამახინჯებას, კენჭისყრის შედეგების გაყალბებას, ღირსების შეურაცხყოფას." რომის სამართალში "*corrumperes*" ნიშნავდა ვინმეს ან ყველას მოსყიდვას (არააუცილებელად თანამდებობის პირის), სასამართლოში ჩვენებების ფალსიფიცირებას, ვინმეს გაუპატიურებას და რაიმეს დაზიანებას.

სახელმწიფო სამსახურში კორუფციის პირველი მოხსენიება, რომელმაც ასახვა ჰპოვა ადამიანების მეხსიერებაში, განეკუთვნება შუმერული ქალაქ-სახელმწიფოს, ლაგაშის მეფის, ურუქაგინას მმართველობის პერიოდს (ძვ.წთ. XXIV ს). ამ დროს ლაგაშში ხორციელდებოდა სახელმწიფო მართვის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა მოხელეთა და მოსამართლეთა ბოროტქმედებების აღკვეთას და ქურუმთა კასტისათვის რელიგიური რიტუალების ჩატარების პროცესში მეფის ადმინისტრაციის მიერ უსამართლო და უკანონო გამოძალვებისა და ანაზღაურების შემცირებას.

მაგადჰის იმპერიის (ინდოეთი) მბრძანებლის ჩანდრა-გუპტას (ძვ.წთ. IV-III სს) პრემიერ-მინისტრმა ბრაჰმანმა ჩამოთვალა სახელმწიფო ფულის გაფლანგვის "სულ ცოტა, 40 ხერხი". ძველ ჩინეთში (ცინის იმპერია) მოხელეებს ეძლეოდათ დანამატი სახელწოდებით "იუნგ-ლიენ", რაც "მოუსყიდველობის სარჩო"-ს ნიშნავს. აშკარაა, რომ ასეთი სარჩო ხშირად ვერ აღწევდა მიზანს.

[2] *რ.ე.კლიტგაარდი, კორუფციის კონტროლი, 2003*

პლატონი თავის "კანონებში" საუბრობდა მექრთამეობის შესახებ და ამბობდა, რომ საზოგადოების მსახურებმა თავისი სამსახური ყოველგვარი საჩუქრების აღების გარეშე უნდა გასწიონ.

XIV საუკუნეში აბდულ რახმან იბნ ხალდუნი წერდა, რომ "კორუფციის ძირეული მიზეზი მმართველ ჯგუფში ფუფუნებით ცხოვრების უდიდესი სურვილი იყო. მმართველი ჯგუფი კორუფციას მიმართავდა ფუფუნების ხარჯების დასაფარავად".

კორუფციის არსის კვლევის გზაზე მნიშვნელოვანი იმპულსი იყო ნ.მაკიაველის შრომები. კორუფციას ის ადარებდა ავადმყოფობას, ჭლექს: "თავიდან ძნელია მისი აღმოჩენა, მაგრამ ადვილად მოსარჩენია, ხოლო თუ პროცესი შორს წასულია, მაშინ ადვილია მისი ამოცნობა, მაგრამ ძნელია განკურნება. ასევე არის კორუფცია სახელმწიფო საქმეებში. თუ თავიდანვე აღმოვაჩენთ ჩასახულ დაავადებას, რაც გონიერი ხელისუფლებას ხელეწიფება, მაშინ მისი მოშორება არც ისე ძნელია, თუ იგი ისე არის მიშვებული, რომ ყველა ხედავს მას, მაშინ ვერავითარი მკურნალობა მას ვერ უშველის".

მაკიაველი აღნიშნავდა, რომ ხალხი, რომელმაც მიიღო თავისუფლება, მაგრამ გარყვნილია, ძნელია, რომ თავისუფალი დარჩეს: "რომის იმპერატორები ისეთი დონის გარყვნილებას აღწევდნენ, რომ მათი მსგავსი ორი სამი მემკვიდრის შემთხვევაში რომის იმპერიის დაცემა გარდუვალი იქნებოდა. რომისთვის დიდი ბედნიერება იყო ის, რომ მისი იმპერატორები ჩქარა ირყვნებოდნენ და სწრაფად ხდებოდა გადატრიალებები და მათი გაძევება". მაკიაველი ვარაუდობდა, რომ მონარქიებში, რომლებიც მოსამსახურეების მიერ იმართებიან, კორუფცია ნაკლებად საშიშია, რადგან ყველა მოსამსახურე დამოკიდებულია მეფის მოწყალებაზე და მათი მოსყიდვა უფრო ძნელია.

შემდგომში კორუფციის გაგების აქცენტები გადატანილ იქნა მის კრიმინოლოგიურ და სისხლის სამართლებრივ მხარეებზე. თ.ჰობსი თავის "ლევიათანში" წერდა: "ადამიანები, რომლებიც თავისი სიმდიდრით იწონებენ თავს, თამამად ჩადიან დანაშაულს იმ იმედით, რომ ისინი შესძლებენ ისარგებლონ სახელმწიფო იუსტიციის კორუმპირებულობით და ფულით და ანაზღაურების სხვა ფორმით მოახერხებენ სასჯელისგან თავის დახსნას და პატიების მიღებას... ვისაც მრავალი ძლევამოსილი ნათესავი ან პოპულარული ადამიანი ჰყავს, ბედავენ კანონის დარღვევას იმ იმედით, რომ ისინი მოახერხებენ კანონზე და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზეწოლას". ჰობსის მიხედვით კორუფცია "არის ფესვი, საიდანაც ყოველთვის, ყველანაირი ხიბლისას ამოდის კანონისადმი ზიზღი".[3]

კორუფციის არსი

როგორც წესი, სახელმწიფო თავად აჩენს კორუფციას თავის სტრუქტურებში და თავადვე ებრძვის მას. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც კორუფციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, სახელმწიფო სისტემაში არსებობს

[3] *Основы противодействия коррупции, СПАРК, 2000*

კორუფციის წინააღმდეგ მიმართული კანონები, რომლებსაც უბრალოდ არ იცავენ, ხოლო ხელისუფლებისაგან საზოგადოების წინაშე ანგარიშგების პრინციპი იგნორირებულია. კორუფციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად არ არის საკმარისი შესაბამისი კანონების მიღება და ამოქმედება. საკითხის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აიძულო სისტემა იმუშაოს და შეცვალოს ადამიანების ქცევის მოდელი.

კორუფციის, როგორც მოვლენის, სრული აღმოფხვრა შეუძლებელია. იგი ყოველთვის იარსებებს ისევე, როგორც დანაშაულის სხვა ფორმები (ქურდობა, მკვლელობა და ა.შ.). კორუფციასთან ბრძოლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილ მისი გამოვლინება და ამავე დროს შესაბამისი სადამსჯელო ზომები გატარდეს მისი, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ.

კორუფციის ანალიზის პროცესში პირველი ნაბიჯია სწორი დიაგნოზის დასმა: კორუფციის რა ფორმები გვაქვს მოცემულ ვითარებაში? რა ზომით არის გამოვლენილი კორუფცია? ვინ აგებს და ვინ იგებს კორუფციით? როგორია მიზეზები და შესაძლო მკურნალობის საშუალებები?

მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი ცხრილი:

ცხრ. 1. კორუფციის ტიპები [4]

კორუფციის ფორმა	ვის ეხმარება	ვის აზარალებს	მიზეზები	მკურნალობა
გადასახადისგან თავის არიდება	მას ვინც თავს არიდებს გადასახადს	მომსახურების მიმღებთ, გადასახადების სხვა გადამხდელებს	რთულია გადახდის პროცედურა, გადასახადები ძალზე დიდია, სასჯელი უმნიშვნელოა, მიზეზების განხილვა არ ხდება	გადახდა უნდა გაადვილდეს, განაკვეთების შემცირება, სასჯელის გამკაცრება, განხორციელდეს მონიტორინგი
საგადასახადო ქრთამი	კორუმპირებულ გადასახადების გადამხდელებს და მოხელეებს	მომსახურების მიმღებთ, გადასახადების სხვა გადამხდელებს	ინფორმაციული ბაზის არქონა, ნაკლებად ეფექტური სასჯელი, დაბალი ანაზღაურება	ინფორმატიზაცია, სასჯელის გამკაცრება, გადახდა ბანკების მეშვეობით, ხელფასის გაზრდა, გადასახადების აკრეფის სტიმულირება
გამოძალვა	კორუმპირებულ მოხელეებს	უშუალო მსხვერპლს	რთული წესები და პროცედურები, გამოვლენის სირთულე, სასჯელი არასაკმარისია, განხილვა არ ხდება, დაბალი ანაზღაურება	განაკვეთების და პროცედურების გამარტივება, ცხელი ხაზი ინფორმაციის მისაღებად, სასჯელის გამკაცრება, შემთხვევების განხილვა, გადახდა ბანკების მეშვეობით, ხელფასების გაზრდა
სწრაფი ფული	გადასახადის ზოგ გადამხდელს, კორუმპირებულ მოხელეებს	გადასახადის გადამხდელებს (საქმიანობის შეფერხება), ხელისუფლების რეპუტაციას	რთული პროცედურები, ინფორმაციის სიმწირე, არამკაცრი სასჯელი, ზედამხედველობის არარსებობა, დაბალი ანაზღაურება	პროცედურების გამარტივება, კომპიუტერიზება, გადახდა ბანკების მეშვეობით, სასჯელის გამკაცრება, გამართული ზედამხედველობა, ანაზღაურების ზრდა
ქონების ქურდობა	ქურდებს, ვინც არ იხდის გადასახადებს	მომსახურების მიმღებს, პოლიციისადმი ნდობას	ინვენტარიზაცია არ ხდება, ცუდი დეცენტრალიზაცია, არამკაცრი სასჯელი, ზედამხედველობის არარსებობა	ინვენტარიზაცია და კომპიუტერიზება, პასუხისმგებლობის დეცენტრალიზაცია, ადგილზე შემოწმებები, ზედამხედველობა
შესყიდვები და მომარაგება	კორუმპირებულ მოხელეებს, გამარჯვებულ მიმწოდებლებს	მომსახურების მიმღებს	ფასებზე ინფორმაციის არქონა, მიზეზების არ განიხილება, არამკაცრი სასჯელი, დაბალი ანაზღაურება.	ფასების გადამოწმება, შემთხვევების შესწავლა, სასჯელის გამკაცრება, გადაწყვეტილების მიმღებთა ჯილდოს ზრდა
"ფანტომები", დამგვიანებლები	სიმულიანტებს	ხელისუფლების მორალურ სახეს	ზედამხედველობის არარსებობა, არამკაცრი სასჯელი	ზედამხედველობა, სასჯელის გამკაცრება და აღასრულება

[4] *რ.ე.კლიტგაარდი, კორუფციის კონტროლი, 2003*

გამოყოფენ კორუფციის სხვადასხვა ტიპებს, ამასთან, ტიპოლოგიზაცია სხვადასხვა დონეზე შეიძლება ჩატარდეს:

1. **პირადი "ტარიფების" ნაკრები** ინიშნება იმის შესრულებისას, რასაც მოითხოვს ოფიციალური წესების შესრულება საფასურის გადახდის გარეშე (მაგალითად, ფორმალურად უფასო ვიზის გადასახადი შეიძლება განვიხილოთ როგორც "ტარიფი"). მეორეს მხრივ, იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც "ტარიფები" ***პირდაპირი მოქმედებისთვის***, რომელიც არღვევს კანონს (მაგალითად, საგადასახადო ინსპექტორს "ტარიფის" (ქრთამის) მისაღებად შეუძლია წარმოადგინოს არასწორი ანგარიში მის მომსყიდველ გადასახადის გადამხდელზე), ან პირადი "ტარიფების" ნაკრები, რომელიც ინიშნება იმის ***არშესრულებაზე*** რის შესრულებასაც მოითხოვს წესები (მაგალითად, ქრთამი აუდიტორის მიერ მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაფარვის სანაცვლოდ).

2. კორუფცია შეიძლება იყოს **შიდა** და **გარე**. შიდა კორუფცია წარმოიქმნება ერთი ორგანიზაციის წევრებს შორის, გარე კორუფცია წარმოიქმნება ორგანიზაციის წევრის მოქრთამვისას გარედან ვინმეს მიერ. ამგვარად გარე კორუფცია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მოვალეობის პირადი დარღვევა, ხოლო შიდა - როგორც ორგანიზებული დანაშაული.

3. კორუფცია შეიძლება იყოს **სახელმწიფო** (ბიუროკრატიული ან პოლიტიკური), თუ საუბარია სახელმწიფო ორგანიზაციაზე, ან **კერძო**, თუ საუბარია კორუფციაზე კერძო სექტორში.

4. სახელმწიფო კორუფციაზე საუბრისას, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან, შეიძლება გამოვყოთ ორი ნიშან-თვისება, რომლის მიხედვით განსხვავდებიან კორუმპირებული საზოგადოებები:
   - ქრთამის ამღების ტიპის მიხედვით: ა) *კლეპტოკრატია*, რომდესაც კორუფცია ორგანიზებულია მთავრობის პირამიდის მწვერვალზე, ბ) *სახელმწიფო (მასობრივი) კორუფცია*, როდესაც კორუფცია დიდი რაოდენობის მოხელეების მოქმედების სფეროდ იქცევა;
   - ქრთამის "ბაზრის" ტიპის მიხედვით: ა) კორუფციაში ჩართულია კერძო პირების მცირე რაოდენობა; ბ) ქრთამის გადახდა დეცენტრალიზებულია.

   ეს ორი ნიშან-თვისება შეესაბამება კორუმპირებული სახელმწიფოების ოთხ კატეგორიას: კლეპტოკრატულს, კონკურენტული ბაზრის, ორმაგი მონოპოლიის და ძალიან სუსტ სახელმწიფოს, რომელიც მაფიის მიერ არის კონტროლირებადი.

5. და ბოლოს კორუფცია შეიძლება გამოვლინდეს ზესახელმწიფოებრივ დონეზე. მსოფლიო თანამეგობრობა კორუფციას საერთაშორისო ბიზნესში თვლის განსაკუთრებულ პრობლემად. ასეთი პრობლემის მოცილება შესაძლებელია მოკავშირე ქვეყნებს შორის საერთაშორისო შეთანხმების დადებით.[5]

---

[5] *С.М.Ечмаков, Теневая экономика: Анализ и моделирование, Финансы и статистика, 2004*

კორუფციის წარმოშობის პირობები

კორუფცია წარმოიქმნება, როდესაც პიროვნება საკუთარ ინტერესებს უკანონოდ მაღლა აყენებს საზოგადოების ინტერესებზე და იმ მიზნებსა და ამოცანებზე, რომელთა სამსახურიც მისი მოვალეობაა.

კორუფციას და მის წარმომშობ პრობლემებს შორის კავშირი ორმხრივია. ერთის მხრივ ეს პრობლემები ამძაფრებენ კორუფციას, ხოლო მათი გადაწყვეტა კორუმპირებულობის შემცირების ხელშემწყობი ფაქტორი უნდა გახდეს. მეორეს მხრივ, მასშტაბური კორუფცია ამწვავებს და აკონსერვებს სახელმწიფოსა და საზოგადოების პრობლემებს, ხელს უშლის მათ გადაწყვეტას. აქედან გამომდინარეობს, რომ პირველ რიგში კორუფციის შეზღუდვა და შემცირება მხოლოდ მათ წარმომქნელ პრობლემებთან ერთად უნდა მოხდეს და მეორე - ამ პრობლემების გადაწყვეტას ხელს შეუწყობს კორუფციისადმი მთელი სიმტკიცით და ყველა მიმართულებით გაწეული წინააღმდეგობა.

ქვემოთ ჩამოვთვლით კორუფციის წარმოშობის მიზეზთაგან რამდენიმეს, რომელიც, ჩვენი აზრით, დღევანდელ ეტაპზე ამუხრუჭებს პოსტკომუნისტური ქვეყნების, და მათ შორის საქართველოს, განვითარების პროცესს.

1. **ტოტალიტარული პერიოდის მემკვიდრეობის სიძნელეების გადალახვა.** უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ეკონომიკის მართვის ცენტრალიზებული სისტემებისთვის დამახასიათებელი სახელმწიფო სტრუქტურებისა და ეკონომიკის შერწყმის გადალახვა. არ არის ფორმირებული შრომის ბუნებრივი განაწილება სახელისუფლებო ინსტიტუტებს შორის (რაც, თავის მხრივ, მოწოდებულია იმისათვის, რომ პირობები შეუქმნას ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას), ბაზრის თავისუფალ აგენტებს შორის. ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები ეკონომიკის მოედანზე თამაშობენ იმ წესებით, რომლებსაც საკუთარი თავისთვის აწესებენ.

2. **პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური დაცემა,** ანუ მოსახლეობის გაღარიბება, სახელმწიფო მოხელეებისათვის ღირსეული არსებობის შენარჩუნების უუნარობა, რაც გამაგრებულია საბჭოთა ტრადიციებით დამკვიდრებული "ჩაწყობით". არსებობს გრძელვადიანი დაბანდების მუდმივი პოლიტიკური რისკი, ინფლაცია, ეკონომიკაში სახელმწიფოს მოუქნელი და უადგილო თანაარსებობა, რაც ეკონომიკური ქცევის ისეთ ტიპს აყალიბებს, რომელიც მოკლევადიან პერსპექტივაზე და დიდ, მაგრამ რისკიან სარგებელზეა გათვლილი. პოლიტიკური არასტაბილურობა მოხელეებში აყალიბებს მომავლის მიმართ გაურკვევლობის გრძნობას, რაც გაცილებით იოლად აქცევს მათ კორუფციის ხიბლის ქვეშ. ეკონომიკური კრიზისის პირობებში სახელმწიფო ცდილობს გააძლიეროს საგადასახადო ზეწოლა, რაც აფართოებს ჩრდილოვანი ეკონომიკის ზონას და, აქედან გამომდინარე, კორუფციის არეს. ბიზნესმენი, რომელიც თავს არიდებს გადასახადის გადახდას საგადასახადო ინსპექტორის მხრიდან დასჯისგან თავის არიდების მიზნით, ქრთამის გამოძალვის საუკეთესო სამიზნე ხდება.

3. **კანონმდებლობის არასრულყოფილება და განუვითარებლობა.** ეკონომიკის საფუძვლების ფუნდამენტური გარდაქმნის პროცესი წინ უსწრებს საკანონმდებლო უზრუნველყოფას, ვლინდება კანონმდებლობის განუვითარებლობა, ცუდი ხარისხი და ბუნდოვანობა. ამას მოსდევს: კანონმდებლობის წინააღმდეგობრივი ხასიათი, რაც მოხელეს უქმნის იდეალური პირობებს მოქალაქეთა შანტაჟისათვის; კანონთა დაუსრულებლობა და ორაზროვნობა, რის გამოც საკანონმდებლო რეგულირების დასრულება ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გაუმჭირვალე პროცედურებით მიღებული ბუნდოვანი კანონქვემდებარე აქტებით. კანონშემოქმედების პროცედურების მომზადების საკანონმდებლო რეგულირების არარსებობა წარმოქმნის უკანონოდ მიღებული შემოსავლების ნაკადს (კორუფციული შეთანხმებებიდან, ტენდერებიდან და შესყიდვებიდან და ა.შ.).

4. **სახელმწიფო ინსტიტუტების არაეფექტურობა.** ტოტალიტარული რეჟიმები ჰქმნიდნენ გაბერილ სახელმწიფო აპარატს. ბიუროკრატიული სტრუქტურები მდგრადი არიან ყველაზე მძიმე ნგრევის მიმართაც კი: რაც უფრო რადიკალურია გარდაქმნები, მით უფრო მეტი ენერგია იხარჯება ბიუროკრატიული აპარატის მიერ საკუთარი თავის გადასარჩენად. დღევანდელ პოსტრევოლუციურ პერიოდში ნათლად ჩანს, თუ როგორ რეაგირებს მართვის სისტემა გართულებულ და გამრავლებულ პრობლემებზე: ამრავლებს თავის სისტემურ სიმახინჯეებს, შემოაქვს დამატებითი იერარქიული მართვის დონეები, ქმნის უამრავ უპასუხისმგებლო საკოორდინაციო სტრუქტურას. შედეგი მარტივია: რაც უფრო რთულია და უმართავია მართვის სისტემა, მით უფრო ადვილია მასში კორუფციის დაბუდება. პოსტრევოლუციურ პერიოდში განსაკუთრებით ძნელია სახელმწიფოს მიერ საბაზრო ეკონომიკის თამაშის წესების და კერძო საკუთრების უფლების განუხრელი დაცვა, ხოლო თუ მეწარმემ ასეთი დაცვა ვერ იგრძნო სახელმწიფოს მხრიდან, მაშინ ის იგივეს ეძებს კონკრეტული მოხელეებისაგან. ამავე დროს ნომენკლატურული სისტემის რღვევის შემდეგ არ შექმნილა მოხელეების შერჩევის და დაწინაურების თანამედროვე სისტემა, ახალი ტალღის ბიუროკრატებში ბევრია შემთხვევითი პიროვნება, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში მიდიან, რათა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენონ არცთუ კეთილშობილური მიზნით.

5. **სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე. საზოგადოების გათიშულობა ხელისუფლებისაგან.** დემოკრატიულ სახელმწიფოს თავისი პრობლემების გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან ერთად. მოქალაქეთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის დაცემა და ამით გამოწვეული გულაცრუება ხელს უწყობს საზოგადოების გაუცხოებას ხელისუფლებისაგან და მის იზოლირებას სახელმწიფოსაგან. ამავე დროს აღიარებული ფაქტია, რომ არც დაბალი დონის და არც მაღალი ეშელონების კორუმპირებულობის დათრგუნვა არ შეიძლება საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარეშე.

6. **დემოკრატიული პოლიტიკური ტრადიციების განუვითარებლობა.** კორუფციის პოლიტიკაში შეღწევას ხელს უწყობს: პოლიტიკური კულტურის განუვითარებლობა, რაც გამოიხატება არჩევნებში ამომრჩევლების მიერ ხმის მიცემაში გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, ან ასარჩევი

კანდიდატის დემაგოგიური გამოსვლების აყოლის შედეგად. ამის გამო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების კორუმპირებულობას ჯერ კიდევ არჩევნების პერიოდში ეყრება საფუძველი. რეალური პოლიტიკური კონკურენციის არარსებობა პოლიტიკურ სფეროში ვერ ქმნის კორუფციის საპირწონეს და ვერ ზღუდავს პოლიტიკურ ექსტრემიზმს. შედეგად ქვეითდება პოლიტიკური სტაბილურობის შანსები. პოლიტიკურ ცხოვრებაში ოპოზიციის მიერ სიტუაციაზე ზეგავლენის შეუძლებლობა ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს უბიძგებს გაცვალონ პოლიტიკური კაპიტალი ეკონომიკურზე, ამავე დროს ხორციელდება თანდათანობითი გადასვლა ნახევრადლეგიტიმური ლობიზმიდან ღია კორუფციაზე.

ზოგადად **ფუნდამენტური** (ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების არასრულყოფილება), **ორგანიზაციული** (კანონების ძალიან ხშირი ცვლა, კონტროლის სისტემის სისუსტე, ანაზღაურების დაბალი დონე) და **სოციეტალური** (ბიუროკრატიული ქცევის ნორმები, საზოგადოების ტოლერანტული დამოკიდებულება კორუფციისადმი) ფაქტორები ქმნიან სიტუაციას, როცა ხდება საბაზრო წესის ("სარგებლის ძებნა") შემოტანა სახელმწიფო რეგულირების პროცესში.[6]

ბიზნესის თეორიის ერთ-ერთ უმთავრეს აქსიომას წარმოადგენს ის, რომ ნებისმიერ მონოპოლისტს შეუძლია უფრო მაღალი ფასის მოთხოვნა, ვიდრე ის ფასია, რომელიც კონკურენტული ბაზრის არსებობის შემთხვევაში ჩამოყალიბდებოდა. ამგვარად მოღებულ ზედმეტ შემოსავლებს ეწოდება "მონოპოლისტური რენტა" (*monopolist rent*). როცა ეკონომიკური ან სახელმწიფო სტრუქტურა მონოპოლიების არსებობის საშუალებას იძლევა, ადამიანებს უჩნდებათ სურვილი ეს მონოპოლიები ხელში ჩაიგდონ. გამარჯვებული იღებს მონოპოლიას, დამარცხებული - არაფერს. ის რესურსი, რომელიც დამარცხებულებმა დახარჯა ამ პროცესში, ჩვეულებრივ არავითარ საქონელს ან მომსახურებას არ ქმნის. ეს დანახარჯები, ეკონომისტ ჯაგდიშ ბჰაგვატის განსაზღვრით, არის "პირდაპირ არაპროდუქტიული" (*directly unproductive*). შედეგად რენტის მაძიებლის ქცევა, უმეტეს შემთხვევაში, სოციალურად არაპროდუქტიულია. სახელმწიფო სექტორის მრავალი საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს აქვს მონოპოლიური ძალაუფლება გარკვეული საქონლის და მომსახურების მიწოდებისას (პოლიციის მიერ დაცვა, ექსპორტის ნებართვა, სახელმწიფო უნივერსტეტში მიღება, საგადასახადო შეფასებები და ასე შემდეგ). ამრიგად მოხელეებს, რომლებსაც მოქმედების თავისუფლება გააჩნიათ, უჩნდებათ ცდუნება, ასეთი მომსახურებისას მოითხოვონ მონოპოლისტური რენტა. შედეგად მოქალაქეები "ზედმეტად მაღალ" ფასს იხდიან ამ საქონელში.[7]

რენტულ-ორიენტული ქცევა (*rent-seeking*) ქმნის შემდგომ სოციალურ დანაკარგს. სახელმწიფო მოხელეები შესაძლოა ერთმანეთს შეეცილონ მონოპოლისტური გადახდის პოზიციების დაუფლებაში და თავისი დრო და ენერგია დახარჯონ არა პროდუქტიულ ქცევაზე, არამედ არაპროდუქტიული რენტის მოპოვებისათვის ბრძოლის პროცესში. ასეთ პერსპექტივას შეუძლია შექმნას არაპროდუქტიული რენტის მოსაპოვებელი სტიმულები მთელ მთავრობაში.

---

[6] *С.М.Ечмаков, Теневая экономика: Анализ и моделирование, Финансы и статистика, 2004*

[7] *J.N.Bhagwati, Directly Unproductive, Profit-Seeking (DUP) Activities,Journal of Political Economy 90, 1982*

შედეგად მიიღება სურათი, თითქოს მძიმე სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავლად კორუფციის "დადებითი" მხარე გვევლინება:

- სახელმწიფოს შეუძლია ფორმალური კრიტერიუმების გამოყენებით ისედაც დეფიციტური რენტის განაწილება გაწეროს დიდი ოდენობის კერძო პირებზე და ფირმებზე (***ქრთამი წმენდს ბაზარს***);
- საჯარო სექტორში მოხელეები სუსტად არიან მოტივირებული, დაბალი ხელფასის და შიდა კონტროლის დაბალი დონის გამო (***ქრთამი ასრულებს პრემიის როლს***);
- კერძო პირები და ფირმები ცდილობენ დაწიონ დანახარჯები, რომელსაც მათ სახელმწიფო ადებს გადასახადების, სამომხმარებლო უფლებების და რეგულირების სახით (***ქრთამი უმცირებს დანახარჯებს მათ, ვინც მას იხდის***);
- სახელმწიფო ხშირად გადასცემს დიდ ფინანსურ მოგებას კერძო ფირმებს კონტრაქტების, პრივატიზაციის და კონცესიების მინიჭების საშუალებით (***ქრთამი ზემოქმედებას ახდენს მონოპოლურ რენტაზე და მის გაყოფაზე კერძო ინვესტორსა და საჯარო მოხელეებს შორის***);
- პოლიტიკურ პროცესებში პოლიტიკოსების მოსყიდვით შესაძლოა მათზე ზეგავლენა. პოლიტიკოსების მიერ მოსყიდვა - ეს ხმების ყიდვაა (***ქრთამს შეუძლია ჩაანაცვლოს პოლიტიკური ზეგავლენის ფორმები***);
- სასამართლოს აქვს ძალაუფლება დაადოს დანახარჯები და გადაანაწილოს რესურსები მხარეებს შორის (***ქრთამს შეუძლია გადაფაროს მძიმე ნორმები***).

ეს პროცესი წარმოადგენს აბსოლუტურ უნივერსალიას და დამახასიათებელია თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ქვეყანას განვითარების თავისი გზა და წინაპირობები აქვს. ს.ჰანტიგტონი იყენებს რამდენიმე დაშვებას იმ პირობების შესახებ, რომლებიც უბიძგებენ სამთავრობო კორუფციას:

- სწრაფი ზრდის და მოდერნიზაციის პერიოდში კორუფციას ზრდის ტენდენცია გააჩნია ფასეულობათა ცვლილების, სიმდიდრის და ძალაუფლების ახალი წყაროების წარმოჩენის და მთავრობის უფლებების გაფართოების გამო;
- ნაკლები კორუფციაა იმ ქვეყნებში, სადაც მეტი სოციალური სტრატიფიკაცია, კლასობრივი პოლარიზაცია და ფეოდალური ტენდენციებია. ეს პირობები იძლევიან ნორმების და სანქციების უფრო მკაფიო სისტემას, რაც ამცირებს კორუფციული ქცევის ჩადენის შესაძლებლობას და მის მიმზიდველობას;
- ლათინური ამერიკის "შავკანიან" ქვეყნებში მეტი კორუფციაა, ვიდრე "ინდიელთა" და "მეტისების" ქვეყნებში; შავ აფრიკასაც კორუფციის მაღალი დონე აქვს. მიზეზად ჰანტინგტონს მოჰყავს არა თავად რასა, არამედ ამ ქვეყნებში "კლასობრივი დაყოფის საერთოდ არ არსებობის" ფენომენი;
- კორუფციის ბუნებაზე გავლენას ახდენს ქვეყანაში პოლიტიკური შესაძლებლობების ეკონომიკურ

შესაძლებლობებთან შეფარდება. თუ პირველი გადაწონის მეორეს, მაშინ ადამიანები ფულის საკეთებლად პოლიტიკაში წავლენ და ეს გამოიწვევს კორუფციის უფრო მაღალ დონეს;

- თუ ქვეყანაში უცხოური ბიზნესი ჭარბობს ადგილობრივს, ხელშემწყობი პირობები იქმნება კორუფციის გავრცელებისთვის;
- რაც უფრო ნაკლებად განვითარებულია პოლიტიკური პარტიები ქვეყანაში, მით უფრო მეტია კორუფცია.[8]

მოტივაცია - უფროსები, აგენტები და კლიენტები

კორუფციის კვლევის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად ითვლება კორუფციის ეკონომიკური მოდელირება - კორუფციული ქცევა აიხსნება იმისდა მიხედვით, რამდენად დიდი სარგებელი (მოგება) მოაქვს მისი ჩამდენისთვის (“აგენტისთვის”) კორუფციულ ქცევას და რამდენად აღემატება ეს სარგებელი ხარჯებს (ვთქვათ, აქ ნაგულისხმებ რისკებს). მორალური მხარეც ერთ-ერთ ეკონომიკურ ფაქტორად განიხილება (მაგალითად, მორალური კმაყოფილება ერთ-ერთი სარგებელია სხვასთან ერთად).

ამ მიდგომის საილუსტრაციოდ გამოდგება ***უფროსი-აგენტი-კლიენტის მოდელი*** (*Boss-agent-client model*). უფროსს სამსახურში აჰყავს აგენტი, რომელიც უფროსის სახელით ურთიერთობას ამყარებს კლიენტთან. ეს მოდელი მოითხოვს კორუფციისადმი ეკონომიკურ მიდგომას. აგენტი კორუმპირებული იქნება, როდესაც ასეთი ქცევიდან მისი სავარაუდო სარგებელი გადაწონის მის ხარჯებს. კლიენტიც ერთვება მექრთამეობაში, ან უკანონო ქცევის სხვა ფორმებში, როდესაც მისი სარგებელი გადაწონის მის ხარჯებს.

დავუშვათ აგენტს ორი არჩევანი გააჩნია: იყოს, ან არ იყოს კორუმპირებული. თუ ის იღებს ანაზღაურებას, რომელიც არის მისი რეგულარული ხელფასის თანხა + მორალური კმაყოფილება, ეს ნიშნავს, რომ იგი არ არის კორუმპირებული.

თუ აგენტი კორუმპირებულია, ის იღებს ქრთამს. ის ასევე განიცდის იმას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ კორუმპირებულად ყოფნის “მორალური ხარჯი”. ეს ხარჯი დამოკიდებულია მის საკუთარ ეთიკურ, კულტურულ და რელიგიურ სტანდარტებზე, ასევე იმაზე, რასაც მისი კოლეგები აკეთებენ და იმაზეც, თუ რამდენად დიდ ქრთამს იღებს ის, იმისდა მიხედვით, თუ რა დონის პასუხისმგებლობა აკისრია უფროსისადმი. კორუფციულ სუბკულტურაში უსინდისო პიროვნებისათვის კორუმპირებულად ყოფნის მორალურმა ხარჯმა შეიძლება ნულს მიაღწიოს.

კორუმპირებული აგენტი შეიძლება ამხილონ და დასაჯონ. გადაწყვეტილების მიღების დროს მან უნდა შეაფასოს თავისი პერსპექტივები. დასჯაში შეიძლება შედიოდეს ანაზღაურების და სამსახურის დაკარგვა, სისხლის სამართლებრივი დასჯა, სახელის შერცხვენა და ასე შემდეგ.

[8] *S.P.Huntington, Modernization and Development, 1979*

ამრიგად აგენტის არჩევანია:

- მე არ ვარ კორუმპირებული, მე ვიღებ ჩემს კუთვნილ ხელფასს და მორალურ კმაყოფილებას იმისგან, რომ არ ვარ კორუმპირებული.
- მე კორუმპირებული ვარ, მე ვიღებ ქრთამს, მაგრამ "ვიხდი" მორალურ ფასს. არსებობს აგრეთვე შანსი, რომ დამიჭერენ და დამსჯიან, ამ შემთხვევაში ვკარგავ ლეგალური თუ არალეგალური ანაზღაურების წყაროს.

ამრიგად, მე კორუმპირებული ვიქნები თუ:

ქრთამი - მორალური ფასი - (ალბათობა, რომ დამსჯიან)*(სასჯელი) > ჩემი ანაზღაურება + მორალური კმაყოფილება

როდესაც აგენტი კორუმპირებულია, ის იღებს კერძო მოგებას, მაგრამ უფროსისათვის წარმოქმნის "ნეგატიურ გარემოებებს", ანუ წარმოქმნის ხარჯებს. ამიტომ უფროსს სურს, აიძულოს აგენტი, რათა მან ოპტიმალური ხარისხით განახორციელოს, როგორც პროდუქტიული ქმედება, ისე კორუფციული ქმედება. თუ უფროსს სრულყოფილი ინფორმაცია გააჩნია აგენტის პროდუქტიული და კორუფციული ქმედებების შესახებ, ის ადვილად შესძლებს აგენტის დარწმუნებას იმოქმედოს ისე, როგორც ეს მას სურს. უფროსი უხდის აგენტს მისი პროდუქციის ღირებულებას პროდუქტიული ქმედების შემთხვევაში, ხოლო კორუფციული ქმედების შემთხვევაში უფროსი აგენტის შემოსავალს გადასახადს დაადებს, ზუსტად ისე, როგორც ის დაბეგრავდა ნებისმიერი გარემოების წარმომშობ ქმედებას.

ჩვეულებრივ უფროსის მდგომარეობა რთულდება, თუ მას არ გააჩნია სრული ინფორმაცია აგენტის მოქმედების შესახებ, იქნება ეს პროდუქტიული თუ კორუფციული ქმედება. უფროსს ძვირი უჯდება უფრო მეტის გაგება აგენტის ქმედებების შესახებ: აგენტმა იცის რას აკეთებს, მაგრამ უფროსს არ შეუძლია დაიჯეროს ის, რასაც აგენტი ამბობს. აგენტს გააჩნია იმის სტიმული, რომ შეცდომაში შეიყვანოს უფროსი და აფიქრებინოს, რომ ის მხოლოდ პროდუქტიულ ქმედებებს ახორციელებს და არა კორუფციულს. ინფორმაციის ეს ფუნდამენტალური ასიმეტრია ესმის უფროსს. წინააღმდეგობრივი სტიმულები და ასიმეტრიული ინფორმაცია უფროსი-აგენტის ურთიერთობის პრობლემის შუაგულშია. უფროსი იძულებულია დაადგინოს აგენტის ანაზღაურება და სასჯელი აგენტის ქცევის შესახებ სრულყოფილი ცოდნის გარეშე. უფროსმა შეიძლება დაინახოს გარკვეული სისტემების შემოღების აუცილებლობა აგენტის ქმედების შესახებ გარკვეული ინფორმაციის შეგროვების მიზნით, მაგრამ ეს სისტემები თავისთავად ძვირი ჯდება.

უფროსი-აგენტი-კლიენტის მარტივი მოდელი, კორუფციასთან დაკავშირებით რამდენიმე დასკვნას გვთავაზობს. უკანონო ქმედებები მეტი იქნება, როდესაც აგენტებს მონოპოლიური ძალაუფლება აქვთ კლიენტებზე, აქვთ მოქმედების თავისუფლება და ანგარიშვალდებულება არასაკმარისია. კლიენტებს

ქრთამის გადახდის სურვილი მაშინ უჩნდებათ, როდესაც აგენტების მომსახურებიდან მონოპოლიურ რენტას იმკიან. აქედან გამომდინარე კორუფციის ძირითადი ფორმულა ასე გამოიყურება:

კორუფცია = მონოპოლია + მოქმედების თავისუფლება - ანგარიშვალდებულება[9]

კორუფციის დაძლევა და საზოგადოებრივი ფასეულობები

საერთაშორისო ანტიკორუფციული ორგანიზაციის "საერთაშორისო გამჭირვალების" მიერ მოწოდებული ე.წ. "კოლონადის" სქემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთა რიგში დღესდღეობით საქართველოც მოიაზრება. მასზე გამოსახულია ყველა ელემენტი, რომელმაც ეს კოლონადა უნდა ააშენოს. თუ რომელიმე ელემენტი (სვეტი) თავიდანვე სხვაზე სუსტია (დაბალია), ან შემდეგ მოირყა, სახურავი ერთი მიმართულებით დაიხრება და მასზე განთავსებული არამდგრადი ბურთები ჩამოგორდებიან და დაიმსხვრევიან. ყველა ქვეყანას, როგორ პირობებშიც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, სურს რომ მისი მიზნების სისტემა წარმოდგენილი იყოს ამ სამი სფეროთი - **მდგრადი განვითარებით** (არა მარტო ეკონომიკაში, არამედ ამ სიტყვის ყველანაირი მნიშვნელობით), **კანონის უზენაესობით**, და **ცხოვრების ხარისხით**, რომელიც შეესაბამება სამართლის ნორმებს.

ნახ.1. "კოლონადა" [10]



[9] *J.Wojciechowicz, Anti-Corruption and the Local Governments, The World Bank, 2002*

[10] *J.Pope, The Transparency International Source Book, National Integrity Systems, 2000*

კოლონადის საფუძველში ჩადებულია მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი - **საზოგადოების ფასეულობები:**

- *ტრადიციული*: ოჯახი, მეგობრები, ერთგულება, პირადი უსაფრთხოება, სტაბილურობა, ხვალინდელი დღისადმი რწმენა, ტრადიციებისადმი ერთგულება;
- *უნივერსალური*: სიკეთის კეთება, წარმატება/მიღწევები, პირადი ზრდა, მუშაობა გუნდში, პატიოსნება, სრულყოფილება, გამბედაობა.

ფასეულობათა ეს ჩამონათვალი ჩვენ ფასეულობათა რიგს განეკუთვნება. სპეციალისტები, რომლებიც სწავლობენ ამ საკითხს, ამბობენ, რომ ადამიანების უმრავლესობის ქცევა ეფუძნება არა უმეტეს ხუთ ფასეულობას. ჩვენ, არაცნობიერად ვირჩევთ იმ რამდენიმე ფასეულობას, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ჩვენი პრიორიტეტები ადრეულ ასაკში ფორმირდება.

მსოფლიო ბანკი, რომელიც სერიოზულად უდგება **სიღარიბესთან ბრძოლას** და ამ მოვლენის მიზეზების შესწავლას, კორუფციას განსაზღვრავს, როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთადერთ არსებით წინააღმდეგობას. კორუფცია ამუხრუჭებს ქვეყნის განვითარებას, აფუჭებს კანონს და ინსტიტუტებს, რომელზედაც დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდა. ღარიბები ყველაზე მეტად იტანჯებიან მისგან. მათ არ შეუძლიათ ქრთამთან, თაღლითობასთან და უკანონო ეკონომიკურ პრივილეგიებთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაღება.

იმისათვის, რომ საზოგადოებამ კორუფცია განიხილოს, როგორც პირადი პრობლემა, აუცილებელია ამ მოთხოვნილების შექმნა. რისი გაკეთებაც აუცილებელია, ესაა იმის გაგება, რომ ის, რაც ბედნიერს გაგვხდის ჩვენ, ბედნიერს გახდის სხვა ადამიანებსაც, ის რაც გვაბრაზებს ჩვენ, აბრაზებს სხვა ადამიანებსაც. **კორუფციასთან ბრძოლისას უნდა განვსაზღვროთ არა ჩვენი საკუთარი ფასეულობების სისტემის პრიორიტეტები, არამედ ჩვენი მიზნობრივი აუდიტორიის ფასეულობები**.

კორუფციის შედეგი

კორუფცია, როგორც სოციალური მოვლენა (სამართლებრივი და ეთიკური დარღვევების ერთობლიობა), სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის განვითარების პროცესში და მისი დაძლევის გარეშე შეუძლებელია ვისაუბროთ წარმტებული ნაციონალური პროექტის - სახელმწიფოს განვითარებაზე.

კორუფციდან გამომდინარე და მისი თანამდევი მოვლენებია:

1. რესურსების (და არა შემოსავლების) არაეფექტური განაწილება, რომელიც ეწინააღმდეგება სამთავრობო პროგრამების განხორციელებას, სახელმწიფო ბიუჯეტის ეკონომიურ ხარჯვას, ზრდის სამეწარმეო საქმიანობის ტრანსაქციზურ (არამიზნობრივ) დანახარჯებს;

2. შემოსავლების (და არა რესურსების) უსამართლო განაწილება, მექრთამის და, რიგ შემთხვევაში, მათი კლიენტის გამდიდრება საზოგადოების სხვა წევრების ხარჯზე;
3. განსხვავება გამოცხადებულ და რეალურ ფასეულობებს შორის და "ორმაგი ცნობიერების" ჩამოყალიბება, დამახინჯებული სახელისუფლებო ურთიერთობები, როცა კადრების შერჩევა ხორციელდება არა საქმიანი თვისებების, არამედ იმის მიხედვით, თუ კორუფციულ გარემოში ადაპტაციის როგორი უნარი აქვს ამა თუ იმ ადამიანს;
4. კრიმინალური სტრუქტურების გაძლიერება და მათი სახელმწიფო სტრუქტურებთან დაკავშირება.[11]

კორუფციის დაძლევის ორგანიზაციული ასპექტები

საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, არსებობს სისტემური კორუფციის წინააღმდეგ მოქმედების ოთხი სცენარი.[12]

პირველი სცენარი - ხელისუფლების რევოლუციური ცვლა სახელმწიფოს ყოფილი მეთაურების დაპატიმრებით. ასეთ გზას შეუძლია წარმატების მოპოვება, მაგრამ არა ყოველთვის.

მეორე სცენარი - მოხდეს ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემა. საჭიროა გარკვეული ხარისხის ურთიერთგაგება და ურთიერთდათმობა პროცესში მონაწილე მხარეებს შორის. ეს ასევე ძნელი ამოცანაა, ვინაიდან ქვეყნის ყოფილი კლეპტომანი ლიდერები მიდრეკილნი არიან უფრო მეტი ფულის მისაღებად.

მესამე სცენარი - რეფორმები ხორციელდება ხელისუფლების და სახელმწიფო სამსახურის კარდინალური ცვლილებების ტალღაზე. მაგრამ არსებობს მრავალი მაგალითი, რომ ახალ ხელმძღვანელებს ყურადღება მალე გადააქვთ სხვა საკითხებზე და სწრაფად გადადიან წინა ხელისუფლების გაკვალულ გზაზე.

მეოთხე სცენარი - "პატიოსნების კუნძული". ხდება ცალკეული სახელმწიფო სამსახურის სფეროების მთლიანი სისტემიდან სრული "გამიჯვნა", რათა დაიწყოს ბრძოლა კორუფციასთან ცალკე აღებულ მონაკვეთზე.

ზოგი ამტკიცებს, რომ ერთადერთი, რისი გაკეთებაც აუცილებელია - ესაა კანონის უკეთ ამოქმედება, რომ პრობლემა კორუფციის ფართოდ გავრცელება კი არ არის, არამედ იძულების ზომების უკმარისობა. გარკვეულწილად სახელმწიფო იძულებულია დაემსგავსოს ანტიკურ ღმერთ სატურნს, რომელიც თავის შვილებს ჭამს, აჩენს რა კორუფციას თავის სტრუქტურებში და შემდეგ თავადვე ებრძვის მას.

თუ პრობლემის არსი მხოლოდ ამაში მდგომარეობს, მაშინ კორუფცია მსოფლიოში უკვე დამარცხებული უნდა იყოს. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც კორუფციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, სახელმწიფო სისტემაში

---

[11] *С.М.Ечмаков, Теневая экономика: Анализ и моделирование, Финансы и статистика, 2004*
[12] *Основы противодействия коррупции, СПАРК, 2000*

არსებობს კორუფციის წინააღმდეგ მიმართული კანონები, რომლებსაც უბრალოდ არ იცავენ. ასეთი ქვეყნების უმრავლესობაში არსებობს უმაღლესი თანამდებობის პირების ქცევის კოდექსი, სადაც კეთილმა მიზნებმა ასახვა ჰპოვა, მაგრამ თავად კოდექსი არსებითად მკვდრადშობილია. კორუფციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად არ არის საკმარისი შესაბამისი კანონების მიღება და ამოქმედება. საკითხის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აიძულო სისტემა იმუშაოს და შეცვალოს ადამიანების ქცევის მოდელი.

ანტიკორუფციულ მეთოდოლოგიათა ზოგიერთი ავტორი დაჟინებით მოითხოვს დაისაჯონ მთავარი დამნაშავეები. სხვები ამტკიცებენ, რომ რეფორმების განხორციელებისას წინ უნდა გავიხედოთ, უნდა ვეცადოთ სისტემის შეცვლას, და არა უკან ვიყუროთ და წარსული ქმედებებისთვის დავსაჯოთ დამნაშავეები. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც მიზნად არის დასახული დამნაშავეთა დასჯა, აუცილებელია, რომ არსებობდეს ხელისუფლება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მიდრეკილია კარდინალური რეფორმების განხორციელებისაკენ. მომავალზე, და არა წარსულზე, ორიენტაციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ რეფორმის ოპონირება მინიმუმამდე დადის. ის, ვინც უკანონო და არაპატიოსანი გზით გამდიდრდა (ეს ადამიანები ხშირ შემთხვევაში ქვეყნის ელიტას წარმოადგენენ) არ განიხილავენ კორუფციასთან ბრძოლის პროგრამას, როგორც საშიშროებას პირადად მათთვის. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში მხარდაჭერით უნდა სარგებლობდეს იმის მიუხედავად, თუ კონკრეტულად ვის დაეკისრება სისხლის სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ამ პროგრამის განხორციელების შედეგად.

კორუფციასთან ბრძოლის ამოცანა მდგომარეობს საზოგადოების ფასეულობებთან მუშაობაში და საზოგადოების ცნობიერებაში იმ აზრის დანერგვაში, რომ კორუფცია ანგრევს ამ ფასეულობებს. უნდა შეიქმნას გარდაქმნების მოთხოვნილება. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით ეფექტურია, თუ კი ის მიმდინარეობს იმ საფუძვლებზე, რომელიც ეხება ადამიანების ცხოვრების მატერიალურ მხარეს, ან იწვევს ძლიერ ემოციურ ზეგავლენას.

- მატერიალური მხარე. *თქვენი ფული! კორუფცია ნიშნავს იმას, რომ თქვენ ყველაფერში იხდით გაცილებით უფრო მეტს!*
- ემოციური ასპექტი. *საქართველო თქვენი სამშობლოა! კორუფცია თქვენი სამშობლოს მტერია!* სტატისტიკურად დადასტურებულია, რომ საქართველოში 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის ზრდის დინამიკა, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, აბსოლუტურ კორელაციაშია კორუფციის ზრდის დინამიკასთან. თქვენი ბავშვების სიკვდილი კორუმპირებული ადამიანების სინდისზეა!

საერთო პოლიტიკა კორუფციის შესამცირებლად

კორუფციასთან ბრძოლის პროცესში განხორციელებული ქმედებების შესახებ არსებული მეთოდოლოგია იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია წინამდებარე მასალაში მათი ზოგადი პრინციპების სახით ჩამოყალიბებაც კი. აქედან გამომდინარე, ჩამოვთვლით მხოლოდ უმთავრეს თეზისებს:

- **აგენტის (საჯარო მოხელის) შერჩევა** კვალიფიციურობის, პატიოსნებისა და საიმედოობის გარანტიების მიხედვით. აგენტების შესარჩევად ნეპოტიზმის, ფავორიტიზმის და მსგავსი საშუალებების გამოყენება საპირისპირო შედეგებს გამოიღებს.

- **ჯილდოები და სასჯელები**. მხოლოდ მოხელეთა ხელფასის გაზრდა სიტუაციას ვერ გააუმჯობესებს. მოხელეთა მოტივაციის გასაზრდელად აუცილებელია მონეტარული და არამონეტარული *ჯილდოებისა* და *სასჯელების* სისტემის ამოქმედება. ამასთან უნდა მოხდეს სასჯელთა დიფერენცირება შედეგების მიხედვით.

- **ინფორმაციის შეგროვება**. უნდა ჩამოყალიბდეს *ინფორმაციის მოსაგროვებელი* და *გასაანალიზებელი სისტემები* (აუდიტი, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა და სხვ.) და *საინფორმაციო აგენტების* (აუდიტორი, ინსპექტორი და ა.შ.) სერვისი. გამოყენებულ უნდა იქნეს *მესამე მხარე, როგორც ინფორმაციის წყარო*, ასევე *კლიენტები* და *საზოგადოებრიობა*, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის შიგნით არსებული ინფორმაციული ასიმეტრიის დაძლევას.

- **უფროსი-აგენტი-კლიენტის ურთიერთობის რესტრუქტურიზაცია** ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა *კონკურენცია* (როგორც ნებისმიერი მონოპოლიის მტერი), *აგენტების მოქმედების თავისუფლება* (კორუფციული ქმედების ჩადენის შესაძლებლობის შემცირება), *აგენტების როტაცია*, *ორგანიზაციის მისია ან პროდუქცია* (მიზნების და ქმედებების ნათელი განსაზღვრა), *კლიენტთა ჯგუფები* (ვინაიდან ანტიკორუფციულ განწყობებს სიცოცხლის მცირე ხანგრძლივობა გააჩნიათ, შესაბამისი *ინტერესთა ჯგუფების* ჩამოყალიბება).

- **კორუფციის მიმართ განწყობილების შეცვლა**. საზოგადოების კორუფციისადმი დამოკიდებულების შეცვლის აპრობირებულ საშუალებებს წარმოადგენს: *განათლება* და *საკუთარი მაგალითი* (კორუფციული ქცევის თანამდევი ხარჯების შესახებ ინფორმირება), *ეთიკის კოდექსი* (მაგალითისათვის გამოდგება 1995 წელს დიდ ბრიტანეთში ე.წ. ნოლანის კომისიის მიერ საჯარო სამსახურისათვის შემუშავებული 7 პრინციპი, რომელიც ეფუძნება *უანგარობის, მოუსყიდველობის, ობიექტურობის, ანგარიშვალდებულების, ღიაობის, პატიოსნებისა* და *ხელმძღვანელობის* მეთოდოლოგიურად დამუშავებულ პრინციპებს), *ორგანიზაციული კულტურა* (მოსამსახურეთა მიერ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა).

ნებისმიერი ქვეყნის მოხელეებს **ფასეულობების ორი ნაკრები** აქვთ: ოფიციალური (დაკანონებული) და არაოფიციალური (ტრადიციები და ჩვეულებები). თუმცა მოხელეები მოწოდებული არიან ემსახურონ კანონს, სულის სიღრმეში ისინი უფრო ხშირად ითვლებიან არაოფიციალური ფასეულობების მიმდევრებად. ტრადიციების ძალა იმდენად დიდია, რომ თუმცა თვითონ მოხელეები საჯაროდ უარყოფენ ტრადიციებს, ისინი მაინც მუდმივად იმყოფებიან მათი ზეგავლენის ქვეშ. მაგალითად, პოლიტიკოსები და მაღალი რანგის მოხელეები უმადურობის ბრალდების თავიდან აცილების მიზნით იძულებულნი არიან თავის გარემოცვაში მეგობრები და ახლო ნათესავები იყოლიონ. ასეთი ვითარება სიძნელეებს უქმნის იმ

მოხელეებს, რომლებიც აცნობიერებენ კანონის ფასეულობას. თუ სამოხელეო აპარატის მწვერვალზე ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ზოგიერთ უხერხულობას ქმნის, რიგით მოქალაქეებში ასეთმა მდგომარეობამ ნამდვილი პანიკა უნდა გამოიწვიოს.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით აუცილებელია:

1. არაორაზროვანი ინსტრუქციების მეშვეობით შემუშავდეს გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა ისე, რომ გამოირიცხონ ის პირები, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ ნათესავების ‘ კლანის ზეწოლის ქვეშ;
2. ინსტრუქციები მიტანილი უნდა იყოს საზოგადოებამდე. ხაზი უნდა გაესვას, რომ მოხელეებმა ნებისმიერი ტრადიციული ტესტის ადაპტირება უნდა მოახდინონ ახალ რეალობასთან;
3. უნდა მოხდეს კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტური სისტემის შექმნა და ნათლად განისაზღვროს მოხელეების ქცევის წესები და ეთიკის ნორმები;
4. ფართოდ იქნეს გამოყენებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა დონის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას მათთვის დაქვემდებარებული ყველა ქვედანაყოფის ქმედების მიმართ.

სიტუაცია 2003 წლამდე

ყველა ზემოაღნიშნული პრობლემა სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში წინ დაუდგა საქართველოსაც, ისევე როგორც ახალი დემოკრატიის მშენებელი ქვეყნების უმრავლესობას.

მართალია გასული საუკუნის 90-იანი წლების მანძილზე ქვეყანაში შემუშავდა მთელი რიგი ანტიკორუფციული პროგრამები, მაგრამ პრაქტიკაში მათი რეალიზება არ მომხდარა.

2002 წელს მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში ადმინისტრაციული კორუფციის და სახელმწიფო ფუნქციების მიტაცების ინდექსისა და ხელისუფლებაზე კორუფციის ზეგავლენის ხარისხის გაზომვამ და მათი ინტეგრირებული მაჩვენებლების კვლევამ საქართველოსთვის საკმაოდ სავალალო სურათი გამოავლინა.

ადმინისტრაციული კორუფცია (*Administrative corruption*) *არის საჯარო მოხელეების მიერ, დადგენილი კანონების, წესების და ინსტრუქციების შესრულების დამახინჯება გადახდილი ქრთამის საფასურად.*
სახელმწიფო ფუნქციების მიტაცება (*State Capture*) *არის კერძო სტრუქტურების მხრივ გამოვლენილი ძალისხმევა, რათა ჩამოყალიბდეს ისეთი იურიდიული პოლიტიკური და მარეგულირებელი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო მოხელეების კერძო მოგების უკანონო, გაუმჭვირვალე პირობებს და ამ გზით კერძო სტრუქტურების მხრივ სახელმწიფო ფუნქციების მიტაცებას (მაგალითად: კანონმდებელთა ხმების მოსყიდვას, აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე უკანონო ზეგავლენას კერძო შესყიდვების პროცესში, სასამართლოს გადაწყვეტილებების შეცვლას მოსყიდვის გზით, პოლიტიკური პარტიების უკანონო დაფინანსებას).*

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული კორუფციის და სახელმწიფო ფუნქციების მიტაცების შეფარდების კვლევის მეთოდიკა საშუალებას იძლევა დადგინდეს ქვეყნის კორუფციული ტოპოლოგია, რის შედეგადაც მუშავდება სახელმწიფოთა ანტიკორუფციული სტრატეგიის გეგმა.[13]

სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს მაგალითზე არსებული მონაცემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესწავლილი ადმინისტრაციული კორუფციის მაღალი ინდექსი გამოვლინდა აზერბაიჯანში და სომხეთში (შესაბამისად 5,6 და 4,5), ხოლო საქართველოში მისი დონე 4,2 გაუტოლდა.

[13] *D.Kaufmann, Seize the State, Seize the Day: State Capture, Corupption, and Influence in Transition Economies, World Bank Policy Research Working Paper 2444, 2000*

რაც შეეხება კერძო სტრუქტურების მიერ სახელმწიფოს ფუნქციების მიტაცების ინდექსს, აზერბაიჯანი გამოკვეთილი "ლიდერი" იყო 41 ერთეულით, ხოლო სომხეთში მისი დონე საკმაოდ დაბალი იყო (დაახლოებით 6 ერთეული), საქართველოში იგი აღწევდა 32 ერთეულის ნიშნულს, რაც საკმაოდ მაღალ (უარყოფითი გაგებით) მაჩვენებლად ითვლება.

ამ პარამეტრის მიხედვით აზერბაიჯანი მოხვდა კორუფციის დონის საშიშ, მაღალ ზონაში, აზერბაიჯანთან შედარებით არც საქართველომ "დათმო" პოზიციები. რაც შეეხება სომხეთს, სახელმწიფო ფუნქციების მიტაცების დაბალი ინდექსის გამო მან უფრო მომგებიანი პოზიცია დაიკავა და კორუფციის საშუალო დონის მქონე ქვეყნების სიაში აღმოჩნდა.

კარგი მმართველობის და სახელმწიფო ფუნქციების მიტაცების ინდექსების შეფარდების შედარებითმა ანალიზმა ასევე არასახარბიელო სურათი მოგვცა. კარგი მმართველობის დაბალმა ინდექსმა (1,2) და სახელმწიფოს მიტაცების მაღალმა მაჩვენებელმა (32) საქართველო საკმაოდ არამომგებიან მდგომარეობაში ჩააყენა აზერბაიჯანთან (შესაბამისად 1,5 და 41) და სომხეთთან (1,7 და 6) შედარებით.[14]

ედუარდ შევარდნაძის საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ათწლიანი ყოფნის შემდგომ, მზარდმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კორუფციამ და სამართლის ნორმების შელახვამ საშიშროების წინაშე დააყენა საქართველოში გარდამავალი პერიოდის დემოკრატიის და საბაზრო ეკონომიკის განვითარება; ხალხის პროტესტის შედეგად, 2003 წლის ნოემბერში, ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა გადამდგარიყო თავისი პოსტიდან.

სიტუაცია 2003 წლის შემდეგ

"ვარდების რევოლუციის" განხორციელების შედეგად ქვეყანაში მოხდა ქართული საზოგადოების ტრანსფორმირების დაკვეთის ერთგვარი რეალიზაცია. ანოკრატიულ, ნეოპატრიმონიალურ, კლიენტელური სოციალურ-პოლიტიკური საზოგადოებრივი სისტემიდან, უსისხლო რევოლუციის შედეგად (ლოზუნგით: "საქართველო კორუფციის გარეშე"), უნდა განხორციელებულიყო ქართული საზოგადოების განვითარების ახალ სისტემაზე გადასვლა.

რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა პოლიტიკურმა ძალებმა მოახდინეს კორუფციასთან ბრძოლის დაწყების დეკლარირება და დაიწყეს საკმაოდ რადიკალური ქმედებები, მაგრამ რეალური შედეგების მიღწევამდე ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

[14] *J.Wojciechowicz, Anti-Corruption and the Local Governments, The World Bank, 2002*

ჯერ კიდევ გასული საუკუნის II ნახევარში (1978), ნეოპატრიმონიალური რეჟიმის საზოგადოებაში რევოლუციის შედეგების შესახებ საინტერესო დასკვნები აქვს გაკეთებული ***შ.ეიზენშტადტს****; ეს დასკვნები, ჩვენი აზრით, დღევანდელი ქართული სინამდვილის წინასწარმეტყველურ განჭვრეტას წააგავს:*

1. *ყველა პირობის არსებობის მიუხედავად, ნეოპატრიმონიალური საზოგადოების მქონე ქვეყნებში ხდება არა წმინდა, კლასიკური სახის რევოლუცია, არამედ ადგილი აქვს კვაზირევოლუციებს, რომლებიც ხორციელდება გარედან ჩარევის და ზეგავლენის დიდი დოზით არსებობის პირობებში;*
2. *როგორც წესი, ასეთი საზოგადოებები ახდენენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალებსა და ინტელექტუალურ ლიდერებს შორის კავშირების სისუსტის დემონსტრირებას;*
3. *ყველა ამდაგვარი რეჟიმი ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობის მხოლოდ უმნიშვნელო გარდაქმნას ახდენს, მას მინიმუმამდე დაჰყავს სოციალური ჯგუფების ცენტრისადმი ავტონომიური ხელმისაწვდომობა და ამის სანაცვლოდ აქცენტი კეთდება პატრონ-კლიენტის და კორპორაციული წარმონაქმნების ურთიერთობის გავრცელებაზე.*

ეს ტენდენციები ნაწილობრივ გადაილახება საერთაშორისო ძალების ზეწოლის შედეგად და ან ადგილობრივი ელიტების გაძლიერებით. ამ უკანასკნელთა ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ასეთ რეჟიმებში მხოლოდ იძულების გზით შეიძლება მოხდეს ღრმა ცვლილებები.

დღესდღეობით, ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლიდან სამი წლის შემდეგ, შესაძლებელია მის მიერ გატარებული ანტიკორუფციული ძალისხმევის შეფასება და მასში გარკვეული ტენდენციების გამოკვეთა.[15]

სწრაფი ანტიკორუფციული რეფორმების მომხრე ახლად არჩეულმა პარლამენტმა მიიღო რამდენიმე კანონი, რომელთაც, როგორც ნავარაუდევი იყო, უნდა შეემცირებინათ კორუფცია შეკავების და გამოვლენის მექანიზმების წყალობით. ამ მექანიზმებს განეკუთვნება:

- "პროკურატურის შესახებ" კანონში და "საქართველოს ადმინისტრაციულ-პროცესუალურ კოდექსში" მიღებული შესწორებები და ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო მოხელეების უკანონოდ შეძენილი ქონების კონფისკაციას, პროკურატურის და სასამართლო სისტემის აქტიური ამოქმედების გზით;
- "სახელმწიფო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებები და შესწორებები, რომლებიც ითვალისწინებენ სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირების კეთილსინდისიერების შემოწმებას;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებენ მძიმე დანაშაულების გამოძიების პროცესში ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე წამოსული პირების სამართლებრივ დაცვას;

[15] *S.N.Eisenstadt, Revolution and the Transformation of Societies, 1978*

- კანონი "ფინანსური პოლიციის შესახებ", რომელიც ხელს უწყობს ფინანსური კორუფციის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას;
- კანონი "განვითარების და რეფორმების ფონდის შესახებ", რომელიც, მექრთამეობის შემცირების მიზნით, ყურადღების კონცენტრაციას ახდენს პასუხისმგებელი საჯარო მოხელეებისთვის მაღალი ხელფასის გადახდაზე.

საკანონმდებლო ინიციატივებთან ერთად გატარებული იქნა გადამწყვეტი ღონისძიებები კორუმპირებული თანამდებობის პირების გამოვლენის და სასამართლო დევნის მიმართულებით.

ახლადწარმოქმნილი პრობლემები

ახალი ხელისუფლების მნიშვნელოვანი ანტიკორუფციული ძალისხმევა, რიგ შემთხვევაში, დაკავშირებული იყო მთელ რიგ პროცედურულ დარღვევებთან. საკუთარი ადმინისტრაციული ფუნქციების კონტროლის აღდგენის და კონსოლიდაციის მიზნით სახელმწიფო ინსტიტუტები გვერდს უვლიდნენ საქართველოს ზოგიერთი კანონის მოთხოვნებს და თავისი მოქმედების გამართლებას საქართველოში არსებული მდგომარეობით ცდილობდნენ.

საერთაშორისო ორგანიზაციის "საერთაშორისო გამჭირვალობა" (*Transparency International)* კორუფციის აღქმის ინდექსის მაჩვენებელის მიხედვით (რომელიც აჩვენებს კორუფციის დონეს ქვეყანაში), საქართველომ 85-ე (2002 წელი) ადგილიდან 124-ე ადგილზე (2003 წელი) გადაინაცვლა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ბოლო ადგილები გაინაწილა ტაჯიკეთთან ერთად. 2005 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელით ქვყანამ, მიუხედავად ხელისუფლების მირ გატარებული ანტიკორუფციული ღონისძიებებისა, 133-ე ადგილი დაიკავა.[16]

2003 წელს საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, ერთ-ერთი პირველი საკანონმდებლო ინიციატივა იყო პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო შესწორებები, რომლითაც პრეზიდენტს, რიგ სიტუაციებში, ენიჭება პარლამენტის დაშლის უფლება. გარდა ამისა, შესწორებები ზეგავლენას ახდენს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის არსებულ ურთიერთწონასწორობაზე. ის ასევე ზღუდავს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, აძლევს რა პრეზიდენტს უფლებას დანიშნოს და დაითხოვოს მოსამართლეები. ამავე დროს პრეზიდენტს მინიჭებული აქვს კონსტიტუციური სასამართლოს უფლებამოსილება და სასამართლოს ჩარევის გარეშე აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში შემავალი გადაწყვეტილებების მიღების უფლება, მათი კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში.

მთლიანობაში სისტემამ, რომელიც ამ შესწორებებით არის მიღებული, დაარღვია ბალანსი ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის და გაზარდა მისი დამოკიდებულება პირადად პრეზიდენტის ნებაზე.[17]

---

[16] *Transparency International, Corruption Perceptions Index, 2005, www. transparency.org*
[17] *T.Frye, A Politics of Institutional Choice, Comparative Political Studies, V.30, No.5, 1997*

ამერიკელმა მკვლევარმა თ.ფრაიმ, ჯერ კიდევ 1997 წელს პოსტსაბჭოურ სივრცეში საპრეზიდენტო მმართველობის ინსტიტუციონალური არჩევანის შედარებითი ანალიზის მეთოდით კვლევისას დაადგინა, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველოში ავტორიტარიზმის ხარისხი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალი იყო შუა აზიის ქვეყნების შემდგომ, რის განმაპირობებელ ფაქტორადაც მკვლევარი მიიჩნევდა საპრეზიდენტო მმართველობის უფლებამოსილების მაღალ ხარისხს (ავტორიტარული სისტემისათვის დამახასიათებელი 27 თეორიული საპრეზიდენტო უფლებამოსილებიდან საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი 16 უფლებამოსილებას ფლობდა). კვლევაში გათვალისწინებული იყო კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციეტალური მიდგომების ზეგავლენა საპრეზიდენტო ძალაუფლების ხარისხზე. 2004 წლის კონსტიტუციურმა ცვლილებამ ამ უფლებამოსილებათა სია კიდევ უფრო გაზარდა.

ლათინური ამერიკისა და აფრიკის მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბალანსის დარღვევა აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ ხელს უწყობს ავტორიტარიზმისა და, შესაბამისად ელიტარული კორუფციის ზრდას. საქართველოს შესახებ ანალოგიურის მტკიცება ამ ეტაპზე ძნელია, ვინაიდან სერიოზული ანტიკორუფციული ანალიზი ბოლო წლების მანძილზე ჩვენთან არ ჩატარებულა.

ერთი კი ცხადია, კონსტიტუციური შესწორებების გზით საპრეზიდენტო ძალაუფლების შემდგომი გაძლიერება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა, ავტორიტარიზმის ახალი, პოსტრევოლუციური ფორმის გამოვლენის საშიშროება, თანმხლები რეციდივებით, კვლავ დგას საქართველოს წინაშე.

იმავე პერიოდში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "მთავრობის სტრუქტურის და უფლებამოსილების შესახებ". მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა ზ.ჟვანიამ დაასრულა ახალი კაბინეტის ფორმირება, ახალმა მინისტრებმა თავისი მოღვაწეობა საკადრო გადაადგილებებით დაიწყეს. უმრავლეს შემთხვევაში სამინისტროებში თანამშრომლებს სთხოვდნენ განცხადების დაწერას თანამდებობის დატოვების შესახებ. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო მოხელეების დათხოვნა საჭიროებს შესაბამისი მიზეზის მითითებას და კანონის ამ მოთხოვნის დაცვა სამინისტროს ტრანსფორმირების პროცესს აშკარად გაართულებდა.

სახელმწიფო მოხელეების უფლებების დაცვის ნების არქონა შეინიშნებოდა არა მარტო მათი დათხოვნის დროს, არამედ მათი შემცვლელების დანიშვნის დროსაც - მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გამოქვეყნდა განცხადება ვაკანსიების არსებობის შესახებ. მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს თანამდებობებზე, ახალი ადამიანები დაინიშნენ შერჩევის მკვეთრად განსაზღვრული კრიტერიუმების გარეშე, საკონკურსო პროცედურების გვერდის ავლით.

პარლამენტში 2006 წლის საპრეზიდენტო გამოსვლის დროს პრეზიდენტმა მ.სააკაშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო სამსახურში მხოლოდ მერიტოკრატიული პრინციპით ხდება შერჩევა, რაც აშკარა შეცდომაა და, უკეთეს შემთხვევაში, პრეზიდენტის არაინფორმირებულობაზე მეტყველებს. ამ მხრივ სიმპტომატური იყო სახელმწიფო სამსახურის ბიუროს და დამსახურების საფუძველზე სამსახურებრივი წინსვლის რეფორმირების მაგალითი. რევოლუციის შემდეგ პრემიერ-მინისტრ ზ.ჟვანიას მიერ დეკლარირებულ მერიტოკრატიის პრინციპის დანერგვას სახელმწიფო სამსახურში მოჰყვა სახელმწიფო სამსახურის ბიუროს შექმნა, სადაც, ახალი კონცეფციის მიხედვით, ფუნქციონირებდა საზედამხედველო საბჭო და მოქმედებდა ოთხი ძირითადი დეპარტამენტი (ადამიანური რესურსების მართვის, კადრების მომზადების, ორგანიზაციული განვითარების, ატესტაციის და სერტიფიცირების). სამწუხაროდ, რიგი პოლიტიკური განცხადებების გარდა, ხელისუფლებამ არ ისარგებლა ამ ინიციატივით სახელმწიფო მოხელეების შერჩევის და სამსახურში წინსვლისადმი სრულიად ახალ დამოკიდებულების შექმნის მიზნით. დაარსებიდან ერთი თვის შემდეგ სახელმწიფო სამსახურის ბიურო გაუქმებულ იქნა და მისი ფუნქციების ნაწილი გადაეცა იუსტიციის სამინისტროს.

2004 წლის დეკემბრიდან დღემდე ახალ მთავრობაში, ხშირ შემთხვევაში, ცალკეული გამონაკლისების გარდა, დანიშვნა გრძელდება "ძველი წესებით" - არ არსებობს ღია კონკურსი ნებისმიერ ვაკანტურ თანამდებობაზე. განსხვავება ძველ და ახალ მიდგომებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის ყველა ახლად დანიშნული პირები ახალგაზრდები არიან, სწავლობდნენ საზღვარგარეთ და აქვთ, კორუფციის თვალსაზრისით, "სუფთა" ბიოგრაფია. აქედან გამომდინარე, ფაქტია, რომ მართალია საქართველოს ხელისუფლება კვლავ აცხადებს კორუფციასთან ბრძოლას ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად, მაგრამ ამავე დროს ყოველთვის არ იყენებს ყველაზე უფრო მისაღებ და ცივილურ საშუალებებს ამ მიზნის მისაღწევად.

ხელისუფლების ყველაზე უფრო მკვეთრი და აშკარად ანტიკორუფციული მოქმედებები გამოვლინდა იმ პირთა მასობრივ დაპატიმრებაში, რომლებიც კორუფციაში იყვნენ დადანაშაულებული. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ყოფილი მინისტრები, მინისტრების მოადგილეები, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, სხვა სახელმწიფო მოხელეები და ბიზნესმენები. ხდებოდა დაპატიმრებების ტელევიზიით ჩვენება, ნიღბიანი ადამიანების მიერ იარაღის და ძალის დემონსტრირება.

მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრებული პირების მნიშვნელოვანი ნაწილი ეჭვის ლეგიტიმური ობიექტებად მოიაზრებოდა, უმრავლესობისთვის დღემდე არ არის ჩატარებული მათი საქმეების სასამართლო განხილვა და შედეგად არ არის დამტკიცებული დანაშაული. მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკებს, როგორც ჩანს, არ სურთ თავი შეიკავონ კომენტარებისაგან სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით და დაადასტურონ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება არ აპირებს დაარღვიოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა.

დაპატიმრებებთან დაკავშირებული კიდევ ერთი დიდი პრობლემა წარმოიქმნა თანხის გადახდის სანაცვლოდ ზოგიერთი დაპატიმრებულის გათავისუფლებით. აღსანიშნავია, რომ არსებობს

სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს ასეთი მოქმედების საფუძვლებს: ახალი კანონმდებლობა იძლევა უკანონოდ მოპოვებული ქონების კონფისკაციის უფლებას სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილების შემდეგ, მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ ეს ქონება უკანონო გზით იყო შეძენილი. მრავალ დაკავებულთან მიმართებაში შეიძლება არსებობდეს ირიბი სამხილი, მაგრამ კორუმპირებული ქმედების დამტკიცება დღემდე არ არის დადასტურებული. სახელმწიფო მოხელეების განცხადებით, საფასურის გადახდით განთავისუფლებულთა ფული დაუბრუნდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, თუმცა, თუ დაკავებულთა დანაშაული არ იქნა დამტკიცებული სასამართლოს მიერ, შესაძლებელია ეს ფული უკან გახდეს დასაბრუნებელი.

დასკვნა

2005 წლის მაისში პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა ქვეყნის ანტიკორუფციული სტრატეგიის განმსაზღვრელი კონცეპტუალური დოკუმენტი. პარალელურად ტარდება აქტიური ანტიკორუფციული მოქმედებები ინსტიტუციონალური ცვლილებების მიმართულებით, რომლებიც ამავე დროს გარკვეული პოლიტიკური კონიუნქტურული ფონის მატარებელია. მაგალითად: მსხვილ კორუმპირებულთა შერჩევითი დასჯა - "ყველა დასაჭერიას" ანტიკორუფციული პრინციპის ქართული ვარიანტი და საერთაშორისო პრაქტიკაში "პატიოსნების კუნძულების" სახელით ცნობილი ანტიკორუფციული რეფორმის ქართული ანალოგი (ბრენდი) - საგზაო პოლიციის და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების რეფორმირების განხორციელება. ქართულ ინოვაციას წარმოადგენს ასევე "დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან" პრინციპით, ქართული პოლიტიკური ელიტის მიერ საკუთარ თავზე მორგებით, განხორციელებული საკადრო რეფორმების ინტერპრეტაცია და ფინანსური ამნისტია. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გარკვეული შედეგები კორუფციის შეზღუდვის მიმართულებით მიღწეულია, მაგრამ საწინააღმდეგოზე მეტყველებს კორუფციის აღქმის ინდექსი, რომლის მიხედვითაც საქართველოში ამ მხრივ მდგომარეობა გაუარესდა (154 ქვეყანაში აღრიცხული რეიტინგული ინდექსით 133-ე ადგილი, 2004 წელს 128-ე ადგილთან შედარებით). ბუნებრივია ისმის კითხვა, რაშია საქმე?

პასუხი ამ შეკითხვაზე მხოლოდ იმ შეცდომებში უნდა ვეძებოთ, რომელიც ახალი ქართული ხელისუფლების რევოლუციური ლოზუნგის განხორციელების უსისტემო, სტრატეგიის არ მატარებელ, ქმედებებს უკავშირდება. პოზიტიური მეთოდის ცოდნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ მეთოდის გამოყენებისას დადებითი შედეგის მიღებას. შედეგების მიღებას სჭირდება მისი გამოყენების ზუსტი დროის და იმ სივრცის მოძებნა და მომზადება, სადაც მისი რეალიზაცია უნდა მოხდეს. მენეჯმენტის ენაზე რომ ვთქვათ, საჭიროა გარკვეული ხედვის და სტრატეგიის შემუშავება, ამ სტრატეგიის განხორციელების გარემოს შესწავლა და მხოლოდ ამის შემდგომ იმ დროითი სივრცის მოძებნა, როდესაც უნდა განხორციელდეს ეს სტრატეგია.

ქვეყანაში სოციალური კაპიტალის შენების შედეგად მიღებული სოციალური და პოლიტიკური სისტემა ის ერთადერთი გარემოა, რომელშიც შეიძლება მოიაზრებოდეს სერიოზულად გათვლილი ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელება. საქართველოში დღეს მემკვიდრეობით მიღებული,

და გარკვეულწილად ახალი ხელისუფლების მიერ კულტივირებული, ნეოპატრიმონიალური რეჟიმის შეცვლას ამ უკანასკნელის არსის გაცნობიერება, ხედვის შემუშავება, პრობლემების დაძლევის სტრატეგიის შემუშავება და შემდგომ განხორციელება სჭირდება.

ქვემოთ სოციალური კაპიტალის მატარებელი საზოგადოების (და არა მხოლოდ სახელმწიფოს) კორუფციის დასაძლევად მიმართული სისტემური ძალისხმევის და ამისთვის გასატარებელი ქმედებების ერთ-ერთი მაგალითია მოყვანილი. სქემაზე მოცემულ ცალკე აღებულ არც ერთ ქმედებას არანაირი შედეგის მოტანა არ შეუძლია, გარდა ხელისუფლების ანტიკორუფციული იმიჯის შემქმნელი მოკლევადიანი განწყობისა. ერთობლიობაში კი ეს ქმედებები ის ძალაა, რის საფუძველსაც სოციალური კაპიტალი წარმოადგენს.

ნახ.2. კორუფციასთან ბრძოლის მრავალასპექტიანი სტრატეგია [18]



აშკარა ხდება, რომ საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ პრობლემის გააზრებისა და მოქმედების ნათელი სტრატეგიის ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია რეალური წარმატების იმედი ვიქონიოთ კორუფციის ფენომენის დაძლევის გზაზე.

[18] *J.Wojciechowicz, Anti-Corruption and the Local Governments, The World Bank, 2002*

მსოფლიოში, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში გამოიკვეთა სამი ძირეული მიდგომა, რომლებიც სახადასხვა ქვეყანაში და სახვადასხვა პერიოდში იყო აპრობირებული.

თავისთავად ამა თუ იმ მოდელის არჩევა არ ნიშნავს, რომ დადებითი შედეგი გარანტირებული იქნება. თითოეული მოდელთაგანი წარმატებით განხორციელდა მთელ რიგ ქვეყნებში, მაგრამ სხვა ქვეყნებში ამ მიდგომამ ან ვერ იმუშავა, ან უარყოფითი შედეგი გამოიღო.

ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ, თუ რომელია ქვემოთჩამოთვლილი სამი გზიდან საქართველოსთვის ყველაზე მისაღები, და ხომ არ არის საძებნელი რაიმე სხვა გზა.

მიდგომა 1. "ყველა კორუმპირებული დასაჭერია"

ხდება ხელისუფლების სრული ცვლა სახელმწიფოს ყოფილი ლიდერების დაპატიმრების გზით. ასეთი გზა შეიძლება წარმატებული იყოს, მაგრამ არა ყოველთვის.

ეს სცენარი გულისხმობს ე.წ. "ნულოვან ვარიანტს": ა) ძველ დამნაშავეებს ჩამოერთმევათ არაკანონიერი გზით მოპოვებული ქონება და ისინი იურიდიულად პასუხს აგებენ ჩადენილი ქმედებებისათვის; ბ) ყველა მოქალაქისათვის შეიქმნება თანაბარი სასტარტო პირობები. ეს ნიშნავს, რომ ყველა იწყებს ნულიდან (თავიდან), ოღონდ კანონიერ ფარგლებში, და გადის ყველა იმ საფეხურს, რაც ადრე კანონდარღვევით გაიარა საზოგადოების "ელიტარულმა" ნაწილმა. ამავე დროს, უნდა ჩამოყალიბდეს იმ საზოგადოებრივი ჯგუფების კომპენსირების მექანიზმები, რომლებიც დაზარალდნენ კორუფციული პერიოდის განმავლობაში (სოციალურად დაუცველი ფენები და სხვ.), ან დაზარალდებიან ზემოაღნიშნული ქმედებების განხორციელების პროცესში (მაგ. ის ადგილობრივი ან უცხოელი ბიზნესმენები, რომლებმაც, სრულიად კანონიერი მეთოდებით, გარკვეული ინვესტირება მოახდინეს კორუმპირებული "ელიტის" მიერ წამოწყებულ ბიზნესში).

მიდგომა 2. "დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან"

ყოფილ ლიდერებს არ სთხოვენ საზოგადოებისაგან სრულ გარიყვას და'ან ქვეყნის დატოვებას. ხდება ხელისუფლების ცვლა მშვიდობიანი გზით, ძველი ხელისუფლების ჩუმი თანხმობით. საჭიროა გარკვეული ხარისხის ურთიერთდათმობა ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის.

ფინანსური და, ზოგ შემთხვევაში, პოლიტიკური ამნისტიის შედეგად იმ შემთხვევაში ხდება ძველი დანაშაულებრივი ქმედებების სრული პატიება, თუ დაკმაყოფილდება ორი ძირითადი მოთხოვნა:

- "შეწყალებულთა" მიმართ არ გატარდება დამსჯელი ღონისძიებები, თუ ისინი ამიერიდან აღარ დაარღვევენ თამაშის ლეგალურ წესებს და
- წინა წლებში დაგროვილ ფინანსურ, ან სხვა სახის რესურსებს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით ისე გამოიყენებენ, რომ მათ გარდა სხვამაც მიიღოს სარგებელი (ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, საგადასახადო ბაზის ზრდა წარმოებისა და მომსახურების გაზრდის გზით).

მიდგომა 3. "პატიოსნების კუნძულები"

კორუფციისგან თავისუფალი ზონების, "ანკლავების" შექმნა. ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუტების გამიჯვნა დანარჩენი სისტემისაგან, რათა კორუფციასთან ბრძოლა ცალკე აღებულ მონაკვეთზე დაიწყოს.

ამ სცენარის განვითარების შემთხვევაში ხდება არა ყველა კორუმპირებულის დაპატიმრება ან დანაშაულის სრული პატიება, არამედ ცალკეულ სფეროებში სამართლიანი თამაშის წესების ჩამოყალიბება. ასეთი სფეროები შეიძლება იყოს როგორც ახლად წარმოქმნილი (მაგ. კომუნიკაციების სფერო, კომერციულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის ახალი სტრუქტურები), ისე ძველი, მაგრამ სასიცოცხლო აუცილებლობის მქონე (ავტოინსპექციის პატრულით ჩანაცვლება, საგადასახადო სამსახური ან საბაჟო). კორუფციისგან თავისუფალი სივრცე უნდა ჩამოყალიბდეს დაახლოებით ისეთივე პრინციპით, როგორც დამოუკიდებლობის პერიოდში ყალიბდებოდა, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები - ისინი თავიდანვე არ ყოფილან დაკავშირებული კორუმპირებულ სახელმწიფო აპარატთან; ფინანსდებოდენ უცხოური ფონდების მიერ და ადგილობრივი მაფია მათზე ზეგავლენას ვერ ახდენდა; დასავლეთი მათ მორალურად, და ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურადაც, უჭერდა მხარს.

თითოეული ზემოხსენებული მიდგომა, თავის მხრივ, წარმოადგენს მოქმედებათა ერთობლიობას, სადაც ნათლადაა განსაზღვრული, თუ:

- რას ვისახავთ მიზნად?
- რა უნდა გაკეთდეს ამ მიზნის მისაღწევად?
- რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოყვება ამ მიდგომის განხორციელებას?
- თავის მხრივ, რა პრობლემებს წარმოშობს აღნიშნული პროგრამის რეალიზება მომავალში?

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

მიდგომა 1 – "ყველა კორუმპირებული დასაჭერია"

რას ვისახავთ მიზნად?

კორუფციის პრობლემისადმი რადიკალური მიდგომა მიზნად ისახავს კორუფციის, როგორც ურთიერთობათა გაბატონებული სისტემის, მოსპობას და მისი გამოვლინების მაქსიმალურ შემცირებას სახელმწიფო სისტემის ყველა სტრუქტურაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ადამიანთა უფლებების დარღვევის და ლიბერალური ფასეულობების იგნორირების ხარჯზე. აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება ტოტალიტარული რეჟიმების, ბოლშევიკური რუსეთისა და ნაცისტური გერმანიის მაგალითი, სადაც, სწორედ მძლავრი რეპრესიული აპარატის მოქმედების წყალობით, კორუფციის გამოვლინებები იშვიათობას წარმოადგენდა.

კორუფცია სრულად არასდროს არ აღმოიფხვრება. რა თქმა უნდა, კორუფციას საზოგადოებისთვის ზიანი მოაქვს - იგი ქმნის "სოციალურ (ზედმეტ) ხარჯებს", მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კორუფციის დამარცხება, შესაძლოა, ძალზე ძვირი დაგვიჯდეს. ამიტომ აუცილებელია, რომ ამ ორი დანახარჯის დაბალანსება შევძლოთ. რა თქმა უნდა კორუფციული ქმედებების შემცირების შედეგად შემცირდება ტრანსაქციული დანახარჯების (მარტივად რომ ვთქვათ, მოპარული ფულის) ოდენობა, მაგრამ კორუფციასთან ბრძოლა თავისთავად შესაბამისი უწყებების და საქმიანობების დაფინანსებას გულისხმობს, რაც საკმაოდ ძვირი შეიძლება დაჯდეს. აქედან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში მინიმალური, გონივრული ხარჯის გაწევით კორუფციული გამოვლინებების ნულამდე დაყვანა არასოდეს არ მოხდება.

რა უნდა გაკეთდეს?

- ჩამოყალიბდეს მთავარი შემფასებელი - მივაღწიოთ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შეჰქმნას.
- გამკაცრდეს კონტროლის მექანიზმები, კანონმდებლობა და გაძლიერდნენ კორუფციასთან მებრძოლი სახელმწიფო სტრუქტურები.
- საზოგადოებაში გაძლიერდეს კანონმორჩილების გრძნობა და შიში სასჯელის წინაშე; წახალისებული იქნეს კორუმპირებულების "ჩამშვებ" ინფორმტორთა საქმიანობა.
- უნდა გაიზარდოს პენიტენციალური სისტემა, აშენდეს ახალი ციხეები ათასობით პატიმრის მისაღებად.

ქმედებათა დადებითი მხარეები:

- მოხდება დაპატიმრებულ კორუმპირებულთა ქონების ექსპროპრიაცია და ეს რესურსები ღარიბების (იგულისხმე: არაკორუმპირებული, პატიოსანი ადამიანების) ცხოვრების დონის ასამაღლებლად იქნება მიმართული.

- ყველას, და განსაკუთრებით კორუმპირებულ მოხელეებს, გაუჩნდებათ კანონმორჩილების გრძნობა, ვინაიდან დანაშაულზე რეაგირება მკაცრი, მძიმე და სწრაფი იქნება.
- ხელი შეეწყობა სოციალური სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრებას - ყველა დაინახავს, რომ დანაშაული არავის შერჩება და სამართლიანობა ყოველთვის იზეიმებს.

ქმედებათა უარყოფითი მხარეები:

- კორუფციასთან ბრძოლის ეს მეთოდი გულისხმობს დიდ ხარჯებს (რაც დამსჯელი მანქანის შესანახად იქნება საჭირო) და, შესაბამისად, სახელმწიფო რესურსების დიდ დანაკარგებს.
- იქმნება "საზოგადოებრივი უბედურების ატმოსფერო" - ადამიანები ვეღარ გრძნობენ თავს დაცულად, რადგან არ იციან, ვინ როდის დაასმენს ან დაიჭერს, სამართლიანად თუ უსამართლოდ.
- არასწორი მიმართულებით წარიმართება მოხელეებისა, თუ რიგითი მოქალაქეების ენერგია, ამასთან იქმნება უფრო დიდი კორუფციის წარმოშობის საშიშროება (როგორც წესი, ახალი ჩინოვნიკის მოსყიდვა უფრო ძვირი ჯდება).
- არასტაბილური გარემო გამოიწვევს საერთაშორისო ინვესტიციების შემცირებას ან შეწყვეტას.
- იზრდება არაპროდუქტიული, ან პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით განხორციელებული პრევენციული ზომების გატარების საფრთხე.
- საზოგადოებაში გაბატონდება საყოველთაო გაუცხოება და ცინიზმი, "ჩაშვება" მიიღებს ყოველდღიურ ხასიათს.

მომავალი პრობლემები

ძველი, სრულიად კორუმპირებული, ბიუროკრატიის, როგორც სოციალური ფენის, ლიკვიდაციის (ნეიტრალიზაციის) შემდეგ დადგება ახალი, კვალიფიციური კადრების აღზრდის საკითხი, მანამდე კი უნდა შევურიგდეთ, შესაძლოა პატიოსან, მაგრამ დაბალკვლიფიციურ და არაკომპეტენტურ საჯარო მოხელეთა არსებობას, რაც არანაკლებ დამანგრეველ ზეგავლენას მოახდენს სახელმწიფოზე.

მიდგომა 2 – "დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან"

რას ვისახავთ მიზნად?

სისტემური კორუფციით დაზიანებული სახელმწიფო სისტემის რეფორმირებისას არ ხდება ძველი ბიუროკრატიული აპარატის სრული დემონტაჟი. პოლიტიკური რეალობა იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს

ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემა ძველი ხელისუფლების სურვილის მიუხედავად (და შესაძლოა, მათივე ჩუმი თანხმობით, უსაფრთხოების გარანტიების მიღების სანაცვლოდ). არარეალურია, რომ ის, ვისაც მაღალი თანამდებობა ეკავა, უბრალოდ მშვიდობინად გადგეს გვერდზე, იცის რა, რომ მას რეალური საფრთხე ემუქრება. საჭიროა გარკვეული ხარისხის ურთიერთგაგება და ურთიერთდათმობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის (იგულისხმება არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიები, არამედ უკმაყოფილო საზოგადოებრივი ინტერესთა ჯგუფები). კიდევ უფრო ძნელია პოლიტიკური ნების გამოვლენა, რათა აღმოიფხვრას კორუფცია ხელისუფლების ზედა ეშელონებში. კლეპტომანია (გაუთვითცნობიერებელი მიდრეკილება ქურდობისადმი) სულ უფრო და უფრო გავრცელებული მოვლენა ხდება. ბევრი ყველაზე კორუმპირებული პოლიტიკური მოღვაწე თუ სახელმწიფო მოხელე, რომელსაც ისედაც ბევრი ფული აქვს, მიდრეკილია უფრო მეტი ფულის მოსაპოვებლად. უნდა მოხდეს მათი დარწმუნება, რომ მათ ეპატიებათ ძველი ცოდვები, თუ წერტილს დაუსვამენ კორუმპირებულ საქმიანობას და მოპარული სახსრების ნაწილს მაინც მოახმარენ ქვეყანას, საზოგადოებისა და საკუთარი თავის საკეთილდღეოდ.

რა უნდა გაკეთდეს?

- მომზადდეს და ცხოვრებაში გატარდეს საყოველთაო ამნისტია, რომელიც, ლოიალობის სანაცვლოდ, ყველას აპატიებს ძველ კორუფციულ დანაშაულს.
- უნდა განხორციელდეს ნაწილობრივი საკადრო ცვლილებები, ხოლო ძველ (თუნდაც კორუმპირებულ) მოხელეებს უნდა მიეცეთ ხელშეუხებლობის გარანტია, თუ ისინი უარს იტყვიან საკუთარი რესურსების საზოგადოების წინააღმდეგ გამოყენებაზე.
- უნდა მოხდეს დაფარული შემოსავლების ლეგალიზაცია (“გათეთრება”), რაც გამოიწვევს დამალული რეზერვების ქვეყნის საკეთილდღეოდ ამოქმედებასა და საგადასახადო ბაზის გაფართოებას ახალი ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით.

ქმედებათა დადებითი მხარეები:

- გაქრება ცალკეულ პიროვნებებზე ზეწოლის საფრთხე სახელმწიფოს მხრიდან და მოქალაქეებში გაიზრდება უსაფრთხოებისა და დაცულობის გრძნობა.
- დიდი ოდენობით დაფარული თანხების ლეგალიზაცია ეკონომიკის ზრდის ტემპის დაჩქარებასა და შედეგად (ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გზით) მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას გამოიწვევს.
- შეიქმნება კორუფციასთან ბრძოლის ლიბერალური მეთოდების აპრობირების ასპარეზი და მოხდება ახალი ცხოვრების წესის დამკვიდრება დიდი სოციალური და პოლიტიკური კატაკლიზმების გარეშე.

ქმედებათა უარყოფითი მხარეები:

- საზოგადოებაში მოხდება სოციალური სამართლიანობის გრძნობის შესუსტება (“თავის დროზე მოიპარეს, ცხოვრება მოიწყვეს და ყველაფერი შერჩათ”).
- მოსალოდნელია საბოტაჟის შემთხვევები იმ მოხელეთა მხრიდან, ვინც “სარფიან” საქმეს ჩამოაცილეს. შეიქმნება “მეხუთე კოლონა”, რომელსაც ქვეყნის არაკეთილისმსურველნი გამოიყენებენ.
- სიტუაციის პოლიტიზაციიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში მოხდება რესურსების გადანაწილება ახალი ხელისუფლების და მისი მხარდამჭერი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ელიტის წარმომადგენლებზე, რაც წარმოშობს ახალ მონოპოლიებს, და შესაბამისად, გაზრდის ახალი კორუფციის საფრთხეს.

მომავალი პრობლემები

საკმაოდ გაძნელდება მოსახლეობაში კონსენსუსის მიღწევა: პატიოსანი ადამიანები თავს დაჩაგრულად იგრძნობენ და საზოგადოებაში ყოველთვის იქნება ცდუნება მოიპარო, რადგან შენც შეიძლება ყველაფერი გეპატიოს. შესუსტდება საზოგადოების მორალური პოზიციები.

მიდგომა 3 – “პატიოსნების კუნძულები“

რას ვისახავთ მიზნად?

კორუფცია იმდენადაა მოდებული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რომ შეუძლებელია მისი ერთი ხელის დაკვრით ამოძირკვა, ამისათვის არც ადამიანური რესურსებია საკმარისი, არც დროითი და არც ფინანსური. სწორედ ამიტომ არ უნდა შევეცადოთ შეუძლებლის მიღწევას. ცოდვებისაგან ერთბაშად და მთლიანად განწმენდის მცდელობას, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ დამატებითი წინააღმდეგობების წარმოქმნამდე მივყავართ. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რომელ სფეროებში მოგვცემენ რეფორმები საუკეთესო შედეგებს, და მათზე გავაკეთოთ ძირითად ძალთა კონცენტრირება. რამდენიმე, ფართოდ რეკლამირებული, “სწრაფი გამარჯვება” უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უკეთესობისკენ უბრალო ცვლილება; ასეთი გამარჯვებები ნათლად აჩვენებენ საზოგადოებას, რომ ცვლილებები რეალურად მიმდინარეობს მომხმარებლის სასარგებლოდ. ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ შემცირდეს საზოგადოების შიში რეფორმების წინაშე. დარწმუნდებიან რა, რომ წესები შეიცვალა და ახლა პატიოსნება ფასდება, ადამიანები რეფორმატორებს გაყვებიან, რაც, მომავალში, კორუფციის დონის მაქსიმალურ შემცირებამდე მიგვიყვანს.

რა უნდა გაკეთდეს?

- მოხდეს პირველი რიგის რეფორმირებისათვის განკუთვნილ სფეროთა გამოყოფა.
- საწყის ეტაპზე, საკადრო ცვლილებები მხოლოდ შერჩეულ სფეროებში განხორციელდეს.
- შემუშავდეს ეთიკის კოდექსი (ქცევის ნორმები), რომელიც ამა თუ იმ სფროში რეალურად ამოქმედდება.
- შერჩეულ სფეროებში შიდა კონტროლის მექანიზმების გამკაცრება უნდა განხორციელდეს.
- სხვა (კორუმპირებულ) სფეროებთან ურთიერთობისას (ამ უკნასკნელთა მხრიდან ზეწოლის თავიდან აცილების მიზით), გაიზარდოს დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სტრუქტურის, როგორც მედიატორის და პატიოსნების კუნძულის უსაფრთხოების გარანტის როლი.

ქმედებათა დადებითი მხარეები:

- მოხდება სისტემური, საყოველთაო კორუფციული არეალის თანდათანობითი გარანტირებული შემცირება.
- მოხდება "პატიოსნების კუნძულებზე" მიღებული გამოცდილების, ისევე როგორც წარმოქმნილი ადამიანური თუ მატერიალური რესურსების გამოყენება სხვა სფეროების რეფორმირების პროცესში.

ქმედებათა უარყოფითი მხარეები:

- სფეროებისთვის პრიორიტეტების მინიჭება და დანაწევრებული რეფორმები ცვილებების განხორციელების დროში გაწელვას გამოიწვევს.
- არსებობს იმის საშიშროება, რომ გარე ზეწოლის შედეგად კორუფციის "ოკეანემ" წალეკოს "პატიოსნების კუნძულები".

მომავალი პრობლემები

პერსპექტივაში თავს იჩენს საზოგადოების გახლეჩა და მოხდება განსხვავებული მენტალობის მქონე საზოგადოებრივ ჯგუფთა დაპირისპირება, ვინაიდან დროთა განმავლობაში გაჩნდება ბზარი "კუნძულელთა" პატიოსან და კორუმპირებული უმრავლესობის არაპატიოსან ქცევის ნორმებს შორის.

ფორუმთა მონაწილეებს განსჯისათვის შევთავაზეთ სხვა მიდგომების განხილვაც იმ შემთხვევისათვის, თუ მათი აზრით, ამ სამი მეთოდიდან არც ერთი არ მოიტანდა სასურველ შედეგს. ქვემოთ მოყვანილი კითხები მაგალითის სახით იქნა შეთავაზებული:

- ჩვენ ძირძველი ერი, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და ხელის განძრევა არ გვჭირდება, ღმერთი გადაგვარჩენს.
- ჩვენ ყველაზე ცუდები ვართ მსოფლიოში, ამიტომ არაფერი გვეშველება.
- რას ვწვალობთ ტყუილად, ევროპას 100 წლის მერე თუ დავეწევით, ისიც საუკეთესო შემთხვევაში.
- ჩვენი მხრიდან არავითარი ქმედება არაა საჭირო, ყველაფერს საბაზრო ურთიერთობები დაარეგულირებს.
- ერმა უნდა იწამოს ღმერთი, თითოეული მოიქცეს ისე, როგორც საჭიროა და ყველაფერი გამოსწორდება.
- მიშას ვენდოთ, ხომ ავირჩიეთ და გავყვეთ, ის გადაგვარჩენს.
- საჭიროა ხალხის განათლება, ყველამ უნდა შეიგნოს, რომ პატიოსნება სჯობია უსინდისობას.
- საზოგადოების პოლიტიკური კულტურა უნდა ავამაღლოთ და ყველაფერი მოგვარდება.
- ძლიერი ხელი გვინდა - ახალი დავით აღმაშენებელი, ან თუნდაც სტალინი და ყველაფერი კარგად იქნება.

თითოეულ დამსწრეს შეეძლო დაესახელებინა სხვა გზაც, რომელიც მათი აზრით, ყველაზე გამართლებული იქნება საქართველოში.

ფორუმებზე გამოთქმული მოსაზრებები

საქართველოს 8 ქალაქში გამართულმა 15 საჯარო ფორუმმა გამოკვეთა არა მხოლოდ საზოგადოების დიდი დაინტერესება აღნიშნული პრობლემატიკით, არამედ ცალკეულ მონაწილეთა მიერ გამოთქმული მეტად საინტერესო შეხედულებები.

სამწუხაროდ, გამოცემის ფორმატი არ იძლევა ყველა იმ მოსაზრების სრული სახით წარმოდგენის საშუალებას, რომელიც, საერთო ჯამში, ფორუმების მიმდინარეობის 50 საათის მანძილზე გამოითქვა, მაგრამ ჩვენ შევეცდებით თეზისების სახით ჩამოვაყალიბოთ მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი ძირეული ხედვები.

ფორუმის ფორმატიდან გამომდინარე, მონაწილეები თავიანთ პოზიციებს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო აფიქსირებდნენ. ეს საკითხები შეიძლება სამ ბლოკად დაჯგუფდეს:

- მოქალაქეთა პირადი შეხება კორუფციასთან,
- წარმოდგენილი მოდელების დადებითი და უარყოფითი მხარეები,
- საქართველოსთვის გამოსადეგი მოდელის შერჩევა.

მოქალაქე და კორუფციული გარემო

ზოგადი ხასიათის პრობლემები

- სანამ რეალური საარსებო მინიმუმი არ ექნება ადამიანს, არავინ არ იფიქრებს კორუფციასთან სერიოზულ ბრძოლაზე;
- ის ადამიანები, ვისთანაც ერთადაც ვიბრძოდით, ახლა ხელისუფლების სათავეში დგანან და მათი ნაწილი თავად არის კორუმპირებული - ისინი უფრო პროფესიულად მუშაობენ და კორუფცია უფრო მაღალ დონეზე აიყვანეს;
- სამწუხაროა, რომ დიდი ხელფასის მქონე ჩინოვნიკს აპატიმრებენ ქრთამის აღების გამო და აქ საუბარი არ არის 100 ლარზე;
- როდესაც ბიზნესმენი აცხადებს: მე სახელმწიფოს სპეცფონდებში ამდენი ფული შევიტანე და მინდა გავიგო, სად წავიდა ეს თანხაო, ეს ძნელი ასახსნელი ხდება. კორუფცია მოდის იმ ხალხისგან, რომელსაც არასოდეს უცხოვრია 20-30 ლარზე;

- მოხდა პოლიტიკური რევოლუცია, მაგრამ სოციალური რევოლუცია არ მომხდარა - ახალი კლასი, ფენა არ შექმნილა. ვის ხელშიც იყო მატერიალურ-ფინანსური რესურსები, ისევ ისე დარჩა ყველაფერი. სანამ არ ჩამოყალიბდება საშუალო კლასი, მანამ არაფერი შეიცვლება;
- კორუფციასთან რეალური ბრძოლისათვის ერთი რამაა საჭირო - სასამართლო. სანამ არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო, არაფერი შეიცვლება.
- სახელმწიფო ვერ ახერხებს ტენდერების ისე ჩატარებას, რომ ეჭვები არ დაიბადოს. არადა კანონში ძალიან კარგად წერია, როდის უნდა აწარმოო მოლაპარაკებები და რა დროს გამოაცხადო ტენდერი;
- კორუფცია, ესაა ცნობიერების პრობლემა და არა მარტო ფულის გადახდა. არ არსებობს კანონის უზენაესობა. მთავრობაშიც და საზოდგადოებაშიც მრავალი ადამიანია, რომლებიც კანონს არღვევს ყველა მიმართულებით;
- გარემო ქმნის კორუფციულ სიტუაციას. გარემოს კი ქმნის მოქმედი კანონმდებლობა. წინააღმდეგობრივია თვითონ სიტუაცია, ამიტომ ჩვენ ყველანი ჩაფლული ვართ ამ ყველაფერში.

საჯარო სამსახური

- საყოფაცხოვრებო დონეზე კორუფციას ყოველ წუთში შევჯახებივართ. საჯარო დაწესებულებებში იოლად შემოგაპარებენ ზედმეტ გადასახადს და თუ არგუმენტირებულად მოსთხოვ გადასახადის საფუძველს, შეგეშვებიან;
- საგადასახადო ინსპექციაში 12% გადასახადს ახდევინებენ ასობით მოქალაქეს, რომელსაც წესით არ ეკუთვნის ამის გადახდა. ამ დროს კი, ფინანსთა მინისტრი დღესაც ჭოჭმანობს, მოხსნას თუ არა ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი.

საგადასახადო სამსახური

- სახელმწიფო ატარებს ისეთ საგადასახადო პოლიტიკას, რომ საწარმო იძულებულია მონახოს სხვადასხვა გზები, რათა არსებობა შეინარჩუნოს;
- არსებობს უცხოეთში ფულის გადაქაჩვის ოლიგარქიული სქემები, რომლის მონიტორინგი მთავრობას ჯერ არ განუხორციელებია;
- ცალკე უნდა დაფიქსირდეს მანქანის განბაჟებასთან დაკავშირებული, კანონში არსებული კურიოზები;
- არსებობდა ფონდები (ჯარის, პოლიციის, პროკურატურის, პრეზიდენტის სარეზერვო). არავინ ითვლის ამ ფულს: რამდენი შევიდა - კიდევ ჩანს, მაგრამ რამდენი გამოვიდა - კაცმა არ იცის. შემატანინე ფული ბიუჯეტში, რომ მე ვიცოდე, სად წავიდა ეს ფული. მაგრამ ფული იმის ხელშია, ვის ხელშიცაა კანონი. არადა, მეშინია ხმის ამოღების - დამიჭერენ, ან ჩემს შვილებს შეეხებიან;

- ჩვენი ორგანიზაცია გადმოვიდა სოხუმიდან. მაშინ ყველა, პრეზიდენტის ჩათვლით, შეგვპირდა გადასახადებიდან გათავისუფლებას, ოღონდ ხალხი დაასაქმეთო. 220 კაცამდე გვყავდა დასაქმებული. ხელფასები იყო, პროდუქციას ვქმნიდით. გვამოწმებდნენ, დაერიცხა საწარმოს გადაუხდელი თანხები. გვეუბნებოდნენ ფორმალობაა - კანონი არ არსებობდა, მაინც გავაკეთეთ ჩვენივე სისულელით რესტრუქტურიზაცია - პატიოსნად მოვიქეცით, არადა, "სულ რაღაც" 10000 დოლარი რომ მიგვეცა ქრთამი, არაფერი მოგვივიდოდა.

ადგილობრივი ბიუჯეტი

- უმჯობესია ვიმსჯელოთ არა კორუფციონერ ჩინოვნიკებზე, არამედ მექანიზმებზე. ძალიან ბევრია კორუფციის შემთხვევები, თუნდაც თვითმმართველობაში. ინფორმაციას მალავენ, არ იძლევა საჯარო ინფორმაციის გამცემი პირი და თან, თუ მოვითხოვეთ - "ინტრიგანებად" გვნათლავენ;
- საბიუჯეტო სახსრების გამოყოფისას პირდაპირ წილებზეა საუბარი: როდესაც წლის ბიუჯეტი დგინდება, უკვე ცნობილია, რამდენი მიდის თბილისში "ლევად", რამდენი "ტყდება" ადგილზე და რა მიდის ხაზინაში;
- თვითმმართველობები როგორ ტენდერებსაც ატარებენ, ქვეყანამ იცის.

პასპორტი და პირადობის მოწმობა

- საპასპორტო მაგიდაში მომიწია კორუფციასთან შეჯახებამ. საკმაო ზარალი განვიცადე, თუნდაც მორალური, შედეგად ჩემი შვილი ვერ წავიდა კონფერენციაზე;
- პირადობის მოწმობაში მთხოვეს 10 ლარის გადახდა. არ გადავიხადე, და მომცეს ერთი წლის ვადით მხოლოდ (ეს შევამჩნიე მხოლოდ 2 წლის მერე, როდესაც რაღაცაში დამჭირდა);
- მართვის უფლების აღებისას გვარი ჩამიწერეს შეცდომით და შემდეგ მახდევინეს ჯარიმები. შეცვლაზე უარი მითხრეს: მთელს საქართველოს ასე არასწორად უწერიაო და ჩვენ რომ ადვილად გამოგისწოროთ, ყველა მოგვადგებაო.
- მოქალაქეები სიტუაციასთან გამკლავებისათვის ყველაზე იოლ გზას ხედავენ ქვეყნიდან გასვლაში. 3500 ევროს იხდიან, რომ წავიდნენ, და მათ ატყუებენ. კორუფციის სამი დონეა სახეზე: ხალხი მძღოლს უხდის ფულს, ის - მესაზღვრეს; მეორე დონეა კერძო ფირმები; და ბოლოს - საელჩოები.

პოლიცია

- რევოლუციის შემდეგ მიღწევები არის, არ შეიძლება ამაზე თვალის დახუჭვა. პრევენციულმა ღონისძიებებმა გამოიღო შედეგი. კორუფციის ერთ-ერთი წყარო, დანაშაულის დაფარვის ინსტიტუტი

პრაქტიკულად ნულამდეა დაყვანილი. რა თქმა უნდა, კორუფცია ახლაც არსებობს, ფაქტები ახლაც დაფიქსირდა, მაგრამ მდგომარეობა შედარებით უკეთესია;

- ზოგჯერ, ყველა დოკუმენტი სახეზეა და მაინც გაჯარიმებენ;
- სამართალდამცავ ორგანოებში მიმიცია ფული, რომ კონკრეტული ადამიანი გაეთავისუფლებინათ;
- მეზობელი იყო დაჭერილი, ვერ უმტკიცებდნენ დანაშაულს. იყო ზეწოლა ოჯახზე, რომ ფულის გადახდის შემთხვევაში გამოუშვებდნენ სასამართლო დარბაზიდან. ფული ვერ გადაიხადეს და ახლა ეს პიროვნება ზის დაუმტკიცებელი, დაუსაბუთებელი ბრალდების გამო;
- შევსულვარ პოლიციასთან გარიგებაში, რადგან სხვა გამოსავალი ჩემთვის არ დაუტოვებიათ;
- ბევრ ადამიანს სთხოვენ თანხას ძალოვან სტრუქტურებში. მოქალაქეს ურჩევნია, რომ იოლად მოაგვაროს სიტუაცია და შევიდეს გარიგებაში, ვიდრე კანონის ფარგლებში გააკეთოს საქმე;
- საპატრულო პოლიცია ხშირად სცოდავს არასწორად შედგენილი ოქმებით, იტოვებენ მობილურებს, მანქანებს.

განათლების სისტემა

- ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კორუფციის მაღალი დონისა ისაა, რომ უნივერსიტეტებში მუშაობს ხალხი, რომლებისთვისაც კორუფცია ცხოვრების წესია;
- მე ვმუშაობ უნივერსიტეტში, მაგრამ იძულებული ვარ რომ ვიმუშაო საჯარო სამსახურშიც, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია;
- სასწავლო დაწესებულებაში ვკითხულობ ლექციებს. ზარმაცი სტუდენტები თავად გთავაზობენ გარიგებას: გადავიხდი ამდენს და ამდენს და ჩათვლა დამიწერეო;
- უნივერსიტეტში კორუფცია არსებობდა რევოლუციამდე. ახლა ფულს არ იღებენ, მაგრამ ხდება ადმაიანების ლობირება: უნდა დაუწერო ამას და ამას ნიშანი, რადგან ის ამის და ამის ნათესავია. ადრე არ ვიჩაგრებოდი, რადგან ფულის გადამხდელების პარალელურად მეც ვიღებდი მაღალ ნიშანს საკუთარი ცოდნით. ახლა დავიჩაგრე, რადგან კარგი ნიშნების დაწერა შეზღუდულია. დღე და ღამე ვსწავლობ, ხოლო ვიღაცეები საერთოდ არ დადიან ლექციებზე და იღებენ ნიშნებს;
- მასწავლებელს არ შეიძლება ჰქონდეს მინისტრზე 30-ჯერ უფრო დაბალი ხელფასი;
- შარშან განვახორციელეთ სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი ბაღებში. სასაცილოა, 150 ბაღში ყველაზე მეტად კორუმპირებული იყო ის სამსახური, რომელმაც მოგვცა ეს შეკვეთა. შედეგი რომ დავდეთ, ძალიან არ მოეწონათ. ერთ რაიონში და ერთ თვეში შესყიდვების ღირებულების ხარჯზე 7000 ლარი იყო სხვაობა (ლარი და ოცის მაგივრად იყო მითითებული ლარი და ორმოცი);
- პრეზიდენტი ჩანთებს ყიდულობს პირველკლასელებისთვის. განათლების სამინისტროს არც ერთი შესყიდვა ტენდერით არ განუხორციელებლია, ის ერთ პირთან მოლაპარაკებით აკეთებს ყველაფერს;

- არც სკოლებში შემცირებულა კორუფცია, ისევ არის ფულის დაბარება. ვაუჩერის სიმცირის გამო საწვავითაც კი ვერ ვამარაგებთ სკოლებს. ეს მე მეხება როგორც მშობელს, როგორც მასწავლებელს და როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს;
- 4 სტუდენტის ყალბი პირადი საქმე დევს უნივერსიტეტში. დღესაც აღძრულია საქმე, მაგრამ რექტორის გადადგომის მეტი არაფერი მომხდარა;
- წესია, რომ ლექტორმა გამოცდაზე ნიშანი უნდა დაუწეროს თავის ნათლულს. თხოვნაზე ნიშნის დაწერა კორუფციაა, მარა "პატიოსანია", რადგან ქრთამს არ იღებს;
- ზოგჯერ განათლების სისტემა გიბიძგებს იმისკენ, რომ თანხა გადაიხადო (გვასწავლიდნენ ყოვლად უსარგებლო საგანს და მერე იძულებულს გვხდიდნენ ფული გადაგვეხადა ჩათვლის მისაღებად);
- სტუდენტებსა და ლექტორებს შორის ვაჭრობა მიდის ნიშნის გამო;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხშირად თუ მოსწავლეებს ფულის გადახდა არ შეეუძლიათ, მაშინ მათ მასწავლებლებისთვის შეშის დაჩეხვა, პურის ფქვილის მოტანა, ფიზიკური სამსახურის გაწევა ევალებათ.

ჯანდაცვა და სოცუზრუნველყოფა

- მყავს პოლიკლინიკაში ექიმები 7 ლარიანი ხელფასით. როგორ ვუთხრა, რომ ფული არ აიღონ? რას ვუძახით კორუფციასთან ბრძოლას? ჩინოვნიკებთან მიდის გარიგება - ეს რა არის? როგორ შეიძლება კორუფცია არ იყოს, როდესაც თვითონ მინისტრებმა და ჩინოვნიკებმა დაინიშნეს 3000 ლარი ხელფასი. დაკანონებული ხელფასი აქვს, შენ კი გეუბნება მოიპარეო! მე როგორ მოვთხოვო პასუხი ექიმს? შევარდნაძის დროს თუ პენსია იყო 14 ლარი, 35 ლარი იყო საჯარო მოხელეს ხელფასი. მთავარი ექიმის მოადგილე ვარ და 23 ლარი მაქვს ხელფასი, როგორ არ ამეღო ფული?
- ექიმს და მასწავლებელს რომ სთხოვ იმუშავე და მოარჩინე, და არ აძლევ ფულს, რა უნდა ქნან?
- ჯანდაცვა სავსეა კორუფციული ელემენტებით. პაციენტი მიდის ექიმთან, სჭირდება სამედიცინო მომსახურება. ექიმის შრომა იმაზე მეტი ღირს, ვიდრე სახელმწიფო აძლევს. ოპერაცია ღირს 1200 ლარი, ამიტომ ისტორიაში აკეთებენ ჩანაწერის გაკეთებას, რომ მოხდა სასწრაფო გადაუდებელი შემთხვევა და თავიდან ირიდებენ გეგმიერ ოპერაციას. ზარალდება მოქალაქე, ექიმის ინტერესი და ზარალდება სახელმწიფოც, რომელმაც თავიდან არ გაითვალისწინა მოქალაქეთა ინტერესები;
- მეგობარი დაჭრეს, მიიყვანეს საავადმყოფოში, ტყვია ჩაუტოვეს, გაკერეს ზერელედ და დაიღუპა. ეს გააკეთეს იმიტომ, რომ პატრონი არ ჰყავდა;
- სოცუზრუნველყოფაში კვლავ რჩება კორუფციის ფაქტები, პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით "ტაქსა" 20 ლარია.

ელექტრომომარაგება

- ახალი ტიპის ქვითრები მოგვიტანეს: აქ მინიშნებულია რამდენი იყო გადასახდელი, რამდენი გადავიხადე და რამდენი დარჩა. მინუს 50 ლარი მიწერია. ზედმეტი გადაგიხდია და კრედიტი გაქვსო, მითხრეს. პენსიონერებს 60 ლარის გადასახადი უწერიათ, მე კიდევ, რომელიც ვხარჯავ ელექტროენერგიას, მინუსი მქონდა;
- ელექტროკომპანიაში ყველა ხედავს ამ კორუფციას. გადასახადები მკვდარ სულებზე მოდის, 15 წლის წინ გარდაცვლილებზე;
- ინდივიდუალურ გამრიცხველიანებაში მომთხოვეს 50 ლარი. არ მინდოდა გადახდა იმიტომ, რომ არ მეკუთვნოდა. არ გადავიხადე და შუქი არ მაქვს;
- ერთი თვეა ჩვენი ცენტრი ბლოკირებულია შუქის გამო - სასამართლომ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება. კიდევ გვაქვს საოლქო სასამართლოს იმედი. პროკურატურა, სასამართლო და პოლიცია არის ამაში დამნაშავე: "გამოიყვანეთ ენგურჰესიდანო" - გვპასუხობენ;
- დახარჯული ელექტროენერგიის თანხის გადახდის დროს არანაირ ქვითრებს არ იძლევიან;
- ლტოლვილებს ელექტროენერგია გაგვეთიშა, "ლევად" შევაგროვეთ 600 ლარი და შუქიც ჩაირთო.

შემოთავაზებული მოდელების დადებითი და უარყოფითი მხარეები

მოდელი "ყველა კორუმპირებული დასაჭერია" - დადებითი მხარეები

იმედი და სამართლიანობა

- სახელმწიფოსადმი საზოგადოების ნდობის ზრდა;
- სოციალური სამართლიანობა, კანონთან ყველა თანაბარია;
- საზოგადოებაში გაჩნდება იმედი, რომ დანაშაული არავის შერჩება;
- ახლა ციხეებში ყველის ქურდები სხედან, თუ მათ გამოუშვებენ და ვისაც საჭიროა დაიჭერენ, ადგილი საკმარისზე მეტი იქნება.

მაგალითის ძალა

- გაიზრდება კანონისადმი შიშის ფაქტორი, რომელიც ითამაშებს პრევენციულ როლს;
- ეს იქნება საჩვენებელი მაგალითი მომავალი თაობისთვის;
- აღმოიფხვრება დაუსჯელობის სინდრომი;

- საჯაროდ დაჭერა და გასამართლება თვალსაჩინო მაგალითისათვისაც და მთავრობის იმიჯისათვისაც კარგია.

კანონიერება

- კორუფცია არის დანაშაული, ხოლო ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში დანაშაული ისჯება;
- კანონის უზენაესობას მივაღწევთ: დაისჯება დამნაშავე და შემცირდება დანაშაული;
- იკარგება კორუმპირებულების ზეგავლენა საზოგადოებაზე;
- მოხდება სასამართლო ხელისუფლების გააქტიურება;
- მოხდება სამართალდამცავი სტრუქტურების წახალისება;
- კორუფცია მხოლოდ მკაცრი ხელით ამოიძირკვება.

საზოგადოების განათლება

- მოხდება მენტალიტეტის ცვლილება: მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის გაზრდა;
- ახალი ფასეულობები ჩამოყალიბდება სახელმწიფოში, ყველაფერს დაერქმევა თავის სახელი;
- დაიწყება მაღალი პოლიტიკური კულტურის წინაპირობების შექმნა;

ეკონომიკური მხარე

- უკანონოდ მითვისებული ქონება დაუბრუნდება საზოგადოებას. სახეზეა ფისკალური ეფექტი: მოპარული სახსრების დაბრუნება, ბიუჯეტის შევსება, გაყინული ხელფასების გაცემა;
- მოხდება კორუმპირებული მოხელეების ჩანაცვლება კომპეტენტური და პატიოსანი კადრებით;
- გათავისუფლდება სამუშაო ადგილები;
- სამუშაო ადგილები შეიქმნება ციხეების ასაშენებლად;
- დაჭერები დაანახებს ხელისუფლებას, რომ ასე უსასრულოდ ვერ გაგრძელდება, და რომ საჭიროა სხვა ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავება.

მოდელი "ყველა კორუმპირებული დასაჭერია" - უარყოფითი მხარეები

დემოკრატია და ღირებულებები

- საზოგადოებაში დაისადგურებს შიშის და უნდობლობის სინდრომი და საყოველთაო დეპრესია;
- ამ პროცესების გამჭვირვალობა ეჭვს ქვეშაა;

- რადიკალიზმი არაა სასიკეთო საზოგადოებისთვის;
- ვინაა კორუმპირებული - ვინც შექმნა ეს სისტემა, და ვინ გაიძულებს ამის კეთებას, თუ ის, ვინც უშუალოდ ჩადის დანაშაულს?
- "ჩაშვების" ინსტიტუტის დეკლარირება და წახალისება დამღუპველია ქართული ტრადიციებისთვის;
- ჩამშვების ინსტიტუტი უნდა შეიცვალოს ბრალმდებლის ინსტიტუტით, ადამიანმა ღიად უნდა განაცხადოს ბრალდება და დაასაბუთოს იგი;
- საზოგადოება დაიყოფა ორ დაპირისპირებულ ჯგუფად.

კრიტერიუმების არარსებობა

- ციხეებში ადგილი არ იქნება: ნახევარი ქვეყანა კორუმპირებული იქნება, მეორე ნახევარი - მათი დამჭერი და დამჭერიც აღარ დარჩება ბოლოს;
- ძნელად აღსასრულებელია, რთულია ყველაზე კორუმპირებულის გამოვლენა. კორუფციის ხელშემწყობ მიზეზებთან და ფაქტორებთან ბრძოლა უფრო იოლია;
- როდესაც თვითონ ის, რომელმაც უნდა აღასრულოს, თვით პრეზიდენტიც კი, ახორციელებს ამგვარ ქმედებას (პრეზიდენტის ფონდის გადახარჯვა), მაშინ რატომ არ ვიჭერთ მას?
- თუ ეს პროცესი რეალურად განხორციელდა, მაშინ თვით ხელისუფალნი აღმოჩნდებიან მუქარის ქვეშ;
- არ შეიძლება მილიონის მომპარავი შევადაროთ 10 ლარის მომპარავს;
- სამართალდამცავი ორგანოები თავად უნდა იყვნენ მორალურად უფლებამოსილები დაიჭირონ კორუმპირებულები.

ადამიანის უფლებები

- ამ ბრძოლაში პირად ანგარიშსწორებასაც ექნება ადგილი;
- პირდაპირ ეთერში ხალხის დაჭერა უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს;
- სანამ დაიხვეწება მექანიზმები, ძალიან ბევრი ტყუილად იქნება დაჭერილი, ასე რომ შეილახება ძალიან ბევრი ადამიანის უფლება;
- დამნაშავის უკან დგას ოჯახი, ბავშვები, რომლებიც ძალიან მტკივნეულად განიცდიან ამ ყველაფერს;
- გახშირდება ადამიანის კონსტიტუციური, ფუნდამენტალური უფლებების დარღვევები.

პოლიტიკური საფრთხე

- ხელისუფლებას შეუძლია ამის გამოყენება პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით;

- ხელისუფლებას უჩნდება დაუსჯელობის გრძნობა, ეს გზა ტოტალიტარიზმისკენ წაგვიყვანს;
- მთავრობა ამ გზას მხოლოდ ქულების დაწერის მიზნით გამოიყენებს;
- ასეთნაირად ამოღებული თანხები ადუნებს ხელისუფლებას;
- მაკონტროლებელ ორგანოებში კორუფციის ზრდა მოხდება;
- ბანდიტიც რომ ვიყო, სახელმწიფოს არა აქვს უფლება ასევე ბანდიტივით მომექცეს. სახელმწიფომ არ უნდა გადააჭარბოს კანონს.

ფინანსები

- სერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ჩვენ საკმარისი რესურსი არ გაგვაჩნია, არადა ახალი ციხეების აშენება ხდება საჭირო
- ფულიანი ხალხი გაიქცევა, ქვეყნიდან გავა კაპიტალი, ინვესტიციები აღარ შემოვა;
- მოხდება საერთაშორისო ინვესტიციების შემცირება არასტაბილური გარემოს გამო.

უშედეგობა

- კორუფციის აღმოფხვრა პრაქტიკულად შეუძლებელია, თანაც მხოლოდ დაჭერებით;
- ამ მეთოდით თანხის სრული ამოღება მაინც ვერ მოხერხდება (იტალიაში მაფიის ხელში, სხვადასხვა შეფასების თანახმად, 400-დან 800 მილიარდ ევრომდეა, მთავრობამ მხოლოდ 2 მილიარდის ამოღება შეძლო);
- ამუშავდება რესოციალიზაციის ფაქტორი - საპყრობილედან გამოდის უარესი პიროვნება, ვიდრე შევიდა;
- შედეგად მხოლოდ კორუფციის მექანიზმები დაიხვეწება;
- მთავარი პრობლემა არის სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პატიოსნება.

კადრები

- კორუმპირებული მოხელე თვითონ აკეთებდა ამას, თუ სისტემა აიძულებდა?
- ვინ შეცლის კორუმპირებულ ჩინოვნიკებს? უფრო კორუმპირებულები თუ უფრო არაკომპეტენტურები?
- ახალი ჩინოვნიკი მოვა, მისი "სტავკა" მეტი იქნება და კორუფციის დონე გაიზრდება;
- რესურსები იკარგება დაჭერილთა სახით (ყველა ადამიანი რესურსია).

მოდელი "დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან" - დადებითი მხარეები

ღირებულებები

- უფრო ადამიანური და მორალური მიდგომაა;
- სახელმწიფოს ჰუმანური იმიჯი გაიზრდება;
- მოხდება ეკონომიკური (და შესაძლოა, პოლიტიკური) ლუსტრაცია;
- საზოგადოებისთვის უფრო წყნარად, სტრესების გარეშე ჩაივლის ყველაფერი, ეს პროცესი რევანშისტურ განწყობებს არ წარმოშობს;
- წახალისება კარგია, უფრო ქმედითია, ვიდრე სასჯელი;
- ვაძლევთ ახალ შანსს კორუმპირებულს და ვიღებთ მისგან ეკონომიკურ სიკეთეს;
- ადამიანის (მ.შ. მოხელეთა) უფლებები ხდება უფრო დაცული;
- ეთანხმება მართლმადიდებლურ ფილოსოფიას - მიმტევებლობა!
- ნუ შევეკითხებით ამ ხალხს, საიდან იშოვეს პირველი მილიონი და ასე გავაგრძელოთ;
- მისაღებია ეს გზა, რადგან უდანაშაულობის პრეზუმფციას უწყობს ხელს;
- საზოგადოება აღარ გაიხლიჩება, გაძლიერდება კონსოლიდაციის პროცესი

ეკონომიკური მხარე

- ფული შევა ბიუჯეტში, მოხდება დამალული თანხების ლეგალიზაცია და აღარ გაედინება საზღვარგარეთ;
- სახელმწიფოს ექნება ნაკლები ხარჯი (ომი, თუნდაც კორუფციასთან, ძვირი ღირს);
- იაპონიამ II მსოფლიო ომის შემდეგ გამოაცხადა საყოველთაო ამნისტია, პირობით: თუ ყველა დებს ფულს იაპონიის ეკონომიკაში, ეპატიებათ ძველი დანაშაული. ამან კარგი შედეგი გამოიღო იაპონიის ეკონომიკისთვის;
- აშშ-ში მორგანებმა დაიწყეს ბიზნესების უდიდესი ნაწილი;
- საქართველოში შეიქმნება საშუალო ფენა;
- საინვესტიციო კლიმატი უფრო სტაბილური გახდება;
- ფულიან კაცს უნდა მისცე საშუალება ჩადგეს ქვეყნის სამსახურში და ადამიანები დაასაქმოს. სახელმწიფო აყენებს მას არჩევანის წინაშე: შენ ან ატრიალებ ფულს აქ, ან გიჭერ.

კანონიერების ზრდა

- კანონიერებას უწყობს ხელს; ყოველთვის უფრო ადვილია სახლი თავიდან ააშენო, ვიდრე არსებული გადააკეთო. უფრო მდგრადი და საიმედოც გამოვა;

- ლეგალიზების შემთხვევაში სახელმწიფოს აღარ ეყოლება ამდენი კრიმინალი;
- შეიქმნება თამაშის ახალი წესებით თამაშის შესაძლებლობა;
- გამოირიცხება სუბიექტური და ტენდენციური მიდგომა;
- მოხდება გადასახადების გადახდის კულტურის და მთლიანად სამართლებრივი კულტურის ამაღლება;
- არსებულ სიტუაციში ეს მიდგომა უპირატესია, რადგან ყველა კორუმპირებულია;
- ადამიანები, რომლებიც დასაქმდებიან, შეეშვებიან არალეგალურ საქმიანობას (მაგ. კონტრაბანდის შემოტანას). შედეგად დარჩებიან მხოლოდ მსხვილი კრიმინალები და მათი დაჭერა უფრო მარტივი და ადვილია.

სახელმწიფო ინსტიტუტები

- კორუმპირებული ჩინოვნიკი ჩამოშორდება დაკავებულ თანამდებობას;
- შევინარჩუნებთ ძველ პროფესიონალებს, ახალი კადრები აიმაღლებენ კვალიფიკაციას გამოცდილი კადრის მეშვეობით და თანდათანობითი ჩანაცვლება მოხდება;
- სახელმწიფოს ნაკლები საქმეები ექნება სტრასბურგში და ნაკლებად მოუწევს თავის მართლება ევროსაბჭოს წინაშე;
- შეიცვლება პოლიტიკური კონიუნქტურა, ოპოზიცია უფრო გაძლიერდება, რადგან შიშის სინდრომი აღარ იქნება. შეიქმნება უფრო დემოკრატიული გარემო;
- ფულიც მოატანინეს, თან დასაჯეს (საზოგადოების თვალში), თანაც დაპატიმრების ხარჯები დაზოგეს, ხალხსაც ჰუმანურად მოექცნენ - ეს იგი ყველაზე მისაღები მიდგომაა;

მოდელი “დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან” - უარყოფითი მხარეები

ღირებულებები

- იკარგება სოციალური სამართლიანობის გრძნობა საზოგადოებაში (ჩემი ფული ჭამა და შერჩა);
- ჩნდება დაუსჯელობის სინდრომი: სხვას თუ ახლა შერჩა, მერე მეც შემრჩება;
- დანაშაულის ცდუნება ჩნდება პატიოსან ადამიანებში - ეს მიდგომა ახალი კორუფციული ცდუნების საწყისი შეიძლება გახდეს;
- მონანიების ობიექტური ფორმა უნდა არსებობდეს. მე რა ვიცი, დამნაშავემ მართლა მოინანია თუ არა?
- ძლიერდება საზოგადოების გაღიზიანება და იმედგაცრუება;
- “არ გათეთრდების ყორანი”;

- ისევ და ისევ იმოქმედებს ორმაგი სტანდარტები;
- მოხდება საზოგადოების გახლეჩვა.

კანონიერება

- დანაშაული დაუსჯელი დარჩება - ხდება დანაშაულის დაკანონება. იურიდიული თვალსაზრისით ეს არამართებული მიდგომაა - სასჯელის ზოგად-პრევენციული მნიშვნელობა არ იარსებებს;
- სიმბოლურად მაინც უნდა დაფიქსირდეს ადამიანის დანაშაული და მერე დაიწყოს სუფთა ფურცლიდან;
- ეს იქნება ხელისუფლების მხრიდან კანონის უგულებელყოფა;
- დაიწყება გადაყენებულ ჩინოვნიკებში რევანშისტული განწყობების გაჩენა და მოხდება სოციალური კონფლიქტები;
- არ შეიძლება 150 ლარის გამო ჩასვა ადამიანი და სხვას მილიონები აპატიო;
- ამ გზით დაიხვეწება კორუფცია და უფრო დახელოვნებულები გახდებიან;
- არ შეიძლება გარიგებებში შესვლა - უნდა ყველამ აგოს პასუხი;
- შერჩევითი სამართლიანობა მიუღებელია... ამის მაგალითია ე.წ. "საპროცესო შეთანხმება".

ინსტიტუციონალური გარემო

- ეს მორალური და რელიგიური მიდგომაა, მაგრამ თუ გარემო არ იქნა ისეთი, რომ ადამიანმა არ მოიპაროს, არაფერი გამოვა;
- ნდობა არაა ხელისუფლებისადმი, ამიტომაცაა, რომ სააკაშვილის გამოცხადებულმა ამნისტიამ არ იმუშავა;
- გასათვალისწინებელია ჩვენი ქვეყნის ისტორიაც: ჩვენ არ ვართ იაპონია - დღეს თუ დაიფიცებს საქართველოს "იმპერატორი", რომ არ წაგართმევთ ფულსო, შემდგომში კაცმა არ იცის, რა მოხდება;
- ეს კურსი მოსახლეობას უმტკიცებს სახელმწიფოს უუნარობას;
- ასეთ სისტემაში უნდა მუშაობდეს აბსოლუტურად პატიოსანი ხალხი, ამიტომ არარეალურია;
- შეუძლებელია სუფთა ფურცლიდან დაწყება მაშინ, როდესაც სისტემა თავად არ იძლევა ამის საშუალებას (მე კი გადავშლი სუფთა ფურცელს, მაგრამ სისტემის გასუფთავება ასე ერთიანად შესაძლებელია?);
- გაძლიერდება არაპროფესიონალიზმი;
- გაიზრდება შანტაჟის საფრთხე, საქმიდან ჩამოშორებული ჩინოვნიკი შეეცდება დააშანტაჟოს ისინი, ვინც დარჩა თანამდებობაზე;

- მოხდება სახელმწიფოს ავტორიტეტის დაცემა;
- დიდია საბოტაჟის საფრთხე საქმეს ჩამოშორებული პოლიტიკოსების მხრიდან.

ეკონომიკური მხარე

- იზრდება პოლარიზაცია ღარიბებსა და მდიდრებს შორის;
- ეს გზა თავისუფალ კონკურენციას უშლის ხელს, სხვადასხვა ადამიანები არათანასწორ სასტარტო პირობებში აღმოჩნდებიან;
- სახეზე იქნება ოლიგარქებთან გარიგებების ხარჯზე ოლიგარქიული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება (10 პროცენტი მდიდარი და დანარჩენი ღარიბი) და ავტორიტარიზმი პოლიტიკაში;
- გაძლიერდება კლანური ჯგუფების ჩამოყალიბების პროცესი;
- მოხდება ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება;
- ძალიან ცოტა ფული გათეთრდება - ბევრი დამალავს, სულაც არ მოახდენს მის ლეგალიზებას.

მოდელი - "პატიოსნების კუნძულები" - დადებითი მხარეები

ღირებულებები

- საზოგადოებისთვის ნაკლებ მტკივნეული პროცესები იქნება;
- ყველას ეძლევა თანაბარი შანსი, ყველას შეეძლება თავის თავი გამოავლინოს;
- წინა პლანზე წამოიწევს პატიოსნება და ადამიანის მოთხოვნა - იყოს სუფთა და პატიოსანი;
- შეიცვლება საზოგადოების მენტალიტეტი. ლიბერალიზმი ახლა არაპოპულარულია და ასეთი მიდგომით უფრო პოპულარულს გავხდით;
- ადამიანები დარწმუნდებიან, რომ პატიოსნება ფასობს და გაიზრდება ნდობა ხელისუფლებისადმი;
- საზოგადოებაში არ იქნება შურის და დაპირისპირების მიზეზი;
- მოსახლეობა დაინახავს, რომ ცვლილებები შესაძლებელია და განხორციელებადია;
- გაიმიჯნება პატიოსნები და კორუფციონერები და ეს დადებითი მოვლენაა;
- იძლევა არჩევანის შესაძლებლობას (მივდივარ იმ სფეროში, სადაც შემიძლია პატიოსნად ვიმუშავო).

მაგალითი

- ამ კუნძულებს ექნება მაგალითის ძალა: პატიოსნების რეკლამირებას მოახდენს და თვითშეგნების ამაღლებას შეუწყობს ხელს;

- იძლევა გამოცდილებას, რომლის გამოყენება სხვა დარგებშიც შეიძლება;
- შედეგები ჩნდება სწრაფად და ისინი ხილულია, ეს გამოიწვევს თანამიმდევრების გაჩენას;
- ეს მეთოდი ეთიკურ ნორმებს ჩამოაყალიბებს ადამიანებში;
- ხელისუფლების ძალა გამოჩნდება მკაფიოდ გარკვეულ სფეროებში (შედეგები გამოჩნდება);
- საზოგადოებას გაუქრება შიში რეფორმების მიმართ.

ინსტიტუციონალური მხარე

- სახელმწიფო ვერ იბრძოლებს ყველა ფრონტზე, ამიტომ დარგობრივი მიდგომა უფრო გაამართლებს;
- მოხდება კანონმდებლობის თანდათანობითი სრულყოფა;
- მოხდება საკადრო რესურსების ოპტიმიზაცია და მაქსიმალური გამოყენება (მხედველობაშია ის რესურსები, რომლებიც ახორციელებენ რეფორმებს);
- შევინარჩუნებთ კვალიფიციურ კადრს და ხელი შეეწყობა ახალი განათლებული კადრების გაჩენას;
- ცალკეულ სფეროებში უფრო არსებობს კონკრეტული სტრატეგიები, ეს არაა ზოგადი მიდგომა;
- კონკურენციას გამოიწვევს სამინისტროებს შორის; კუნძულის ტიტული გარდამავალი დროშასავით იქნება;
- უფრო დაჩქარდება კორუფციასთან ბრძოლა ერთ კონკრეტულ სფეროში (თუმცა ზოგადად შენელდება);
- გააიოლებს მთავრობის მუშაობას - გაიზრდება მისი და საზოგადოების კონტროლი სხვა სფეროებზე.

სფეროები

- უნდა დაიწყოს ბაღიდან, სკოლიდან, განათლების სისტემიდან, მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდება სწორი მსოფლმხედველობა;
- ქვეყანაში უნდა შეიქმნას მიუკერძოებელი არბიტრი, ეს უნდა იყოს პირველი კუნძული - სასამართლო ხელისუფლება და საზოგადოების მონიტორინგი;
- ასეთი სექტორი არსებობს: კერძო ბიზნესი, რომელიც ვერ იტანს კორუფციას. ეკონომიკის თავისუფლება ამცირებს კორუფციას;
- ვცადოთ იგივეს გაკეთება ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროში;
- ჯანდაცვის სფეროში ძალიან კარგად შეიძლება ამის განხორციელება;
- რაც მეტი კუნძული გაჩნდება, მით უფრო დიდი შანსია, რომ ისინი კორუფციის ოკეანეში მატერიკად იქცევიან.

ეკონომიკური მხარე

- რესურსების დაზოგვა და მობილიზება უფრო ადვილია, ვიდრე გლობალური გარდაქმნის შემთხვევაში მოხდებოდა;
- რესურსების განაწილება მოხდება რაციონალურად, პრიორიტეტების მიხედვით;
- მიიღწევა ფინანსური ხელმისაწვდომობა (ნაკლებ ხარჯიანი მეთოდია);
- ადვილად მოხდება რესურსებს მოზიდვა ამ სფეროებში (ინვესტიციები გაიზრდება);
- პატიოსნად აღმოგხდება სული;
- გაიზრდება ადამიანთა მოტივაცია.

მოდელი - "პატიოსნების კუნძულები" - უარყოფითი მხარეები

უთანასწორობა

- წარმოიშობა დისბალანსი გარკვეულ სფეროებს შორის;
- შესაძლოა შეფერხდეს სხვა სფეროების განვითარება, თუ რესურსები მხოლოდ ერთზე არის მიმართული;
- შესაძლოა კონკრეტულ სფეროში ხორციელდებოდეს, მაგრამ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე; არ უნდა იყოს დიფერენცირება ცენტრსა და რეგიონს შორის;
- სანამ ერთ სფეროში პატიოსნება ისადგურებს, სხვა სფეროები ჩქარობენ რაც შეიძლება მეტი მოიპარონ - კუნძულების გარშემო გაიზრდება კორუფცია.

უსამართლობა

- ის, ვინც ვერ მოხვდება "კუნძულზე", დარჩება უკმაყოფილო (ვინც მოახერხა, პატრულში მოეწყო და მაღალი ხელფასი აქვს, მე რა ვქნა?)
- საზოგადოება გაიხლიჩება, დიდი პროტესტი იქნება იმ ხალხის მხრიდან, რომელიც კუნძულებზე არ მოხვდა;
- მოხდება სნობიზმის წარმოქმნა "პატიოსნების კუნძულზე" და "საჩვენებელი", ანუ "პიარ" კუნძულების გაჩენა.

ეფექტურობა

- რეფორმა დროში გაიწელება და შედეგი დაგვიანდება;
- ერთიანი პოლიტიკა უნდა არსებობდეს, სფერო იზოლირებულად ვერ იარსებებს;

- კუნძულებს (სფეროებს) შორის კომუნიკაცია შეიძლება დაირღვეს;
- ცალკეული სტრუქტურები ვერ დარჩებიან სუფთები (“სუფთა” პატრულმა დამაკავა და გადამცა შესაბამის ორგანოებს, მაგრამ მე გადავიხადე ქრთამი და გამომიშვეს);
- არსებობს წვრილი კორუფცია და მსხვილი კორუფცია. ხელისუფლებას არ აწყობს წვრილი კორუფციის არსებობა, ამიტომ პატრულში მოსპეს ის. მაგრამ მსხვილ ეშელონებში?
- ერთ სფეროში განხორციელებულმა რეფორმამ - ეროვნულმა გამოცდებმა რა გამოიწვია? ერთ საგანში ბავშვის მომზადება 1000 დოლარი გახდა. განათლება ხდება ელიტარული.
- ნათესაური ურთიერთობები ხელს შეუშლის კუნძულების შექმნას, იზოლირებულად ხომ არ არსებობენ კუნძულები?
- პატიოსნების კუნძულზე არასახარბიელო ფაქტების მიჩქმალვა დაიწყება იმიჯის შენარჩუნების მიზნით;
- სახელფასო პოლიტიკა უნდა იყოს საფუძველი ამ კუნძულების არსებობისა. 30 ლარიანი ანაზღაურების პირობებში ეს ვერ განხორციელდება.

სტაბილურობა

- დამოუკიდებლად კუნძულები ვერ გაძლებენ და ისინი გაქრებიან კორუფციის ოკეანეში;
- შესაძლო წარუმატებლობა ბრძოლის იმიჯს დასცემს დაბლა და საზოგადოებაში ინდიფერენტულობის გაჩენას გამოიწვევს;
- წარმოიშვება სფეროთა ურთიერთმიმართების პრობლემა (როგორ ამყარებენ ერთმანეთთან კავშირს? კუნძულს მარტო გემით თუ მიადგები).

ცალკეული მეთოდების განხილვის შემდეგ ფორუმის მონაწილეებმა განაზოგადეს ფორუმის შედეგები. მათ მიერ გამოთქმული დასკვნები შეეხებოდა როგორც ფორუმის მსვლელობას, ისე კორუფციასთან ბრძოლის საქართველოსათვის ოპტიმალური მოდელის შერჩევას.

ჩვენ გავაერთიანეთ ეს მოსაზრებები შინაარსობრივ ჯგუფებად და ასეთი სახით ვთავაზობთ მკითხველს.

როგორ შეიცვალა თითოეული თქვენგანის ხედვა კორუფციის თემასთან დაკავშირებით?

- მე ვიცოდი, რომ რა აზრიც მქონდა, არასოდეს შემეცვლებოდა. კორუფცია არის დანაშაული და უნდა ებრძოლო მას ისე, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს.
- ადრე ვფიქრობდი, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ ამ მსჯელობის შედეგად მე ვფიქრობ, რომ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ეს მიდგომა შეუძლებელი და დამღუპველია და ამნისტიას ვუჭერ მხარს. მე შემეცვალა დამოკიდებულება: არანაირი სამართლებრივი დაცვის მექანიზმი ამ ქვეყანში მოქალაქეს არ გააჩნია, ამიტომ სუფთა ფურცელი ერთადერთი რეალური მიდგომაა ჩვენთან. სამართლებრივ სახელმწიფოში ალბათ სხვაგვარადაც იქნებოდა შესაძლებელი.
- ძალიან კარგია თუ გავაგრძელებთ მსჯელობას, მაგრამ ხელისუფლება? რამდენად გაითვალისწინებს ჩვენს აზრებს ხელისუფლება?
- მიუხედავად იმისა, რომ პირველ მიდგომას ვემხრობოდი, ახლა ვხვდები, რომ პატიოსნების კუნძულები უფრო მომწონს.
- ამ თემებზე საუბარი ხშირად მიმდინარეობდა, მაგრამ მოდელები ჩემთვის არ იყო გამოკვეთილი. ამასთან მე დავინახე, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ არაა ხელჩაქნეული, ყველაფერი ისე არაა, როგორც უნდათ რომ მოგვაჩვენონ.

რა არის კორუფციის მიზეზი?

- სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს, კანონები არ იცის ხალხმა. ჩვენც პასიურები ვართ.
- უბედურების მთავარი მიზეზი საზოგადოება და კულტურაა: კულტურა ქცევისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების, სახელმწიფო სტრუქტურების კულტურა. ჩინეთსა და იაპონიაში სრულიად განსხვავებული ღირებულებებია, სკანდინავიში - სხვა. ამაზე მოქმედებს კულტურის ფენომენი;

- “პატივისცემა ჩემზე იყოს” - ეს უკვე ზის ჩვენს კულტურაში;
- ხალხი გვყავს უწიგნური, ამიტომ ადამიანს თავმოყვარეობა აკლია, მას არ ეშინია, რომ რადიოში და ტელევიზიაში გამოაჭენებენ, ამიტომ ჯერ ხალხი უნდა გავზარდოთ, განვანათლოთ;
- ვინც კორუფციის წინააღმდეგ კანონებს ქმნის, ანუ დეპუტატი, თავად კორუმპირებულია. მას უნდა მოეხსნას იმუნიტეტი და უნდა გასამართლდეს;
- თითოეული ჩვენგანი არის კორუმპირებული;
- საარსებო მინიმუმი უნდა იყოს იმისათვის, რომ სახელმწიფო მოხელემ ქრთამი არ აიღოს;
- უნდა არსებობდეს შესაბამისობა უფლებებსა და ვალდებულებებს შორის: ვალდებულებები გვაქვს ბევრი, უფლებები გვაქვს ცოტა. ამის დაბალანსება შინაგანი კულტურის შექმნას შეუწყობს ხელს და კანონის პატივისცემის საფუძველსაც შექმნის.
- ადრე მეცნიერებს გაცილებით მაღალი ხელფასი ქონდათ, ვიდრე ტაქსისტებს, ან გამყიდველებს. სახელმწიფო იმთავითვე ქმნიდა ხელშემწყობ პირობებს კორუფციისთვის: მათ იცოდნენ, რომ მძღოლი, მზარეული, გამყიდველი დანარჩენ ხელფასს “შავადაც” იშოვიდა, მაშინ როდესაც მეცნიერს ასეთი წყარო არ ჰქონდა;
- ანგარიშვალდებულების ვაკუუმი საზოგადოების წინაშე არის უდიდესი პრობლემა კორუფციის წარმოშობის კუთხით.

რაში გამოიხატება კორუფციული ურთიერთობები?

- ყველაფრის საწყისი არჩევნებია, ყველაზე მეტი კორუფციის ელემენტი მანდ დევს. სანამ არჩევნები სამართლიანად არ ჩატარდება, მანამ საზოგადოებაში ყოველთვის იარსებებს კორუფცია;
- იბადება ახალი კლანები, ერთი კლანი იცვლება მეორეთი, ფუნდამენტალური ცვლა კი არა, უბრალოდ ზედაპირული ცვლა ხდება;
- ადამიანი არ უნდა იყოს წახალისებული, ის უნდა იყოს მოტივირებული (თუნდაც მაღალი ხელფასით), რომ არაპატიოსან გარიგებებში არ შევიდეს;
- სოციალური ფონი უნდა გავითვალისწინოთ: სხვადასხვა ხელფასის მქონე ადამიანებს სხვადასხვა ცდუნება აქვთ: 39 ლარიანი ხელფასი და 600 ლარიანი ერთი და იგივეა? ხომ ცხადია, რომ 39 ლარიანი ხელფასით უნდა მოიპარო!;
- სტუდენტი მაშინ გახდა კორუმპირებული, როდესაც მან 15000 გადაიხადა მოწყობაში;
- მაგათ რა უნდა გააკეთონ, თვითონ კორუმპირებულები მოვიდნენ სახელმწიფოს სათავეში;
- ხალხი ჩუმდება, იმიტომ რომ იცის, რომ საზოგადოების აზრს არ მიექცევა ყურადღება;
- მოსამართლეს ზოგჯერ უნდა, რომ კანონთან შესაბამისობაში გამოიტანოს განაჩენი, მაგრამ დიქტატურა არ აძლევს ამის საშუალებას;

- არც კერძო სექტორი მოხსნის კორუფციის პრობლემას, არც დასაქმება. მაინც არსებობს კორუფცია ინგლისში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში. ვერსად მოიგონეს ისეთი პრინციპი, რომელიც მთლიან მოგებას მიაღებინებდა მენეჯერს. თვითშეგნება უნდა იყოს ისეთი, რომ ხელი შეუწყოს კორუფციასთან ბრძოლას;
- მთელი თბილისის ბიუჯეტი კორუფციულად იქნა მიღებული, ყაყანში და ცემა-ტყეპაში. არავითარი პროექტი არ არსებობდა! და ესენი საუბრობენ მძღოლების მიერ 20 კაპიკის მოპარვაზე...
- ხელისუფლებას არ გადაუდგამს რადიკალური ნაბიჯები არც ერთ მიდგომის მხრივ. არც ყველა კორუმპირებული არაა დაჭერილი, და ვინც დაიჭირეს - არ დასაჯეს. სუფთა ფურცელიც არ მუშაობს, არც პატიოსნების კუნძულებია დიდად საიმედო.
- სანამ იარსებებს კორუფციის ერთიანი ჯაჭვი, საქმეს არაფერი ეშველება.

როგორ ვებრძოლოთ კორუფციას?

- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაა აუცილებელი. არაა აუცილებელი, რომ ყველა სახელისუფლებო სტრუქტურებში მუშაობდეს. რამდენიმე პირის ხელშეწყობა არ ნიშნავს დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას. სანამ მცირე ბიზნესი არ ჩადგება უპირატეს მდგომარეობაში, არაფერი არ გვეშველება;
- როდესაც რაღაც მოდელზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის ტრადიციები, ისტორიული წარსული, თორემ უცხო მოდელების ბრმად გადმოტანამ, ხომ ვხედავთ, არ გაამართლა;
- რაც უარყოფითი გვაქვს, ყველაფერს ქართული ტრადიცია რატომ დავარქვით?
- საზოგადოებას ნდობა თუ არ ექნება ხელისუფლების მიმართ, არანაირ კორუფციასთან ბრძოლას არ ექნება აზრი;
- უფრო მეტი დრო და ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდებს, და აღმზრდელობით მუშაობას;
- აუცილებელია კორუფციასთან ბრძოლის დაწყება სკოლიდან, თორემ ისე ქარის წისქვილებს ვებრძვით დონ კიხოტებივით;
- მხოლოდ დაჭერებით კორუფციასთან ბრძოლა და პატრულის ჩვენება ტელევიზიაში არ გვიშველის. გვინდა თუ არ გვინდა, მაინც ქურდულ ტრადიციებს ვცემთ პატივს. როგორ შეიძლება შენიშვნა მივცეთ იმას, ვინც სიგარეტი გადააგდო ქუჩაში, ან როგორ შეიძლება ნარკომანი მეზობლის ჩაშვება? ამის შეცვლა მხოლოდ სკოლის ასაკიდანაა შესაძლებელი;
- ყველა უნდა ვიყოთ კანონმორჩილები და კანონის უზენაესობას ვცემდეთ პატივს, სხვათა შორის პრეზიდენტიდან დაწყებული. ყველამ უნდა დავიწყოთ მუშაობა საკუთარ თავზე;
- სოციალური პირობების გაუმჯობესება - ხელფასების და პენსიების გაზრდა, ესაა წამალი;

- ავიღოთ განვითარებული ქვეყნები და გამოვიყენოთ მათი გამოცდილება, რატომ არ ვიყენებთ?
- ყველა კორუმპირებული შესაძლოა არა დასაჭერი, მაგრამ დასასჯელია;
- კორუფციასთან ბრძოლის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს მას მედიამ;
- ადმინისტრირებით ვერაფერს ვერ მიაღწევ, თუ სისტემა არ შეიცვალა;
- ახლა სიმართლის გატანა უფრო ჭირს, ვიდრე შევარდნაძის დროს. ჩვენი პროფკავშირი არის იქ, სადაც უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ ცოტანი ვართ. სამოქალაქო სექტორი უნდა გააქტიურდეს;
- კანონი უნდა ვიცოდეთ და უნდა გვქონდეს შესაბამისი ინფორმაცია;
- სუფთა ფურცლის დრო დამთავრდა უკვე 2004 წლის მარტში. რაც შეეხება სხვა მეთოდებს, პატიოსნების კუნძულებით უნდა დავიწყოთ, რადგან პირველ მიდგომას ძალიან დიდი რესურსი დასჭირდება;
- მე შინაგანად ყოველთვის მომწონდა პატიოსნების კუნძულების მიდგომა, მაგრამ ერთ რამეს ვიტყვი: უნდა მოხდეს პრიორიტეტების განსაზღვრა, რომელი უნდა იყოს ეს პატიოსნების კუნძული - პატრული, რომელიც 2 ლარს არ იღებს ქუჩაში, თუ სასამართლო რეფორმა, რომლის არარსებობა დიდ დარტყმას მიაყენებს პრობლემას მთლიანობაში. შეღავათი, ანუ სუფთა ფურცელი, დამნაშავისათვის უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ის ჩადებს ფულს პატიოსნების კუნძულზე.

რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო კორუფციასთან ბრძოლის პროცესში?

- პირველ რიგში უნდა მოხდეს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და რეფორმების ჰარმონიულად, პარალელურად წარმართვა ყველა სფეროში;
- დავიწყოთ არა მთლად სუფთა ფურცლიდან: მოხდეს რაღაც პერიოდამდე დაჭერა - დიდი კორუმპირებული ადამიანების. შემდეგ გადავშალოთ ფურცელი და დავიწყოთ უკვე სუფთა ფურცლიდან. მაგრამ ასე ხომ გააკეთეს საქართველოში, და აღმოჩნდა, რომ ხალხს შეეშინდა, რომ მათ მაინც დაიჭერდნენ. ამიტომ ჩემს თავთან მოვედი წინააღმდეგობაში, ამ ორი მიდგომის თანხვედრაც არ გამოვიდა;
- ყველაფერი უნდა მოერგოს ქვეყანას, მის თავისებურებებს. ვფიქრობ, რომ ყველაზე მისაღებია პატიოსნების კუნძულების იდეა. უპირატესობას ვანიჭებ მას, გამომდინარე ჩვენი რეალობიდან, და ჩვენი მენტალობიდან. შეუძლებელია ყველაფერს ერთდროულად ებრძოლო. მომწონს, რომ ამ მიმართულებით ბევრი რამ ჩატარდა, თუნდაც ერთიანი ეროვნული გამოცდები.
- კორუფციის ფაქტის გამოვლენა არ ნიშნავს მასთან ბრძოლას. საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს იმისათვის, რომ, მაგალითად, არ იხარჯებოდეს სარეზერვო ფონდები ასე განუკითხავად.
- თვითმიზანი არაა კორუფციასთან ბრძოლა, თვითმიზანი არის მისი აღმოფხვრა. კომპლექსური ბრძოლაა საჭირო: სახელმწიფო მართვის სწორი სისტემის შექმნა, სრულყოფილი საკანონმდებლო

ბაზა თავის აღმასრულებელი მექანიზმებით და სამოქალაქო სექტორის მიერ საზოგადოების განათლება;

- უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება და პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება;
- განათლების სისტემაში შევიდეს სპეციალური საგანი, რომელიც ახსნის კორუმპირებული სისტემის თვისებებს და შეადარებს მას არაკორუმპირებულთან (ასეთი რამ იტალიაში იყო აპრობირებული);
- პატიოსან ადამიანებად დარჩენილების წახალისება იქნება დადებითი მაგალითი სხვებისთვის;
- გამოცდილი კადრები უნდა გამოვიყენოთ და არ გავრიყოთ ისინი;
- ანტიკორუფციული იდეოლოგია უნდა შემუშავდეს და მოქმედებდეს ხანგრძლივად და ეროვნულ დონეზე. მაგალითად ის ფაქტი რომ გავრცელდეს, რომ კორუფცია მაღლა სწევს ბავშვთა სიკვდილიანობის დონეს, ეს ძალიან ქმედითი იქნება;
- კონკრეტული ნაბიჯი იქნება გამართული საკრედიტო სისტემის ამოქმედება;
- არასამთავრობო სექტორში არიან დარჩენლი ადამიანები და ჩვენ უნდა დავამუშაოთ სერიოზული სამოქმედო გეგმა, თორემ ხელისუფლება რომ არაფრის მაქნისი არაა, ამას თბილ ადგილებზე მოკალათებული უმცირესობის გარდა, ყველა კარგად ხედავს. უნდა გავერთიანდეთ ყველა სამოქალაქო ძალა, ყველა საშუალება უნდა ვიხმაროთ და ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ გადავიდეს კონკრეტულ ქმედებებზე;
- მე მაინც ვუჭერ მხარს პირველ მიდგომას, რადგან მიმაჩნია, რომ ეს სამართლიანი მიდგომაა. ჰეგელს დავესესხები: კანონი არის იქ, სადაც არის უკანონობა. კორუფცია და უკანონობა რომ არის, ამიტომაა საჭირო კანონის ამოქმედება;
- საარჩევნო ადმინისტრაციის პატიოსნების კუნძული უნდა შეიქმნას. თავიდანვე, ხელისუფლებაში პოლიტიკოსთა მოსვლამდეა აუცილებელი ხალხის ნების დაცვა და დაფასება ;
- შეიქმნას სისტემა, ვთქვათ ანტიკორუფციული ცენტრი, რომელიც დაკომპლექტდება სულ სხვაგვარად, საზოგადოების და არა ხელისუფლების მიერ, და ექნება ოფიციალური გავლენა პროკურატურაზე, სასამართლოზე და შს სამინისტროზე.

საბოლოო დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი:

მიუხედავად გამოთქმული აზრების მრავალფეროვნებისა, ფორუმის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა აფიქსირებდა სამ მთავარ პრინციპს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს როგორც კორუფციასთან ბრძოლა, ისე საერთოდ, პოლიტიკური პროცესები საქართველოში.

პრიორიტეტულობის მიხედვით ეს მოსაზრებები ასე ყალიბდება:

1. ხელისუფლება მოქმედებს სპონტანურად. მას არ გააჩნია კონკრეტული სამოქმედო გეგმები ან, უკეთეს შემთხვევაში, მათ უმალავენ საზოგადოებას. აუცილებელია ერთიანი სამოქმედო სტრატეგიების, შესაბამისი კონცეფციებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი საჯარო განხილვები საზოგადოებაში მეტ-ნაკლები კონსენსუსის მიღწევის მიზნით.

2. ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, რაც საშუალებას აძლევს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ყოველგვარი სასჯელის შიშის გარეშე, უხეშად დაარღვიოს მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებები. ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნას, რომელიც საიმედოდ დაიცავს მოქალაქეს ნებისმიერი ძალის, და უპირველეს ყოვლისა სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან, ხელყოფისაგან.

3. შეუძლებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, ისე როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის ხელისუფლებამ, ცენტრალიზებული მართვის გზით მიაღწიოს საზოგადოებისათვის ხელშესახებ შედეგებს. რეალური წარმატების მისაღწევად აუცილებელია განხორციელდეს ქვეყნის რეალური დეცენტრალიზაცია და დღევანდელმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა უარი განაცხადოს ძალაუფლების მაქსიმალური ცენტრალიზციის დღეისათვის აღებულ კურსზე.

ამონარიდი ფორუმების მსვლელობიდან

ფორუმებზე არსებული ატმოსფეროს ასახვის მიზნით გთავაზობთ ნაწყვეტებს სხვადასხვა ფორუმზე გამართული მსჯელობებიდან.

გორი, 2006 წლის 23 თებერვალი

პირველი მამაკაცი: ერთი საზომით ყველასადმი მიდგომა არ გამოდგება. ნემსის და აქლემის ქურდი უნდა განვასხვავოთ და შემდეგ შესაბამისად დავსაჯოთ.

პირველი ქალი: საზოგადოების თვითგანწმენდა უნდა განხორციელდეს...

მეორე მამაკაცი: რა განწმენდაზეა ლაპარაკი, ბოლო 15 წელია, ქვეყანა ან ხელისუფლების გარეშეა, ან კიდევ არაკომპეტენტური კადრებით არის დაკომპლექტებული. ისე, თუ უმოქმდობაც კორუფციაა, მაშინ მთელი საქართველო დასაჭერია.

მეორე ქალი: ისე, დღეს მე თუ უბრალოდ მეუბნებიან, რომ წადი სახლშიო, მე იმდენი მაქვს დაგროვილი, რომ წავალ, მა რას ვიზამ.

მესამე მამაკაცი: პრინციპის "ყველა დასაჭერიას" გატარებას სჭირდება სისტემური მიდგომა, არ უნდა იყოს კორუფციისდამი შერჩევითი დამოკიდებულება.

პირველი მამაკაცი: ჩვენს რეალობაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ვერ იქნება დაზღვეული პოლიტიკისაგან და რეპრესიების ხასიათი შეიძლება მიიღოს.

მეოთხე მამაკაცი: აბა რა სჯობია, ყველას მივუტევოთ? ამ მიდგომის გატარების შემთხვევაში ზარალდება მთლიანად საზოგადოება და პატიოსანი ადამიანები არათანაბარ სასტარტო მდგომარეობაში ხვდებიან.

პირველი ქალი: ისე მე უფრო პატიოსნების კუნძულების იდეა მომწონს. ადრეც ხომ არსებობდა ასეთი რამ, მაგალითად მონასტერი, სადაც ამქვეყნიურ ცოდვებს განერიდებოდი.

პირველი მამაკაცი: თანაც ეს არის ლიბერალური საშუალებებით რაღაც შედეგის მიღწევის გზა.

მეხუთე მამაკაცი: იცით რას გეტყვით, თუ მასე გინდათ, წამოდით ჩემთან. მე გორის პოლიციაში ვმუშაობ და გარშემო ისეთი ადამიანებით ვარ გარშემორტყმული, რომ მართლა "კუნძულზე" გეგონება თავი. შენ მონდომება თქვი, თორე იმისთანა გზებს გამოვნახავ მაგ შენ კუნძულზე, რო...

თბილისი, 2006 წლის 1 მარტი

პირველი ქალი: არ ვიცი მოკლედ როგორ ჩამოვაყალიბო სათქმელი... მე ვფიქრობ, რომ სასჯელის გამკაცრებით შედეგის მიღებას ხელი არ შეეწყობა, ვინაიდან არ არსებობს კანონის აღსრულებაზე კონტროლი. რომელ სამართლიანობაზეა ლაპარაკი, როცა მთელ ქვეყანაში დღეს შიშის სინდრომია გამეფებული.

პირველი მამაკაცი: დღეს ჩვენში სიმართლის აღსრულება უფრო ჭირს, ვიდრე შევარდნაძის დროს.

მეორე ქალი: აბა თქვენ რა გგონიათ, იოლია ბრძოლა? ერთი მთავრობაში მანახა თქვენი თავი, როგორ გააკეთებდით რამეს. კორუფციასთან ბრძოლა გალაქტიონის ლექსივითაა: "დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია". ეს რაც შეეხება პოეზიას. თუ უშუალოდ კონკრეტიკაზე გადავალთ, მთავრობას ხელშეწყობა სჭირდება. მხარდაჭერა იქ, სადაც კარგი საქმე კეთდება და იმის კორექტირება, რაც არასწორადაა გაკეთებული. მხარში უნდა დავუდგეთ სააკაშვილს მთელი საზოგადოება. მთელი საზოგადოება-მეთქი. აქ ოპოზიციასაც ვგულისხმობ და არასამთავრობოებსაც. უნდა გავზარდოთ პროფკავშირების როლი და ფუნქციები კორუფციასთან ბრძოლაში.

მეორე მამაკაცი: ყველაფრის თავი და თავი მაინც ეკონომიკაა. ჩვენთან არ არსებობს სუფთა ეკონომიკა. ნათქვამია, მილიონერს იმას ნუ ჰკითხავ, პირველი მილიონი სად იშოვა, თორემ დანარჩენებზე ყველაფერს მოგიყვებაო... არადა საინტერესოა გამოვარკვიოთ, საიდან იშოვეს დღევანდელმა ოლიგარქებმა, დღეს რომ ბიზნესსა და მორალზე ერთნაირად გველაპარაკებიან, პირველი მილიონი.

მეორე ქალი: გეთანხმებით: კორუფცია ზედნაშენია, მისი საფუძველი ჩრდილოვანი ეკონომიკაა.

ახალციხე, 2006 წლის 7 მარტი

პირველი ქალი: ყველა კორუმპირებულის დაჭერის შემთხვევაში, ამაღლდება პასუხისმგებლობა კანონის წინაშე და რუსთაველის შეგონება "შიში შეიქმს სიყვარულსა" რეალურად განხორციელდება. მომავალი თაობა ამ სულისკვეთებით უნდა აღიზარდოს, რათა კანონის პატივისცემა ისწავლოს.

პირველი მამაკაცი: ეს მეთოდი ტოტალიტარიზმის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს, არსებობს ამის საფრთხე და ამას ვხედავთ რეალობაშიც, ანტიკორუფციულ ტალღაზე დაჭერილი ხალხის მაგალითზე, რომ ხდება შერჩევითი ანგარიშსწორება.

მეორე ქალი: არამარტო შერჩევითი, არამედ პოლიტიკური ანგარიშსწორებაც, პროპაგანდისტული კომპანიის წარმოების მიზნით. ბევრ შემთხვევაში კორუფციის ბრძოლის ნიშნით კანონი და ადამიანის უფლებები ირღვევა.

მესამე ქალი: სუფთა ფურცლის პრინციპის გამოყენება ჩამოაშორებს კორუმპირებულ მოხელეებს სამოხელეო საქმიანობას და ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის.

პირველი ქალი: სუფთა ფურცელი შანსია, მაგრამ არა იმედი. ეს გამოიწვევს სოციალური სამართლიანობის დეფიციტს და ხელისუფლებისადმი უნდობლობას, რითაც ქვეყნის განვითარების შანსი ისპობა.

მეორე მამაკაცი: "პატიოსნების კუნძულების" პრინციპი სჯობია, თან ამის სწავლება სკოლიდან უნდა დაიწყოს.

მეორე ქალი: სამართლიანი არჩევნები კორუფციის შეზღუდვის საფუძველი უნდა გახდეს.

მეოთხე ქალი: ეგ თქვენი კუნძულის პრინციპი სოციალურ უსამართლობას ამკვიდრებს. თან არ გამოვა ჩვენს შემთხვევაში, ამისათვის საკანონმდებლო ბაზას მნიშვნელოვანი სრულყოფა სჭირდება.

პირველი მამაკაცი: ქვეყანაში არსებობს კორუფციასთან ბრძოლის საბაბით ბოლშევიზმის წარმოქმნის საშიშროება. რევოლუციის მერე კორუფციული კლანების ახალი კლანებით ჩანაცვლების არაერთი მაგალითი გამომჟღავნდა.

ქუთაისი, 2006 წლის 10 აპრილი

პირველი ქალი: მე ჟურნალისტი ვარ. ვწერდი კორუფციაზე, მაგრამ დავანებე თავი იმიტომ, რომ მეშინია, ხელისუფლება დამსჯის მე, ან ჩემს შვილებს. ამის მაგალითები ბლომადაა.

პირველი მამაკაცი: რაღა შორს მივდივართ, ლტოლვილების ნებისმიერი პრობლემა კორუფციასთან არის დაკავშირებული.

მეორე ქალი: ტრეფიკინგი? უამრავი შემთხვევები ხდება, სადაც ფაქტიურად კორუფციაა ადამიანთა დაღუპვის მიზეზი.

მეორე მამაკაცი: სამართლის უზენაესობაა ყველაფრის თავი და თავი. კორუმპირებულებს ფული მხოლოდ სასამართლო პროცესის მერე უნდა მოვატანინოთ, წინდაწინ გარიგებით რომ "ახევენ" ფულებს ახალი ქურდები ძველებს, მე რა. კანონი უნდა კანონობდეს, თორემ ედუარდის ჯიბიდან თუ მიშიკოს ჯიბეში გადავიდა ფული, ეს სადაური წესია.

მესამე ქალი: მართალია, ყველაფერი ახლაც ნაცნობობით კეთდება, დაჭერაც კი. რა ლაპარაკი უნდა, კორუმპირებულების შერჩევითი დაჭერა უარყოფითი მოვლენაა.

მესამე მამაკაცი: ამ ბიზნესმენებსაც დავაკვირდეთ. ხომ ვიცით, უჭკუო კაცი ფულს ვერ იშოვის, ამიტომ მოდი ეს ჭკვიანი კორუმპირებული კაცები გამოვიყენოთ სახელმწიფოს სასარგებლოდ.

მეოთხე ქალი: სუფთა ფურცლის მიდგომა სოციალური უსამართლობის გრძნობას დაამკვიდრებს. ყველას არ აქვს უფლება სუფთა ფურცლიდან დაიწყოს.

მეოთხე მამაკაცი: პატიოსნების კუნძულების, და საერთოდ მაღალი მოტივაციის შენარჩუნება მხოლოდ მოტივირებული ანაზღაურებით შეიძლება.

მეხუთე ქალი: მინისტრებს 3000 ლარი აქვთ ხელფასი და მაინც იპარავენ. ესაა და ღვინის ბიზნესში წილიო, ეს კიდევ მინისტრის ძმის ქარხნებიაო. უნახავმა რა ნახაო, მაგათზეა ნათქვამი, დუმბაძესი არ იყოს - ცალ-ცალი ჩექმით რომ მოვიდნენ მთავრობაში. ეგ თქვენი კუნძულები სამოქალაქო საზოგადოებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. კონტროლის გარეშე ნდობა არ არსებობს.

მეხუთე მამაკაცი: პარდონ, "ოკეან იზვინენიი", მეც მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა!... რაზეა ლაპარაკი, თავიდანვე გაფუჭებულები ვართ ყველა. შვილიშვილი ძილის წინ არ მაკოცნინებს, თუ კამფეტი არ მივეცი ქრთამად. ასე ვზრდით თაობებს. სკოლაა და რა? კორუფციის აპოლოგია. რწყილი და ჭიანჭველა არ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში. მერე უმაღლესი: ყველაზე დიდი კორუფცია უმაღლეს სასწავლებლებშია. ქუთაისის უნივერსიტეტში საშინელი კორუფცია ტრიალებს. ახლა არ დამიწყოთ ესაო და ისაო. მე თვითონ ლექტორი ვარ და ჩაწყობითაც დამიწერია ნიშანი და ახლობლობითაც.

მეექვსე მამაკაცი: არსებობს ასეთი გამოთქმა: თუ გინდა შეცვალო სამყარო, შეცვალე შენი თავი. მე თუ დავუპირისპირდები კორუფციას, პირველ რიგში საკუთარ თავში უნდა მოვახდინო ცვლილებები.

ოზურგეთი, 2006 წლის 12 აპრილი

პირველი ქალი: სანამ მთავრობის ნება არ იქნება, რომ მუდმივად ებრძოლოს კორუფციას, მანამდე არაფერი გვეშველება, ყოველთვის ნაცარს შემოგვაყრიან თვალებში.

პირველი მამაკაცი: რაო? ვინ უნდა ებრძოლოსო? ვანო მერაბიშვილის მამა გუშინ, რომ არაფერი იყო, დღეს ჯიპით დაგრიალებს ახალციხეში, რა დავარქვათ ამას? ხალხი ყველაფერს ხედავს. რა ვიცი? ქვისლი მყავს იქაური და ჩავდივარ ხოლმე იქ. ისე ბრმა კი არა ვარ. რავა, იქ რო არ წავიდეთ, აქ ვერ ვხედავთ, რაშია საქმე?

მეორე მამაკაცი: დალაპარაკების შიში გაჩნდა ადამიანებს შორის, "ნაცებმა" თუ გაგიგეს, მოგჭამა ჭირი სამსახურმა....

მესამე მამაკაცი: როგორც იტყვიან, დანიის სამეფოში ყველაფერი კარგად არ არის. ჩვენ საზოგადოებაში ყველა კორუმპირებელულია, ამიტომ კითხვა ჩნდება, ჩვენ ვინ გაგვასამართლებს?

მეოთხე მამაკაცი: რაია, კოტე გაბაშვილის გამოსწორება თუ შეიძლება, ედუარდის წინ რომ დააჩოქა ქართველი ხალხი და დღეს კი მორალს გვიკითხავს, მაშინ ყველაფრის დაჯერება და გამოსწორება შეიძლება.

მეორე ქალი: სერიოზულად ვილაპარაკოთ. მიუხედავად ყველაფრისა, წარმატებებიც არის, მხოლოდ ზოგან, ამაში გეთანხმებით, მარა ერთ სფეროში რეფორმის წარმატება, მეორე სფეროში წარმატების საფუძველს ხომ იძლევა?

მესამე ქალი: დიდი მნიშვნელობა აქვს პატიოსანი მოხელეების ფენის შექმნას, თორემ იმ შენ პატიოსნების კუნძულს კორუფციის ოკეანე წალეკავს.

მეოთხე მამაკაცი: პატიოსნების კუნძულებმა შეიძლება საზოგადოების გათიშვა გამოიწვიოს.

მეხუთე მამაკაცი: მოიცა. რა წარმატებებზე ვლაპარაკობთ, ამიხსენით ერთი.

მეორე ქალი: მიწის კადასტრის და საპასპორტო სისტემაში ჩვენთან აშკარად გამოსწორდა სიტუაცია. კაი ბიჭი გამოდგა ფორჩხიძე.

მეხუთე მამაკაცი: პროკურატურა, სასამართლო და პოლიციის სისტემა მაინც მოჯადოებულ სისტემად დარჩა.

მეექვსე მამაკაცი: სწორია. რევოლუციის შემდგომ კორუმპირებულ მოხელეთა რიცხვი შემცირდა, სამაგიეროდ უფრო მაღალ ეშელონებში გადაინაცვლა და "სტავკებმა" კი ისე აიწია, რომ ამისთანა არც არასოდეს ყოფილა.

მეშვიდე მამაკაცი: აქანა კანონის პრინციპზეა საუბარი - ყველანი დავიჭიროთო, თორემ ჰიტლერის და ჩონ დუნგ ჰვანის პრინციპებზე კი არა.

მესამე ქალი: ისე პატიოსნების კუნძულს ნახევარკუნძული ხომ არა სჯობია? ნუ მოვწყდებით მთლად მშობლიურ, კორუფციულ, ქართულ გარემოს.

მეხუთე მამაკაცი: ხომ კი. ფრთხილად იყავით, იმ კუნძულზე პატიოსნებაში არ ამოგვხდეს სული.

მეხუთე მამაკაცი: თუ შეიძლება ჩვენი მთავრობა რომ გავაგზავნოთ იმ კუნძულზე?

მეშვიდე მამაკაცი: სამივე მიდგომის კომბინირების გარეშე არაფერი არ გამოვა.

მესამე მამაკაცი: ისე კარგი აზრები გაქვთ, მაგრამ მგონია, ყველას მიტევება მაინც არ გამოვა. "სუფთა ფურცელი" 2004 წლის მარტში დამთავრდა. ხომ იყო ამნისტია. რა, ახლა აღარ ზის "წილებში" მთავრობა?
მეორე ქალი: კი ბევრი დანაშაული იქნა ჩადენილი, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ხელისუფლებას ამ სამივე მიდგომის რესურსი არ აქვს ამოწურული. მთავარია პრიორიტეტები ახლა მაინც განისაზღვროს სწორად.

ბათუმი, 2006 წლის 13 აპრილი

პირველი მამაკაცი: პრინციპი ყველა დასაჭერია სავსებით გამართლებულია. კანონი არ არის მორალი ამიტომ არცოდნა არცოდვა არ არის. კანონი ყველასათვის უნდა აღსრულდეს და კორუმპირებულიც კანონმა უნდა დასაჯოს.

პირველი ქალი: გააჩნია განვითარების რა ეტაპზეა საზოგადოება, ამის მიხედვით უნდა მოხდეს ამ მიდგომის გამოყენება.

პირველი მამაკაცი: აუცილებლად უნდა დამკვიდრდეს პრინციპი, რომ ხელშეუხებელი არავინ არ არის.

მეორე ქალი: გავითვალისწინოთ, რომ პრევენცია უფრო ადვილად განსახორციელებელია, ვიდრე ყველა კორუმპირებულის დაჭერა, რადგან კორუფციის მტკიცებულებები ძნელი მოსაპოვებელია.

მესამე ქალი: აბა რა სჯობია, ყველას პატიება? სუფთა ფურცლის პრინციპი? ხომ იცით, რომ ამ მიდგომის დანერგვა საზოგადოებაში უსამართლობის შეგრძნებას გაამძაფრებს

მეორე მამაკაცი: ყოველ შემთხვევაში ეს სჯობია პატიოსნების კუნძულის პრინციპს. ცალ-ცალკე ბრძოლა არ გამოვა. ბრძოლას მთელი არმია იგებს და არა მარტო ბატალიონი, ამიტომ ამ მიდგომის დანერგვა შედეგს არ გამოიღებს.

პირველი ქალი: მართალია, ამ მიდგომის დანერგვით საერთო შედეგი გვიან დადგება, მაგრამ მთავარია გარანტირებული შედეგი მივიღოთ.

მესამე მამაკაცი: რას ლაპარაკობთ, საზოგადოებისადმი დიფერენცირებული სოციალური მიდგომა ჩნდება. აი მაგალითად, მე პოლკოვნიკი ვარ 25 წლის სტაჟით და 120 ლარი მაქვს ხელფასი, გუშინდელ ბიჭს, პატრულის რიგითს კი 400 ლარი, ეს სამართალია?

მესამე ქალი: ადამიანი, რომელიც ერთხელ გაირყვნა ფულით, არასოდეს მოეშვება ამას.

მეოთხე ქალი: აუცილებულია კორუმპირებულების ლუსტრაციის კანონის ამოქმედება, კორუფციას კი არ უნდა აღმოვფხვრათ, არამედ უნდა შევამციროთ.

პირველი ქალი: "ყველა დასაჭერია" პრინციპის დანერგვით კანონმორჩილება გაძლიერდება, მაგრამ არქიპელაგი გულაგი გვინდა ახლა ჩვენ?

მესამე ქალი: აბა დღეს მე თუ უბრალოდ მეუბნებიან, რომ წადი სახლშიო, მე იმდენი მაქვს დაგროვილი, რომ წავალ, აბა რას ვიზამ. დიახაც ყველა დასაჭერია, თუმცა ამის ცხოვრებაში გატარებას სჭირდება სისტემური ხედვა, არ უნდა იყოს კორუფციისდამი შერჩევითი დამოკიდებულება.

მეორე მამაკაცი: კი მაგრამ, ჩვენს რეალობაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ვერ იქნება დაზღვეული პოლიტიკისაგან და რეპრესიების ხასიათი შეიძლება მიიღოს.

მეხუთე ქალი: თავისუფალია ის, ვინც იცის თუ რას აკეთებს. ამ მიდგომის შემთხვევაში "სუფთა ფურცელი" არის შანსი კორუმპირებულისათვის. ამ მიდგომის გატარების შემთხვევაში ზარალდება მთლიანად საზოგადოება და არათანაბარ სასტარტო მდგომარეობაში ხვდება.

მეექვსე ქალი: პატიოსნების კუნძულის მიდგომა სტრატეგიულად უფრო სწორი მგონია, ვიდრე წინა ორი...

მეოთხე მამაკაცი: და არ შეიძლება ამ კუნძულზე კორუფცია შეფარული სახით იყოს?

მეხუთე მამაკაცი: რეფორმა უნდა იყოს ვერტიკალური და თანაც ბრუნვადი... სერიოზულად თუ ვიტყვი, ისაა, რომ რეფორმა არ უნდა გაითიშოს საზოგადოებისაგან. ჯერ ერთი, რეფორმების ავტორების ძალაუფლება არ უნდა გადაიზარდოს აბსოლუტურ ძალაუფლებაში, მეორეც, სამივე მიდგომა უნდა გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ახალი, მეოთხე მიდგომა, რომელიც შეძლებისდაგვარად გააერთიანებს ყველა მიდგომის დადებით ასპექტებს.

ზუგდიდი, 2006 წლის 4 მაისი

პირველი მამაკაცი: ვსვავ კითხვას, ყველა კორუმპირებული ციხეშია დღეს? ან რევოლუციის მერე ყველა დაიჭირეს?

მეორე მამაკაცი: სახელმწიფო დილეტანტების ხელში აღმოჩნდა.

მესამე მამაკაცი: არაფერი დილეტანტები არ არიან. კორუფციამ ზედა ფენებში აიწია. პატრული რომ 2 ლარს აღარ გვართმევს, თქვენ სხვა ხარჯები ნახეთ. უნდა განვასხვავოთ ელიტარული და საყოფაცხოვრებო კორუფცია.

პირველი ქალი: ისე, გოგიჩაიშვილი რომ რევოლუციამდე არკვევდა, როგორ შეიძინა თავისი ქონება რჩეულიშვილმაო. რევოლუციის მერე გოგიჩაიშვილის შოუში მაია რჩეულიშვილი მთავარი გმირია და არავინ კითხულობს, რა ფულს არიგებს ის მოყვარული ბიზნესმენებისათვის.

მეორე ქალი: ელიტარულ კორუფციას პატიოსნების კუნძულები უნდა დავუპირისპიროთ. საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ თავისუფლების კუნძულების მიდგომამ მოიტანა გამარჯვება. მაგალითისათვის, არასამთავრობოებშიც არიან ქეციანი ცხვრები, მაგრამ შსს-სთან შედარებით რა მოსატანია.

მესამე ქალი: შერჩევითი მართლმსაჯულება დასაძრახია. არადა ეს არაა ახალი ხელისუფლების კრედო? მარტო ზუგდიდის ბაზრის კარის ისტორია კმარა. ორი ინსტანციის სასამართლომ ხალხის მხარე დაიჭირა, მარა კარს მაინც არ აღებს ხელისუფლება. ხომ ვიცით, ვისი სუპერმარკეტის გულისათვის კეთდება ეს?

ფოთი, 2006 წლის 5 მაისი

პირველი მამაკაცი: ჩვენთან კორუფციასთან ბრძოლის დეკლარირება ხდება, მაგრამ არ ხდება რეალურად მასთან ბრძოლა. დღესაც ვხედავთ, რომ საქართველოში მუშაობს ფულის გადაქაჩვის სქემები.

მეორე მამაკაცი: მაშინდელი იუსტიციის მინისტრის სასამართლო რეფორმის 10 წლიანი გამოცდილება კორუფციის წინააღმდეგ “ბრძოლის” ნათელი მაგალითია.

მესამე მამაკაცი: ყველა დასაჭერია, აბა რა.

პირველი ქალი: საზოგადოება ამისთვის არ არის მზად, ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ერთნაირად არ უნდა განვსაჯოთ.

მეოთხე მამაკაცი: მე “ობშიაკის” შემგროვებელი ვიყავი გამგეობაში წინასაარჩევნო პერიოდებში. ორი რევოლუციის მომსწრე ვარ, გამსახურდიასი და ვარდების. ისე, კი ჰგავს ერთმანეთს რაღაცით. გამსახურდიას მოსვლის მერე 6 თვე არ ყოფილა კორუფცია. მერე დაიწყო, მარა რა დაიწყო. ახლა 1,5 თვე შეჩერდა ყველაფერი, სამაგიეროდ ახლა ისეთი კორუფციაა, ჩემს მტერს.

მეორე ქალი: ვინაა მერე დამჭერი? ვინც იჭერს, ის თვითონ კორუმპირებულია.

მესამე ქალი: ეხ შვილო, ძალიან დაეცა ხელისუფლებისადმი ნდობა. არადა რა იმედები გვქონდა, თბილისში რომ მივრბოდით მიშას ერთ დაძახილზე?

მეხუთე მამაკაცი: კანონი ქაღალდზე დარჩება, თუ საზოგადოებაში ზნეობრივი დონე არ ამაღლდა. ქურდის და კორუმპირებულის დასჯას, როგორც მსოფლმხედველობის დასჯას, ისე უნდა მივუდგეთ.

მეექვსე მამაკაცი: კორუფციული სისტემა თავის თავთან მებრძოლ დრაკონს ჰგავს, რომელიც თავის კუდს ჭამს. არსებობს პრეზიდენტის 2005 წლის №377 ბრძანებულება ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ. მე გეკითხებით: მუშაობს კი იგი?

მეორე ქალი: ფოთში მართლდება ანდაზა, "წინა კაცი უკანას ხიდიაო". სამი მერი დაიჭირეს ზედიზედ. ყველა კორუფციის ბრალდებით. რად გინდა? ეხლაც ბიუჯეტში 600.000 ლარი კულტურის სფეროშია ჩადებული და, არ არის გაწერილი, რაში უნდა დაიხარჯოს.

მესამე ქალი: მიშამ თქვა, ხელისუფლებამ უნდა უსმინოსო ხალხს, მაგრამ ეს არ ხდება დღეს - ხელისუფლება ყრუა და ბრმა. სადაც შიშია გაჩენილი, სახელმწიფო იქ ვერ იარსებებს.

მეხუთე მამაკაცი: ამ მიდგომის განხორციელების დილემა პროფესიონალიზმსა და ერთგულებას შორის გადის.

მეორე მამაკაცი: "ყველა დავიჭიროთ" მიდგომა საქართველოში არარეალურია. არ დაგავიწყდეთ, ჩვენ არსენა მარაბდელზე გაზრდილი თაობა ვართ და "ჩაშვების" ინსტიტუტი ჩვენთან არ იმუშავებს.

მეოთხე ქალი: ფოთში რევოლუციამდე და მერე ერთი და იგივე ადამიანები ტრიალებენ სახელმწიფო თანამდებობებზე. პატიოსნების კუნძულიო, რომ ამბობთ, ვისაც გემი ჰყავს, ალბათ იმ კუნძულს ნახავს, თორემ ახლა ზოგი პარასკევაა ჩვენს კუნძულზე და ზოგიც ალბათ, რობინზონ კრუზო.

კითხვარები

ფორუმისწინა კითხვარი

1. წარმოდგენილი მოდელებიდან რომელი მოგწონთ?

№

არ ვიცი

დარწმუნებული არ ვარ

აქ არ არის მოცემული

2. აქ განხილული რა ქმედებები მიგაჩნიათ აუცილებლად განსახორციელებლად?

3. ჩემს მიერ არჩეული გზა ყველაზე სწორია?

სრულიად ვეთანხმები

ვეთანხმები

არ ვიცი

არ ვეთანხმები

სრულიად არ ვეთანხმები

4. არსებობს პრობლემის გადაწყვეტის სხვა გზა:

5. საანკეტო მონაცემები:

სქესი

ასაკი

განათლება

საქმიანობა (სახელმწიფო სტრუქტურა, არასამთავრობო ორგანიზაცია, კერძო ბიზნესი, განათლების სფერო, მოსწავლე'სტუდენტი, საოჯახო მეურნეობა, უმუშევარი, სხვა)

ფორუმისშემდგომი კითხვარი

1. რომელი მოდელი მოგწონთ?

№

არ ვიცი

დარწმუნებული არ ვარ

აქ არ არის მოცემული

2. აქ განხილული რა ქმედებები მიგაჩნიათ აუცილებლად განსახორციელებლად?

3. ჩემს მიერ არჩეული გზა ყველაზე სწორია?

სრულიად ვეთანხმები

ვეთანხმები

არ ვიცი

არ ვეთანხმები

სრულიად არ ვეთანხმები

4. არსებობს პრობლემის გადაწყვეტის სხვა გზა:

5. რა გაიგეთ ახალი ფორუმზე:

გამოკითხვის შედეგები

ფორუმებამდე და ფორუმების შემდეგ შეხვედრის მონაწილეებმა შეავსეს ანონიმური კითხვარები. მართალია ეს მასალა არ წარმოადგენს სრულყოფილი სოციოლოგიური კვლევის შედეგს და, გარკვეულწილად, არარეპრეზენტატულია, მაგრამ გარკვეული ტენდენციების გამოვლენისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების საშუალებას მაინც იძლევა.

დამსწრეთა ნაწილმა კითხვარები არ შეავსო. სულ შევსებული იქნა 275 კითხვარი (მათგან ზოგიერთი ნაწილობრივ). აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფორუმების მსვლელობისას მონაწილეები ბოლომდე ცდილობდნენ თავანთი პოზიციების დაცვას, კითხვარების შედეგებიდან ჩანს, რომ ნაწილმა (109 ანკეტა - მთელი ოდენობის 39.6%) შეხედულებები შეიცვალა.

შედეგების ანალიზის გაცნობამდე ორიოდე სიტყვით შევეხებით მონაწილეთა შერჩევის დემოგრაფიულ მონაცემებს:

*ცხრ.2. დემოგრაფია**

რეგიონები	პირი	%
იმერეთი	58	21.1
სამეგრელო	49	17.8
თბილისი	45	16.4
შიდა ქართლი	39	14.2
გურია	35	12.7
აჭარა	35	12.7
სამცხე	14	5.1
სულ	275	100

ასაკი	პირი	%
17 და ნაკლები	3	1.1
18-29	127	46.5
30-49	97	35.5
50-64	36	13.2
65 და მეტი	10	3.7
სულ	273	100

განათლება	პირი	%
საშუალო	18	6.6
ტექნიკური	5	1.8
უმაღლესი	245	90.1
სხვა	4	1.5
სულ	272	100

საქმიანობის სფერო	პირი	%
კერძო ბიზნესი	21	7.8
სახელმწიფო სტრუქტურა	46	17.0
არასამთავრობო ორგანიზაცია	94	34.8
განათლების სფერო	34	12.6
მოსწავლეჰსტუდენტი	41	15.2
საოჯახო მეურნეობა	3	1.1
უმუშევარი	15	5.6
სხვა	16	5.9
სულ	270	100

სქესი	პირი	%
მამაკაცი	131	48.2
ქალი	141	51.8
სულ	272	100

* *შენიშვნა: სხვადასხვა ცხრილში (რეგიონი, სქესი, ასაკი და ა.შ.) განსხვავება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რამდენიმე რესპონდენტმა ანკეტის შევსებისას არ მიუთითა შესაბამისი მონაცემი.*

რაც შეეხება ფორუმის წინა და შემდგომ მონაცემებს:

ზოგადი სურათი:

ფორუმების შემდეგ შემცირებულია I და II მოდელის მომხრეთა ოდენობა. თუ თავდაპირველად სამივე მოდელი ხმების თითქმის თანაბარ ოდენობას ფლობდა, ბოლოს მკვეთრად იკლო I მოდელის მომხრეთა წილმა.

ამავე დროს, გაიზარდა მათი რიცხვი, ვინც ყველა მოდელის კომბინირებულ მიდგომას, ან სრულიად ახალი გზის გამოძებნის აუცილებლობას უჭერს მხარს.

ოდნავ იმატა იმ პირთა რიცხვმა, რომელთაც უჭირთ საბოლოო პასუხის გაცემა. ეს შესაძლოა იმ გარემოებით აიხსნას, რომ მსჯელობისას გამოჩნდა ყველა შესაძლო ვარიანტის დადებითი და უარყოფითი მხარეების მთელი წყება და, შესაბამისად, სწორი გადაწყვეტილების მიღების სირთულე.

ცხრ.3. ზოგადი სურათი

მოდელები: ფორუმამდე და შემდეგ %%	საერთო	
მოდელი I - ყველა დასაჭერია	21.46	16.7
მოდელი II - დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან	24.72	20.0
მოდელი III - პატიოსნების კუნძულები	24.36	25.1
ვეძებოთ სხვა გზები	7.63	11.3
სამივე მოდელის კომბინაცია	6.88	10.5
მიჭირს პასუხის გაცემა	14.88	16.4

რეგიონების მონაცემების მიხედვით:

ზოგადი მონაცემებისაგან განსხვავებით I მოდელის მომხრეთა ზრდა აღინიშნა აჭარაში, II მოდელის მომხრეთა - შიდა ქართლში. მოხდა III მოდელის მომხრეთა მკვეთრი შემცირება შიდა ქართლსა და თბილისში. შემცირდა განსხვავებული გზის მომხრეთა რიცხვი გურიაში, ხოლო აჭარაში, გურიასა და სამეგრელოში იკლო იმ პირთა რიცხვმა, ვისაც არ ჰქონდა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.

საინტერესოა იმერეთის მონაცემები. აქ საერთო სურათისაგან განსხვავებით, შეხედულებათა ცვლას ყველაზე ნაკლებ ჰქონდა ადგილი - 13.8% (საერთო 39.6%-გან განსხვავებით).

საკმაოდ მკვეთრია I მოდელის მომხრეთა შემცირება შიდა ქართლში, II მოდელის მომხრეთა - სამხცხესა და სამეგრელოში, III მოდელისა — თბილისში.კომბინირებული მიდგომის მომხრეებმა მკვეთრად იმატა გურიაში, ხოლო მათ რიცხვმა, ვისაც გაუჭირდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, მნიშვნელოვნად იკლო აჭარაში და ასევე მკვეთრად იმატა თბილისში.

ცხრ.4. რეგიონები

მოდელები: ფორუმამდე და შემდეგ %%	აჭარა		გურია		იმერეთი		შ.ქართლი	
მოდელი I - ყველა დასაჭერია	14.30	17.1	31.43	25.7	22.43	17.3	17.98	7.7
მოდელი II - დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან	20.04	14.3	22.86	14.3	20.67	20.7	12.83	15.4
მოდელი III - პატიოსნების კუნძულები	22.86	28.6	22.86	31.4	32.76	31.1	33.35	25.7
ვეძებოთ სხვა გზები	11.39	17.1	5.74	2.8	3.46	6.9	10.22	15.4
სამივე მოდელის კომბინაცია	8.49	14.2	2.83	14.3	6.88	6.9	12.76	20.4
მიჭირს პასუხის გაცემა	22.86	8.6	14.30	11.4	13.75	17.3	12.76	15.4

მოდელები: ფორუმამდე და შემდეგ %%	სამცხე		სამეგრელო		თბილისი	
მოდელი I - ყველა დასაჭერია	28.48	21.4	20.43	18.4	19.98	13.3
მოდელი II - დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან	28.48	7.1	42.82	30.6	24.44	24.4
მოდელი III - პატიოსნების კუნძულები	7.07	21.4	12.23	20.4	26.64	15.6
ვეძებოთ სხვა გზები	14.34	14.3	4.04	12.2	11.12	13.3
სამივე მოდელის კომბინაცია	14.34	14.1	4.10	4.0	4.40	6.7
მიჭირს პასუხის გაცემა	7.07	21.4	16.28	14.2	13.32	26.7

სქესობრივი შემადგენლობის მიხედვით:

მამაკაცებში აღინიშნება II მოდელის (საკმაოდ მკვეთრად), ხოლო ქალებში - III მოდელის მომხრეთა შემცირება. ქალთა შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა განსხვავებული და კომბინირებული მიდგომების მომხრეთა რიცხვი.

ცხრ.5. სქესობრივი შემადგენლობა

მოდელები: ფორუმამდე და შემდეგ %%	მამაკაცი		ქალი	
მოდელი I - ყველა დასაჭერია	20.39	19.6	21.74	14.0
მოდელი II - დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან	30.21	18.9	19.64	21.0
მოდელი III - პატიოსნების კუნძულები	20.39	25.7	28.07	23.1
ვეძებოთ სხვა გზები	11.32	12.8	4.21	9.8
სამივე მოდელის კომბინაცია	6.02	8.3	6.98	12.6
მიჭირს პასუხის გაცემა	10.55	13.6	18.25	18.2

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:

საერთო სურათისაგან დიდი განსხვავება ამ მხრივ არ აღინიშნება. ამავე დროს თვალშისაცემია II მოდელის მომხრეთა უფრო მნიშვნელოვანი შემცირება საშუალო ასაკის ადამიანებში, ხოლო I მოდელის მომხრეთა - ხანდაზმულთა შორის. ამ ორივე ასაკობრივ ჯგუფში, ასევე საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, უფრო იზრდება კომბინირებული მიდგომის მომხრეთა რიცხვი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებს (განსაკუთრებით სტუდენტებს), სხვა ჯგუფებთან შედარებით, უფრო მყარად ჩამოყალიბებული ხედვა გააჩნიათ და უფრო ძნელად ცვლიან მას.

ცხრ.6. ასაკობრივი ჯგუფები

მოდელები: ფორუმამდე და შემდეგ %%	17 წ-მდე		18-29 წწ		30-49 წწ	
მოდელი I - ყველა დასაჭერია	32.76	99.2	25.02	19.5	16.38	13.3
მოდელი II - დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან	32.76	0.0	25.02	22.7	30.71	22.5
მოდელი III - პატიოსნების კუნძულები	0.00	0.0	21.88	21.1	21.50	24.6
ვეძებოთ სხვა გზები	0.00	0.0	7.82	12.5	9.20	13.3
სამივე მოდელის კომბინაცია	32.76	0.0	6.23	6.2	7.12	15.3
მიჭირს პასუხის გაცემა	0.00	0.0	13.28	17.2	14.33	10.2

მოდელები: ფორუმამდე და შემდეგ %%	50-64 წწ		65 წ ზევით	
მოდელი I - ყველა დასაჭერია	16.53	8.3	29.76	19.9
მოდელი II - დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან	13.80	11.0	0.00	0.0
მოდელი III - პატიოსნების კუნძულები	38.60	35.9	39.59	39.6
ვეძებოთ სხვა გზები	2.73	2.7	9.83	9.8
სამივე მოდელის კომბინაცია	2.73	13.8	9.83	9.8
მიჭირს პასუხის გაცემა	24.72	27.5	9.83	0.0

განათლების ცენზის მიხედვით:

მონაწილეთა განათლების სტატუსის მიხედვით საშუალო განათლების მქონე პირებს შორის აღსანიშნავია საერთო სურათისაგან განსხვავებით III მოდელის მომხრეთა რიცხვის უფრო დიდი ზრდა, ხოლო, საერთო სურათის საპირისპიროდ, I მოდელის მომხრეთა მკვეთრი მატება და კომბინირებული მიდგომის მომხრეთა ასევე მკვეთრი შემცირება.

უმაღლესი განათლების მქონე პირებს შორის აღინიშნება I მოდელის მოწინააღმდეგეთა რიცხვის, საშუალო მაჩენენებელთან შედარებით, უფრო დიდი ზრდა.

აქვე დავძენთ, რომ უმაღლესი განათლების მქონე პირებს, ისევე როგორც სტუდენტებს, შორის უფრო იშვიათად გვხვდება შეხედულებების შეცვლის ფაქტები.

ცხრ.7. განათლების ცენზი

მოდელები: ფორუმამდე და შემდეგ %%	საშუალო		ტექნიკური		უმაღლესი		სხვა	
მოდელი I - ყველა დასაჭერია	21.91	38.5	19.58	0.0	20.18	14.1	49.64	74.1
მოდელი II - დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან	11.03	5.4	0.00	0.0	25.83	21.8	49.64	0.0
მოდელი III - პატიოსნების კუნძულები	16.47	27.5	19.58	19.6	25.43	25.0	0.00	0.0
ვეძებოთ სხვა გზები	16.47	11.0	19.58	19.6	6.86	11.3	0.00	0.0
სამივე მოდელის კომბინაცია	16.47	5.4	19.58	19.6	5.64	10.9	0.00	0.0
მიჭირს პასუხის გაცემა	16.47	11.0	19.58	39.2	14.93	15.7	0.00	24.5

საქმიანობის სფეროების მიხედვით:

კერძო სტრუქტურებში დასაქმებულთა შორის, საშუალო მაჩვენებელზე მეტად, გაიზარდა I მოდელის აშკარა მოწინააღმდეგეთა და განსხვავებული მიდგომების მომხრეთა ოდენობა.

საჯარო მოხელეთა შორის, ასევე საშუალო მაჩვენებელზე მეტად, შემცირდა II მიდგომის მომხრეთა და გაიზარდა კომბინირებული მიდგომის მომხრეთა რიცხვი.

არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებში მნიშვნელოვნად შემცირდა I მიდგომის, ხოლო იმატა განსხვავებული მიდგომის შემუშავების მომხრეთა რიცხვმა. ასევე იმატა იმ პირთა ოდენობამ, რომელთაც გაუჭირდათ საბოლოო პასუხის გაცემა.

პროფესორ-მასწავლებელთა შორის უფრო იმატა III და კომბინირებული მიდგომების მხარდამჭერთა ოდენობამ, ხოლო იკლო იმ პირთა რიცხვმა, რომლებსაც ჯერ არ ჰქონდათ გარკვეული, თუ რომელ გზას უჭერენ მხარს.

უმუშევართა შორის მკვეთრად გაიზარდა I მოდელის მოწინააღმდეგეთა და III მოდელის მომხრეთა რიცხვი. საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ასევე იმატეს კომბინირებული მიდგომის მომხრეებმა. საერთო სურათისაგან განსხვავებით, პედაგოგთა მსგავსად, აქაც იკლო იმ პირთა რიცხვმა, რომელთაც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ ჰქონდათ მიღებული.

ცხრ.8. საქმიანობის სფერო

მოდელიები: ფორუმამდე და შემდეგ %%	კერძო		საჯარო		აო		განათლება	
მოდელი I - ყველა დასაჭერია	18.64	4.6	8.51	4.3	22.98	15.7	8.66	8.7
მოდელი II - დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან	14.01	18.6	29.88	21.4	25.08	20.9	31.76	28.9
მოდელი III - პატიოსნების კუნძულები	32.79	28.0	23.48	27.8	26.11	23.0	23.11	28.9
ვეძებოთ სხვა გზები	4.63	14.0	8.51	17.1	5.23	10.5	8.66	5.8
სამივე მოდელის კომბინაცია	9.26	14.0	8.51	12.8	9.39	13.6	2.86	11.6
მიჭირს პასუხის გაცემა	18.64	18.5	19.19	15.0	9.39	14.6	23.11	14.4

მოდელები: ფორუმამდე და შემდეგ %%	სტუდენტი		დიასახლ.		უმუშევარი		სხვა	
მოდელი I - ყველა დასაჭერია	31.15	35.9	32.40	32.4	39.24	26.1	24.47	30.7
მოდელი II - დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან	23.97	19.2	0.00	0.0	13.14	13.1	18.39	6.1
მოდელი III - პატიოსნების კუნძულები	14.36	14.4	65.70	32.4	13.14	26.1	30.71	36.8
ვეძებოთ სხვა გზები	11.99	9.5	0.00	32.4	6.48	6.5	12.32	12.3
სამივე მოდელის კომბინაცია	4.81	7.1	0.00	0.0	0.00	6.5	0.00	0.0
მიჭირს პასუხის გაცემა	11.92	12.0	0.00	0.0	26.10	19.6	12.15	12.3

ასეთ სურათს იძლევა საქართველოს 6 რეგიონში (8 ქალაქში) ჩატარებული 15 ფორუმის მონაწილეთა მიერ შევსებული 550 ანკეტის ანალიზი. კიდევ ერთხელ გვსურს ავღნიშნოთ, რომ საზოგადოებრივი მონაწილეობის ზრდისა და მოსახლეობის აზრის გარკვევის მიზნით ჩატარებული ფორუმების რიცხვი, როგორც წესი, ბევრად უფრო დიდია. ჩვენს მიერ განხორციელებული პროექტი საპილოტო ხასიათის იყო და ძნელია, მიღებული შედეგების ექსტრაპოლირება მთელ საზოგადოებაზე მოვახდინოთ, თუმცა გარკვეული დასკვნების გაკეთებისაკენ მოცემული მასალა აშკარად გვიბიძგებს.